

ლიტერატურული გაზეთი

დათო მადრაძე

სამზავრო რაფსოდია

ფანჯრიდან თვალებით ვაცილებ ვაგონებს, —
ამ ლიანდაგიდან დაიძრა ეპოსიც...
და ეს ვაგონები ბავშვობას მაგონებს,
მიმტანის ჩაით და პირჯვარით ბებოსი.

ღიადი განზრახვა მიზანზე მეტია
და ერთხელ ნაპოვნი ვცდილობ, რომ არ დავკარ-
გო, ბორბლის ხმაურში განვაგრძობ ხეტიალს,
კარდაკარ... კარდაკარ...
კარდაკარ... კარდაკარ...

და მთვარის ხანჯალი
ამ ღამის სხეულში
ჰგავს ქრისტეს სტუმრობას მივარდნილ სარდაფში,
რადგან იეშუა სხეულში შევუშვი,
სამყაროს ნათხოვარ წიგნივით გადავშლი.

სოფლელი მთვარე კი
ნაჩვევი ხეტიალს...
ქალს ჭიდან სახლისკენ რომ მიაქვს ვედრებით,
აშუქებს, რომ სიტყვა, სიტყვაზე მეტია,
თუ ისმის პოეტის ჩურჩული ვედრების.

და რადგან ერთობის ვინამე სამება,
საკუთარ ნერვების მთრთოლვარე სიმები
ვეცადე, დეკაზე
სიფრთხილით გამება,
ბეთლემში შობილი ყმანვილის იმედით.

ღიადი განზრახვა არ მტოვებს ნიადაგ,
როცა კი ფოთლები ირევა ქარდაქარ,
ბორბლების ხმაურში მიყვები ლიანდაგს,
კარდაკარ... კარდაკარ...
კარდაკარ... კარდაკარ...

მომდევს შორაპანი... ნიფა... და მოლითი...
და მელის ევროპის მსცოვანი ელიტა
და პოლიფონიას გაწვდები სოლისტი,
შენ სათქმელს,
მის სათქმელს
თუ ვიტყვი სცენიდან.

თუ ვიტყვი შენს სათქმელს, რომ ჩვენი დუეტი
შევეუნო მის სათქმელს, რომ ტრიოდ ვაქციო,
თუ სოლო-არიით ქოროს შევუერთდი...
— აქსიოს!

და ვცდილობ, სასცენოდ რომ გავაპიესო
ღიადი განზრახვა,
სარდაფის მზეს ველი...
წყალზე რომ ფეხდაფეხ თან გავყვე იესოს,
როგორც გაჰყვია ვინსენტის მთესველი.

სიმართლედ იქცევა მოვლენა არაბუ-
ნებრივიც, პოეტმა
თუ ერთი დალოცოს...
ტოლედოს ბაზარზე „იდალგოს“ არაბულ
ხელნაწერს მიაგნო კიხანა ალონსომ.

— ვაშა, მას, ვინც ტრენდთან
ქედს არ მოიდრიკავს!
შეხვედები ანგელოსს, თუ ასცდი ბონუსებს,
ცოტ-ცოტა სისხლსა და
სექსსა და ინტრიგას
— უარი! — და ვკარგავ შეძლებულ პროდიუსერს.

— მოქნეულ ცულისპირს გასცვივა ნაფოტი! —
გაისმის ტყისმჭრელის ახალი მუქარა,
განმანათლებლობის ბრენდი — ეშაფოტი
გზას უთმობს პროგრესის
სიმბოლოს — უკანალს.

ის, რაც შორს მეგონა,
ვხედავ, სულ მალეა...
და ვჩქარობ, ავხადო დუმილის ფარდა კარ-
არის მარმარილოს, სიტყვის სომელიემ
და სიტყვა გაგანდოთ
კარდაკარ... კარდაკარ...

დო-დან დო-დიეზში,
ნოტიდან ნოტაში
ვამძაფრებ სიტყვას და განწყობას ვაქეზებ,
ახალი კადრების სალექსო მონტაჟით
მინდა, რომ შეგეხო ბადაგის ბაგეზე.

ამ დროში გეხები და ვიჭერ თან იმ დროს,
შენში რომ ქრება და მარადით ვივსები...
ჩემს AVE EVA-ს რომ
გავუნვდი პალინდრომს,
ჩვენ ორნი ჩავივლით
მარშს ჩვენი ღირსების.

მოვუტანთ ამ ღამეს შეფაკლულ ალიონს,
ცხადში ახდენილი ბავშვობის ზღაპრებით, —
როგორც შემოჰქონდა ესპანურ გალიონს
ცივილიზაცია,
გამლილი აფრებით.

...სურნელი, როგორც მშობლიურ კულისებს
არაფერს არ ახლავს, წინაპრის გარდა კარ-
მიდამოს, ვბრუნდები
კარდაკარ ულისე,
კარდაკარ... კარდაკარ...
კარდაკარ... კარდაკარ...


ღიადი განზრახვა მიზანზე მეტია
და ვცდილობ, გადავრჩე, რომ შევძლო გადაგარ-
ჩინო და ხმაურში განვაგრძობ ხეტიალს
კარდაკარ... კარდაკარ...
კარდაკარ... კარდაკარ...

გიორგი ბალახაშვილი

რეპეტიცია. ნარწარები. 3

რომ არ ვეგონოთ მოსეს ხამები,
სიზმრად მოვიხსნათ მოსასხამები,
ლამეც ვიხილოთ ნასისხამები.
დავთესოთ ბარდა, ოსპი, სოიო,
დავახატინოთ მახა გოიას
და ავამღეროთ ვიქტორ ცოიო.
თუ მოგერია ძილი ან ბრაზი,
მაშინ გასცურე მკლავური, ბრასი,
ან მიაპყარი თვალები ბრაზე.
მოხაზე ფიჯი და ავსტრალია,
ხან ხარ, ხან — არა, ხან ასტრალია,
ბაბუს ულვაშიც ნასატრალია.
წიგნებს მალული მოაქვს დოვლათი,
ჰკითხეთ აკუნინს, ბუნინს, დოვლატოვს,
ხან წვიმად მოხვალ, ხანაც თოვლადო.
რომ არ ვეგონოთ მოსეს ხამები,
სიზმრად მოვიხსნათ მოსასხამები,
ლამეც ვიხილოთ ნასისხამები.

IV-V



ამერიკული ოცნება

„ჩვენ ყველანი ჩვენებურად ვცდილობთ, ავისრულოთ ამერიკული ოცნება, გვინდა, მოვიპოვოთ სიმდიდრე, ცნობადობა, დიდება; მივალწით კარიერულ წინსვლას; შევიძინოთ მრავალი სახლი, უფრო მეტი უძრავი ქონება. ჩვენი მიზანია, მოვიხვეჭეთ, მოვიხვეჭეთ, მოვიხვეჭეთ... სელინჯერი კი ალბათ ერთადერთი წარმატებულ მწერალთაგან, რომელმაც ზურგი აქცია ყოველივე ამას არა მხოლოდ თავისი ცხოვრებით, შემოქმედებითაც“ — ასე შეაფასა სელინჯერის ცხოვრების წესის არათავსებადობა ამერიკულ ოცნებასთან Writer Guild-ის ჟურნალ Written By-ის რედაქტორმა რიჩარდ სტივინსმა ერთ-ერთ ინტერვიუში. შეგვიძლია, განვავრცოთ სტივინსის აზრი, მწერლის პერსონაჟებიც ამოვარდნილი არიან ამერიკული ოცნების ჩარჩოებიდან, თანაც არა მხოლოდ ჰოლდენ კოლფილდი, ფრენი გლასიც და სხვებიც. გავიხსენოთ „ფრენი და ზუი“. ამ ნაწარმოებში ერთი არსებითი, შეიძლება ითქვას, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის, კითხვა დასმული, რომელიც მოკლედ ასეც შეიძლება ჩამოვყალიბოთ: რისთვის იღებს ადამიანი განათლებას? მხოლოდ მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, კარგი სამსახურისა და ხელფასის გამო თუ სიბრძნის დასაუფლებლად? საგულისხმოა, რომ ამ კითხვას, ჰოლდენ კოლფილდისა არ იყოს, კოლეჯის სტუდენტი სვამს — ფრენი გლასი.


ფრენი და ჰოლდენი რაღაცით ჰგვანან, თუმცა განსხვავდებიან კიდევ ერთმანეთისგან. ორივეს ძლიერი პროტესტის გრძობა აქვს პრაგმატული სამყაროსადმი. ვერც ერთი ფეხზე თვითკმაყოფილ, შეზღუდულად მოაზროვნე კოლეჯის დირექტორებს, პედაგოგებსა და ეგოისტური გრძობების კარნახით მცხოვრებ თანატოლებს. ჰოლდენი ასე ხსნის ელტონ-ჰოლდენ ნამოსვლის მიზეზს: „იქ თავიდან ბოლომდე ყველაფერი სიყალბეზე იყო აგებული. ეგ არის და ეგ. ყველაფერი გამოსაჩენად ჰქონდათ. თუნდაც თვითონ დირექტორი ავიღოთ — მისტერ ჰაასი. იმისთანა ფუყესა და თვალთმაქც ნაბიჭვარს ჩემს დღეში არ შევხვდებოდი“. ჰოლდენს გულს ურევს მისტერ ჰაასის სწავლება, რომელიც კოლეჯის სტუდენტების მდიდარ მშობლებს ელაქუცება, ღარიბებს კი მხოლოდ ფორმალურად ესაუბრება და საუბრის ღირსადაც არ მიიჩნევს.

ფრენი გლასიც ვერ ეგუება კოლეჯს, იქ გამეფებულ პრაგმატულ-სწავლურ გარემოს. განსაკუთრებით კი ის უქმად გატარებული ოთხი წელი ზარავს, რომლის განმავლობაშიც თვით ზრდილობის გულისთვისაც არავის უხსენებია სიტყვა „სიბრძნე“ ან „ბრძენი“. მაშ, ვის რაში სჭირდებოდა ამგვარი განათლება? რა საჭიროა სწავლა, თუკი მისი საბოლოო მიზანი სიბრძნის დაუფლება არ იქნება? საოცარია ისაა, რომ კოლეჯში სწავლის ოთხი წლის განმავლობაში ფრენის ერთადერთი შემთხვევა აგონდება, როცა ბრძენკაცად ვინმე მოიხსენიეს და ისიც ვინ? „ერთი ყუყუჩი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც კარიერა სასაქონლო ბირჟაზე მუშაობისას გაიკეთა, ხოლო შემდეგ ვაშინგტონშიც მოხვდა“ პრეზიდენტ რუზველტის გარემოცვაში.

სწავლის ერთადერთ და საბოლოო მიზანად მატერიალური უზრუნველყოფის დასახვა ჰოლდენსაც აღიზიანებს. აი, რას ეუბნება ის თავის მეგობარ გოგონას (სალის): „ერთი ვაჟების სკოლაში უნდა შეგიყვანონ, და მაშინ ნახავ, სულ თვალთმაქცებით არის გატენილი, სწავლაც იმიტომ სწავლობენ, რომ ცოტა გამოიქეცონ და ერთ მშვენიერ დღეს ის ოხერი კადილაკი შეიძინონ“. ჰოლდენს ყველაზე მეტად საზოგადოების ჯგუფებად დაყოფა თრგუნავს. უზარმაზარ ქალაქში ადამიანს ვერც იპოვი, ვერ გამოელაპარაკები, რადგან ყველას იმ სოციალური თუ კულტურული ჯგუფისთვის დამახასიათებელი დაშტამპული აზროვნება აქვს, რომლის წევრიც თვითონაა. „ყველას თავისი ბინძური ბანდა ჰყავს და იმითან ტრიალებს. კალათბურთოელები ცალკე დაძრწიან, კათოლიკეები — ცალკე, ეს დანყველილი ინტელექტუალისტები — ცალკე, ბრიჯის მოთამაშეებიც თავისთვის არიან, იმ ბითურული წიგნის ყოველთვიური კლუბის მკითხველებიც კი ცალკე მიიწევენ. ძალიანაც რომ მოინდომო, წესიერად გამოლაპარაკება...“ (ვერც

თემურ გაბუნია
ფოლკნერი და სელინჯერი

უილიამ ფოლკნერმა 1958 წლის 24 აპრილს ვირჯინიის შტატის უნივერსიტეტში სტუდენტებთან საუბრისას საგანგებოდ გამოარჩია ახალგაზრდა მწერალთა შორის ჯერომ სელინჯერი, ისაუბრა მისი რომანის — „თამაში ჭვავის ყანაში“ — მთავარი პერსონაჟის, ჰოლდენ კოლფილდის, შესახებ. რა მიზნით ფოლკნერს ჰოლდენის პიროვნული ტრავმებიდან, რა მსოფლმხედველობრივი მსგავსება არსებობდა ამ ორ მწერალს შორის და როგორ აფასებდნენ მათ შემოქმედებას კრიტიკოსები? ამ კითხვებზე საპასუხოდ მცირე ექსკურსის გაკეთება მოვიწვევს ამერიკის კულტურულ ცხოვრებაში.



გამოელაპარაკები, უნდოდა ეთქვა ჰოლდენს, მაგრამ სალიმ შეაწყვეტინა), რომელიც არ ეთანხმებოდა კოლეჯების ასეთ რადიკალურ კრიტიკას.

რა შეიძლება ითქვას ჰოლდენისა და სალის ცნობილი დიალოგის შესახებ? სწორედ მან და, რალა თქმა უნდა, მთლიანად რომანმა Catcher-მა ათქმევინა ფოლკნერს ვაშინგტონისა და ლის სახელობის უნივერსიტეტში 1958 წელს უკვე ისტორიაში შესული სიტყვები: „ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნიგმა, მიმარჩნია, რომ მასში მხილებულია ის, რასაც მხოლოდ დანაშაულს ვერ ვუწოდებთ, რადგან ბოროტება უფროა, რომელიც მწერალმა აღმოაჩინა და მის წინააღმდეგ გაილაშქრა. ამ ბოროტების უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი ჩვენს კულტურაში დამკვიდრებული წნეხია, თითოეულ ადამიანს რომ აიძულებს, რომელიც ჯგუფში განევრინდეს. ძნელია, იყო ინდივიდი ჩვენს კულტურულ გარემოში. ჩემი აზრით, რაც ამ ნიგმაში დავინახე — ტრაგედიაა, გარკვეული თვალსაზრისით, ეს სელინჯერის პიროვნული ტრაგედიაა. რომანის ახალგაზრდა გმირს, ინტელექტუალს და სხვებზე ოდნავ მგრძნობიარეს, მარტვი რამ სურდა, შეეყვარებინა კაცობრიობა, და როდესაც მოისურვა, ადგილი დაემკვიდრებინა საზოგადოებაში, რათა შეეყვარებინა კაცობრიობა, აღმოაჩინა, რომ იქ ადამიანი აღარ იყო“.

პრეზიდენტ ქიხანავაშვილის გაგება

ხანდახან ლამაზი შეფუთვით გვანვლიან იმას, რაც არაა სასარგებლო სულიერებისთვის, მეტიც, პიროვნების თავისუფლების შეზღუდვისკენაა მიმართული. ეს ბრჭყვილა შეფუთვა ადამიანს ხიბლავს და ვერც ხვდება, როგორ აქცევენ ჩარჩოში წინასწარ საგულდაგულოდ შედგენილი გეგმის მიხედვით. სწორედ ამის შესახებ საუბრობდა უილიამ ფოლკნერი უნივერსიტეტის სტუდენტებთან. ცნობილია, რომ ცალკეული ინდივიდის გაკონტროლება უფრო რთულია, ვიდრე ადამიანთა ჯგუფების. რომელი სპეცსამსახური აუვიდოდა მილიარდობით ადამიანის კონტროლს? ამისთვის არც კადრები ეყოფოდათ და არც სახსრები. მაგრამ თუკი შედარებით ნიჭიერ, საზოგადოებაზე გავლენის მქონე პიროვნებებს სხვადასხვა ორგანიზაციაში გააერთიანებდა, მაშინ მასების კონტროლსაც გაადვილებოდა. ამ პრინციპით იყო შედგენილი ეიზენშაუერის გეგმაც, რომლის თანახმადაც რიგითი ადამიანები კი არ უნდა გასაუბრებოდნენ ერთმანეთს, არამედ ერთი ჯგუფის წარმომადგენლები — მეორეს.

— ორი წლის წინ პრეზიდენტმა ეიზენშაუერმა ჩაიფიქრა გეგმა, რომელიც ძირითადად სწორ იდგაზე იყო დაფუძნებული, — ასე დაიწყო სტუდენტებთან საუბარი მწერალმა. მართლაც, რა სჯობდა, თუკი განსხვავებული ეროვნების ცალკეულ პიროვნებებს, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთ, საშუალება მიეცემოდათ, გასაუბრებოდნენ თავიანთ კოლეგებს მთელს დედამიწის ზურგზე? მუშა — მუშას, მეცნიერი — მეცნიერს, ადვოკატი — ადვოკატს? ყველა სისარულით გაიზიარებდა ამ იდეას. თუმცა, მწერლის აზრით, სწორედ სიტყვათა ამგვარ წყობაში იყო მთავარი საფრთხე. რატომ წინაცდამიანს მუშა — მუშას, ბანკირი — ბანკირს, მსხვილი მენარმე — მსხვილ მენარმეს? ხომ არ ნერგავდა ხელისუფლება რაღაც მითიურ რწმენას, თითქოს პიროვნებას აღარ შეეძლო პიროვნებასთან საუბარი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ინდივიდუალურად მოაზროვნე ადამიანი უკვე საერთოდ აღარც არსებობდა? ნუთუ არ შეიძლებოდა, ერთ ადამიანს მეორესთან ჩვეულებრივად ესაუბრა თავის სატიკვარზე ისე, რომ რომელიმე ორგანიზაციაში არ განევრინებულყო? თითქოს ვიღაც ცდილობდა, ჩაეგონებინა ადამიანისთვის, რომ მას უკვე აღარ ჰქონდა ისეთი თვისებები, როგორებიცაა: პატიოსნება, სიბრალული, პასუხისმგებლობა და თანაგრძნობა. ხელისუფლება ცდილობდა, მოქალაქეები დაერწმუნებინა, რომ რადგან ყოველივე ეს უკვე აღარ არსებობდა, იმის იმედით უნდა დარჩენოდით, რომ ორგანიზებულ ჯგუფებში ეარსებათ, სადაც თავის ინდივიდუალობას უკეთ უარყოფდნენ და ჩაიხშობდნენ. საზოგადოება ერთმანეთთან დაპირისპირებულ ახირულულ ჯგუფებად და ფრაქციებად იყო დაყოფილი. სინამდვილეც ეს ფრაქციები ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე რამეს გულისხმობდნენ — ორ-აზროვნად, აბსტრაქტულად. „ხალხთა დემოკრატია“, „უმცირესობის უფლებები“, „სამართლის თანასწორობა“, „სოციალური კეთილდღეობა“ — ფოლკნერის აზრით, ეს სიტყვები იმ დეკორაციას წარმოადგენდნენ, რომლითაც უსიცხვილოდ ამართლებდნენ უპასუხისმგებლობას და ადამიანებს კი არ ინვედნენ, არამედ აიძულებდნენ, მონანილეობა მიეღოთ ამ ფარსში.

რა უნდა მოიმეძღოს მწერალმა? „ის წინ უნდა აღუდგეს ამ შემოტევის“, გაიღოს „მცირე, მაგრამ ძვირფასი პიროვნული ძალა“ იმის წინააღმდეგ ბრძოლაში, „რაც თრგუნავს მის ინდივიდუალობას“, რათა ნამდვილი ხელოვანი გახდეს.. „საქმე ისაა, — დასძენს ფოლკნერი, — რომ ახალგაზრდა მწერალს დღეს თანამედროვე სახელმწიფო, რომლის დახატვასაც ვცდი-

ლობდი, აიძულებს, იმოქმედოს კაცობრიობის ერთგვარ სიკარიელში“, რომელიც „მას არც ამოურჩევია, ვერც გასწავლება და ვერც გაექცევა, როგორც ბუზი ვერ გაფრინდება პირქვედამხობილი ჭიქიდან“. სწორედ ამ დროს დაიწყო ფოლკნერმა სელინჯერის შესახებ საუბარი, საგანგებოდ გამოყო ის სხვა ახალგაზრდა მწერალთაგან და ახსენა „თამაში ჭვავის ყანაში“, ნაწარმოები, სრულყოფილად რომ გამოხატავდა იმას, რის ახსნასაც სტუდენტებისთვის ცდილობდა. ფოლკნერის აზრით, გამორჩეული იყო ამ ნაწარმოების მთავარი გმირიც. თვითონ კი არ მიიჩნევდა ასე, არამედ ღმერთს დაესაზღვრა მისთვის ეს ადგილი. ის ეძებდა ადამიანურ სამყაროს, მაგრამ ვერსად პოულობდა. მხოლოდ ზუზუნი ესმოდა, დაუოკებელი და უწყვეტი ზუზუნი პირქვედამხობილი ჭიქის მინის კედლებიდან.

ეს იყო სელინჯერის დილემა და არა მხოლოდ მისი — ზოგადად კაცობრიობისაც. მწერლის მისია კი ის გახლდათ, ესნა საზოგადოება სულიერი იმპოტენციისგან, რათა ისევე არ დაეკოდათ, როგორც ტახები, ულაყები და ბულები. ამისთვის კი ნამდვილად ღირდა სიცოცხლე.

ჰოლდენი და ფიბი

უნივერსიტეტში სიტყვის დასრულების შემდეგ ფოლკნერს კითხვები დაუსვავს, ერთ-ერთ სტუდენტს მიაჩნდა, რომ „ხმაური და მძვინვარების“ პერსონაჟი ქვენტინ კომპსონი და ჰოლდენ კოლფილდი რაღაცით ჰგავდნენ ერთმანეთს. „ვერ დაგეთანხმებით, — უპასუხა ფოლკნერმა, — ვერ ვატიკვებ, რომ ქვენტინი და ჰოლდენი ძალზე ნაგავდნენ ერთმანეთს — გარდა იმისა, რომ ძალზე მგრძობიარენი არიან და ერთნაირ წრეს ეკუთვნიან, საქმიან ხალხს, რომელთაც საპასუხო სიყვარულისა და სინაზის ძალა არ შესწევთ. ვფიქრობ, ჰოლდენის ოჯახიც ასეთია“.

სტუდენტის შეკითხვას ჰქონდა გარკვეული საფუძველი, ის ეყრდნობოდა მწერლის მიერ ლექციაზე გამოთქმულ მოსაზრებას ჰოლდენისა და ფიბის ურთიერთობის შესახებ. ფოლკნერმა აღნიშნა: „ერთადერთი ადამიანური ურთიერთობა ჰოლდენს თავის დასთან აქვს, ის კი ძალზე პატარაა — ხვდება, რომ მძა გასაჭირშია, მაგრამ ვერ იგებს, რა სტიკვა, რა ანულებს“.

ქვენტინისთვისაც გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა დასთან ურთიერთობას, თითქოს რაღაც სულიერ დასაყრდენს ეძებდა მასში. ერთგვარ საკრალური მნიშვნელობას ანიჭებდა კედის ქალწულობას, ხოლო როდესაც დამ სამხრეთის არისტოკრატიული ოჯახისთვის მნიშვნელოვანი ტრადიცია დაარღვია, ეს ღირსების შელახვად მიიჩნია, ფუქქემ მინა გამოეცალა და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ამრიგად, ქვენტინი და ჰოლდენი დიდად არაფრით ჰგვანან ერთმანეთს, მით უმეტეს — კედი და ფიბი. მათ შორის ასაკობრივი სხვაობაცაა. ფიბი წმინდა ცნობიერებისა და ბავშვური უმანკოების სიმბოლოა. როდესაც ჰოლდენი უზარმაზარ ქალაქში ხმის გამცემს ვერ პოულობს, სწორედ უმცირესი და ევლინება მამულ რგორად, მასთან გულწრფელი საუბარი. კოლეჯიდან წამოსვლის უმთავრეს მიზეზსაც ფიბის უხმელს. აქამდე ჰოლდენს არავისთვის უთქვამს, საიდუმლო სამშოში ყოფნა მანუხებსო, არადა, თურმე საკუთარი თავი ლაჩრად მიანდა ორგანიზაციაში შესვლაზე დათანხმების გამო. „რადღაც ოხერი საიდუმლო საზოგადოება მოიგონეს, ვაჟკაცობა არ მეყო, უარი მეთქვა და არ შევსულიყავი“ — შესჩივლა დას.

შეუძლებელია, პატარა ფიბის რაიმე გაეგო ჰოლდენის საუბრიდან, რაიმე არსებითი, თუმცა ყურადღებით უსმენდა და განიცდიდა. ეგვაზეც ვატიკვებდი, რომ მისმენდაო, აღნიშნავს ჰოლდენი. მისთვის სწორედ ესაა მნიშვნელოვანი — თანაგრძნობა. მოგვიანებით ის ფიბის გაუმხელს, რომ სურს, Catcher-ი გამოვიდეს:

„თვალწინ მიდგას, როგორ თამაშობენ პატარა ბავშვები დიდ ველზე, ჭვავის ყანაში. ათასობით ბავშვია და თან არავინ ახლავს — ესე იგი, დიდი არავინ ახლავს — ჩემს მეტი. მე კიდევ საშინელი ციცაბო კლდის პირას ვდგავარ, და რას ვაკეთებ — ბავშვებს ვიჭერ, რომ უფსკურში არ გადაიჩეხონ. თუ გამოიბრის და წინ არ იყ-

ურება, არც იცის, რომ უფსკრულს უახლოვდება, უცებ გამოვფარდები და ხელს ვტაცებ. მთელი დღე მეტს არაფერს ვაკეთებ — ბავშვებს ვიჭერ ჭვავის ყანაში. ვიცი სიგიჟეა, მაგრამ ეს მინდა, სხვა არაფერი“.

ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია მთელს რომანში, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში იკვეთება ნიგნის სათაური, არამედ იმის გამოც, რომ სწორედ ფიზისთან საუბრობს ჰოლდენი საიდუმლო საძმოსა და იმის შესახებ, თუ რა მიაჩნია თავის უმთავრეს ნაკლად. ჰოლდენის აზრით, ეს გაუბედობაა. მანამდე საიდუმლო საძმოსებზე ბევრი დიდი შემოქმედი წერდა — ლევ ტოლსტოი, ფიოდორ დოსტოევსკი, რედიად კიპლინგი, ალექსანდრე დიუმა, ჯეიმზ ჯოისი, უმბერტო ეკო... მაგრამ მსგავსი რამ არც ერთი მწერლის პერსონაჟს არ უთქვამს, შემეშინდა და იმის გამო შევედი საიდუმლო საძმოსში. ამ ორგანიზაციაში ყოფნა ყველას სიამოვნებდა: პიერ ბეზუხოვს, პეტრე ვერხოვენსკის, არამისს, ლეოპოლდ ბლუმს... პიერი, მაგალითად, გმირად და სამშობლოს მხსნელად ციხეში მიიწვევდა თავს, მას, მართალია, არც აინტერესებდა და არც ესმოდა, რატომ ურჩევდა ბიბლიური საძმოსის მისტიკოსი „მოძღვარი“, წვერით ქვევით მიმართულ სამკუთხედზე იფიქრე ყოველდღეო, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა ქველმოქმედება, იმის წარმოდგენა, რომ ჩამორჩენილი რუსეთი უნდა ესხსნა... დადებით პერსონაჟებად არიან გამოყვანილები არამისიც და ლეოპოლდ ბლუმიც, ისინი კარგად არიან მორგებულნი ამ ორგანიზაციაში... ჰოლდენ კოლფილდი ერთადერთია, ვინც არაკომფორტულად გრძნობს თავს საიდუმლო საძმოსში...

აი, როგორ კვინააღმდეგობადა მწერლობაში დამკვიდრებულ გლობალურ ტენდენციებს სელინჯერი.

პრიტიკის უკანასკნელი ტალღა

სელინჯერის გაკრიტიკება ლიტერატორებმა 60-იანი წლების დასაწყისშივე დაიწყეს, თუმცა ბზარი ჯერ კიდევ 1957-ში გაჩნდა, როცა მწერალმა „ნიუ იორკერში“ მიიტანა „ზუი“ და განაცხადა, ეს მანამდე გამოქვეყნებული მოთხრობის „ფრენის“ გაგრძელებაა. ჟურნალში მომუშავე ლიტერატორთა ჯგუფს ძალიან უნდოდა, ეს ნაწარმოები დაეხლოკა, თანაც ტაქტიკადა, იმ საბაბით, რომ გაგრძელებებს არ ბეჭდავენ. რომ არა მთავარი რედაქტორისა და სელინჯერის უახლოესი მეგობრის, უილიამ მონის, სიმტკიცე, ეს ნაწარმოები ჟურნალში, ალბათ, არც გამოქვეყნდებოდა. რა გახლავთ ლიტერატორთა გაღიზიანების ფარული მიზეზი? მათთვის მიუღებელი იყო, ჟურნალში ინდუსტრიული ან მართლმადიდებლური რელიგიური ტრაქტატების მსგავსი ნაწარმოებები გამოქვეყნებულიყო (განსაკუთრებით კი, მართლმადიდებლური). საღვთისმეტყველების, ღვთისსახეების და მოხეტიალე მომლოცველები უკვე თვით რუსეთშიც კი აღარ ახსოვდათ. რა დამართნოდა სელინჯერს? „იესოს ლოცვა“ ეკლესია-მონასტრების საქმე იყო და არა — „ნიუ იორკერის“. რატომ იხსენიებდა თავის ნაწარმოებში რუსულენოვან მრჩეველს დამცინავად ან რად მოუწოდებდა ახალგაზრდებს, XIX საუკუნის რუსი მომლოცველის ცხოვრებას ჩაღრმავებოდნენ, უსახლკარო, ღვთისთვის თავგადადებული ადამიანი დაესახათ იდეალად, ეს ხომ ამერიკული ოცნებისა და ცხოვრების წესის აბურჯადგება იყო. ვინ ეგონა სელინჯერს საკუთარი თავი, ნუთუ უზენაესი ქურუმი?

„სელინჯერის სამყარო არაფერს შეიცავს სელინჯერისას, ასევე მისი მასწავლებლებისა და ნალოლიაგები აუდიტორიის... გარდა; გარეთ დარჩენილები ყველანი თვალთმაქცები არიან, რომლებიც ამაოდ ითხოვენ შუშვებს...“ — ასე ირონიულად ახასიათებს მწერლის სამყაროს მერი მაკკართი, რომელიც, ჯოან დიდიონთან და ლაიონელ თორლინგთან ერთად, სელინჯერის აქტიურ კრიტიკოსად მოგვევლინა 60-იანი წლების დასაწყისში. „ფრენი და ზუის“ ბესტსელერთა ნუსხის სათავეში მოქცევამ ჩივერიც გააღიზიანა. სელინჯერის პოპულარობით განრისხებული ჩივერი თურმე „ნიუ იორკერის“ რედაქციაში რეკავდა და ყურმილი ღრიალებდა: „რატომ შემომოკლეთ მოთხრობა?! თუ კიდევ მოგინდათ, ვინმეს სასქესო ორგანო მოაყოლო-

თ მოგახსენებულ კარში, სხვა შეარჩიეთ, ხომ გყავთ მეექვსეხარისხოვანი მწერალი სელინჯერი...“ (David Shields, Shane Salinger, 2013).

სელინჯერის კრიტიკა მეტნაკლები აქტიურობით მიმდინარეობდა ათწლეულობის განმავლობაში, თუმცა 1997 წელს ისევ გაძლიერდა გარკვეული მიზეზის გამო. საქმე ისაა, რომ ხმა დაიარსა, მწერალი „ჰაპუორთის“ წიგნად გამოცემას აპირებს. ინფორმაციამ პრესაშიც გაჟონა და ლიტერატორებიც გამოცოცხლდნენ. უცნაური ის იყო, რომ ამჯერად მისდამი ყველაზე კეთილგანწყობილი მწერლებიც აკრიტიკებდნენ, მაგალითად, პულიცერის პრემიის ორგზის მფლობელი აბდაიკი, რომელიც სელინჯერს თავის მასწავლებლად მიიჩნევდა. მას ეკუთვნის ცნობილი გამოხატულება: „სელინჯერის მოთხრობებმა თვალში ამიხილეს და დამანახეს, თუ როგორ შეიძლება, შეკრა თხრობის ქსოვილი ერთი შეხედვით ერთმანეთისგან სრულიად დაუკავშირებელი სხვადასხვა მოვლენისგან, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ ან ძალიან მცირე რამ აკავშირებთ... სწორედ სელინჯერის კითხვისას გახდნენ ჩემი გონების საქსოვი ჩხრევი ვარგისი იმისთვის, რომ ნაბიჯი წინ გადამეგდა და სათანადოდ მომექსოვა ჩემი პროზის ქსოვილი“. და, აი, ახლა „ჰაპუორთის“ ავტორს თვით მისით ესოდენ მოხიბლული აბდაიკიც აკრიტიკებდა...

საშიში ტენდენცია

XX საუკუნის II ნახევარში გაჩნდა ერთი უცნაური ტენდენცია — მხატვრული ნაწარმოებები განეხილათ ფსიქოანალიტიკური სქემებით. რატომაც ცდილობდნენ, ყველაფერი ფროიდის თეორიის ან თვით ბიბლიური გმირების ქცევაც. დიდმა ამერიკელმა მწერლებმა — ჯერომ სელინჯერმა და უილიამ ფოლკნერმა — აშკარად გამოხატეს თავიანთი გაღიზიანება აღნიშნული პროცესის მიმართ. ამის შესახებ სელინჯერი წერს: „მე ლიად ვაცხადებ, რომ არ ვენდობი ამ საკითხებში აღიარებულ ექსპერტებს — მკვლევრებსა და ბიოგრაფოსებს, და მეტადრე ამჟამინდელ მმართველ ინტელექტუალურ არისტოკრატებს, განათლება ამა თუ იმ სახელმწიფოებში სავარაუდო ფსიქოანალიტიკურ უმაღლეს სასწავლებლებში რომ მიუღიათ — და განსაკუთრებით მწვავედ ვედავები ამის თაობაზე: ისინი წესიერად არ უგდებენ ყურს ტკივილით გამოწვეულ ყვირილს იმ დროს, როცა ის გაისმის. რა თქმა უნდა, არ შეუძლიათ. ისინი ხომ მოკალულყურებიანი არისათ კრთალები არიან. როგორ შეიძლება, ვინმემ ტკივილის წყაროს მხოლოდ ხმითა და ტემპრით, ასეთი წუნდებული აღჭურვილობით, ასეთი ყურებით მიაკვლიოს?“

არანაკლებ აღიზიანებდა ფროიდისზმის გავლენის ზრდა უილიამ ფოლკნერს. განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა 1952 წელს გამოქვეყნებულმა კაველ კოლინზის ესეიმ, „შინაგანი მონოლოგები „ხმაურსა და მძვინვარებაში“, საფუძველი ჩაუყარა ფოლკნერის კვლევას ფსიქოანალიზის მეშვეობით. აღნიშნული ესეის გამოქვეყნების შემდეგ ამ თემასთან დაკავშირებით უამრავი ნაშრომი დაიწერა. მკვლევრები ცდილობდნენ, აღმოეჩინათ კავშირი ოიდიპოსის კომპლექსსა და მწერლის რომანებს შორის. ასევე, საუბრობდნენ ინცესტის ფროიდისტული სქემის გამოყენებაზე „ხმაურსა და მძვინვარებაში“.

ერთდღე ფოლკნერს თავადვე მოუხდა პასუხის გაცემა ამ საკითხთან დაკავშირებით: „ყველა საუბრობდა ფროიდის შესახებ, როცა ნიუ ორლეანში ვცხოვრობდი, მაგრამ მე ის არასდროს ნამიკითხავს. ის არც შექსპირს ჰქონდა ნაკითხული, ვეჭვობ, არც მელვილს. მოზიდიკს კი, დარწმუნებულ ვარ, ნამდვილად არ ჰქონდა ნაკითხული“.

მიუხედავად ფოლკნერის ამ განცხადებისა, მეცნიერები მაინც განაგრძობდნენ მისი რომანების ფსიქოანალიტიკური სქემებით კვლევას. 1975 წელს ჯონ ტომას ირვინი წერს ნაშრომებს „გაორგება და ინცესტი“, „გამეორება და შურისძიება“. 1994 წელს გამოქვეყნდა ესეების კრებული „ფოლკნერი და ფსიქოლოგია“, სადაც დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ოკნაპატოვას ციკლის რომანების კავშირს ფსიქოანალიზთან. ეს ტენდენცია არც შემდგომ შესუსტებულა, პირიქით, კვლევებმა ახა-

ლი მიმართულბაც კი მიიღო, ფოლკნერს უკვე არა მხოლოდ ფროიდისზმის, იუნგის მოძღვრების თვალთახედვითაც განიხილავდნენ.

რა შეიძლება, ითქვას ამის შესახებ? რატომ განაგრძეს ფოლკნერის კვლევა ფსიქოანალიტიკური სქემებით? ან რით იყო სელინჯერი უკმაყოფილო? ორივეს, ფოლკნერსაც და სელინჯერსაც, ნამდვილად ჰქონდა აღშფოთების საფუძველი. ფოლკნერის რომანებს ფროიდისტული სქემებით იკვლევდნენ, მაშინ როდესაც მწერალი ამტკიცებდა, ნამდვილად არ მაქვს ფროიდი ნაკითხული. სელინჯერს კი აღშფოთების უფრო სერიოზული მიზეზები უნდა ჰქონოდა, რადგან II მსოფლიო ომის მძიმე შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ მყოფი ეგრეთ წოდებული რეაბილიტაციის კურსის გავლისას თვითვე მოექცა ფროიდისტ ფსიქოანალიტიკოსთა მარწმუნებში. საგული-სხმოა, რომ ფოლკნერი და სელინჯერი ზოგადად ფსიქოანალიზის წინააღმდეგები კი არ იყვნენ, არამედ მისი რაღაც უნივერსალურ მოძღვრებად ქცევის. მართალია, ფროიდს, როგორც მეცნიერს, საინტერესო მიგნებები ჰქონდა ნევროლოგიასა და ფსიქოლოგიაში, მაგრამ მისი მოძღვრება მაინც არ იყო ისეთი ყოვლისმომცველი, როგორცაა მის წარმოჩენას ცდილობდნენ. სინამდვილეში, ის უფრო მოქნილი იყო, ვიდრე უნივერსალური, თანაც იმდენად მოქნილი, კარგად რომ გვეცადა, შეიძლება, ყველაფრისთვის მიგვესადავებინა, დანყებულნი ჰამლეტითა და ივლითით, დასრულებული რომელიმე ისტორიული პირის ქანდაკებით, სადაც პატარა ქალაქის მოედანზე რომ იდგა და ხელში ხმალი ეჭირა. ფროიდისტული აზროვნების ადამიანს შეიძლება, მოსწონებოდა, რომ მას ხმალი მოქანდაკემ მტრის მოსაგერიებლად კი არ დააჭერინა, არამედ რაღაც მისტიკური კასტრაციის ან ოიდიპოსის კომპლექსის გამო...

XX საუკუნეში ფსიქოანალიტიკოსებმა „პრივატიზაცია“ გაუკეთეს ბიბლიურ თემებს. ფროიდის მიმდევრად ცხადდებოდა ნებისმიერი მწერალი, რომელიც ინცესტის მოსურნეთა და მამის წინააღმდეგ ამხედრებულთა შესახებ რაიმეს დანერდა. მსგავსი რამ მოხდა ფოლკნერთან დაკავშირებითაც. მის რომანში „აბესალომ, აბესალომ!“ სწორედ ძველი ალთქმის ისტორიაა მოთხრობილი ახალ გარემოში, ახალი სახეებით. ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ჰენრი სატპენი, ბიბლიური აბესალომის მსგავსად, კლავს ნახევარძმა ბონის, რომელსაც ამონივით ინცესტი უნდა ჩაედინა. ჰენრი ამ მკვლევლობით ყველაფერი დაკარგა: ნახევარძმა ბონიც, რომელსაც აღმერთებდა; ასი კვადრატული მილის პლანტაციაც, საუკეთესო მინად რომ თვლებოდა ჯეფერსონში; სახლიც, სასამართლოს შენობისოდენა რომ იყო და, რაც მთავარია, ოჯახის წევრები... თუმცა, მამის წინააღმდეგ ამხედრებული აბესალომის ხვედრით უფრო ტრაგიკული გახლდათ — მას სიცოცხლეშივე გარდაეცვალა სამი ვაჟი. გულდამძიმებულმა იმით,

რომ შვილი არ დარჩა, ვინც მის სახელს მოიხსენიებდა, გადაწყვიტა, სვეტი აღემართა, მაგრამ ვერც ამ სვეტმა მოუტანა გმირის სახელი, პირიქით, რაბინების ჩაგონებით, ებრაელებს მის საფლავზე მიჰყავდათ ურჩი შვილები და აიძულებდნენ, სვეტისთვის ქვები ესროლათ.


თუმცა, ბიბლიური დავითისა და თომას სატპენის ოჯახურ ტრაგედიებს შორის არის დიდი სხვაობაც. აბესალომის დაღუპვით დავითის ოჯახი არ განადგურებულა, ჰენრის გაქცევისა და თომას სატპენის სიკვდილის შემდეგ კი სატპენების სახსენებელი საერთოდ აღიგავა პირისაგან მინისა. „გამარჯვებული მინა“ („victorious dust“) აი, ის ბიბლიური ალუზია, რომანის პირველსავე აბზაცში რომ გვხვდება და უნებლიეთ გვაგონებს ეკლესიასტეს სიტყვებს: „ყოველივე ერთ დავილას მივა; ყველაფერი მინისგანაა და ყველაფერი მინად იქცევა“ („all go into one place; all are of the dust, and all turn to dust again“, Ecclesiastes 3, 20).

ეკლესიასტეს სვედიანი განწყობითაა გამსჭვალული ჯუდით სატპენის სიტყვებიც: „ადამიანს მცირეოდენილა რჩევა რამე ნაკვალევი. გაჩნდები ამ ქვეყნად და სულ ცდილობ რაღაცას, თუმცა რად, თვითონაც არ იცი, და მაინც ცდილობ... მერე კი უცებ აღმოჩნდება, რომ გათავებულია ყველაფერი და ლოდინა დარჩენილა ნაკანრითურთ შენგან... და ხანი რომ გამოხდება, თავისას იზამს წვიმა და მზე და ველ-არავინ გაიხსენებს შენს სახელს, და არც არავინ შეეცდება იმ ნაკანრის ამოკითხვას და არც ამას აქვს მნიშვნელობა“ („აბესალომ, აბესალომ!“).

ამ ეპიზოდს თითქოს არა მხოლოდ აზრობრივი მსგავსება აქვს ეკლესიასტესთან, არამედ მუსიკალურიც. მისი ნაკითხვისას უნებლიეთ გვაგონდება ეკლესიასტეს სიტყვები: „ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს, და ქვეყანა უკუნისამდე ჰგვის. და აღმოვალს მზე და დავალს მზე და ადგილსა თვისსა მივალს იგი.“

ფოლკნერი არც მალავს, პირიქით, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სწორედ წმინდა ნერილია მისი შთაგონების წყარო: „გსიამოვნებს, როცა აკვირდები ძველი ალთქმის უცნაურ გმირებს, რომელთა ქმედებებიც ესოდენ ახლობელია XIX საუკუნის ადამიანების ქცევასთან“. ასე რომ, სრულრითა და გაუმართლებელია მწერლის შემოქმედების კვლევა ბიბლიური სამყაროსგან მოწყვეტით, რადგან თითქმის ყველა რომანში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იქ ბიბლიური ალუზიები, მაინც იგრძნობა ძველი ალთქმის სუნთქვა. სწორედ ამის გამო ფოლკნერის შემოქმედება არც ექვემდებარება მშრალი ეგზისტენციალური დი-აგრამებითა და ფროიდისტული სქემებით ანალიზს, რადგან ის წერდა არა აბსტრაქტულ ფილოსოფიურ იდეებსა და ნამიერ სექსუალურ იმპულსებზე, არამედ ადამიანის სულზე.

ადამიანის სულიერ გადარჩენაზე ზრუნვა იყო ჯერომ სელინჯერის უმთავრესი მიზანიც...



გიორგი ბალახაშვილი



FULL HOUSE

სარდაფი. პოკერი. თამაში-დე-ფაქტო. ქალაქის პრეფექტი, ხანდახან КГБ, წამლებს კი უბრალოდ პლაცებოს ეფექტით, ყლაპავდა ძილის წინ, როდესაც აგებდა მთელი თვის ნაოფლარს. ვისკი და სიგარა დარდს ვერ უქარვებდა და მისტერ კრუპიეს უნდობლად უცქერდა, სადმე რომ მიქაროს და გამოიჭიროს. მის ფერმკრთალ უპეებს დაჰკრავდა შიშის და გადაღლის ნიშნები, იდაყვებს ბავშვურად აყრდნობდა მაგიდას, თვალებს კი მუდმივად ძირისკენ იშვერდა, თვალებმა აქამდე ათასგზის გაყიდეს, მერე კი თითებით ისრესდა საფეთქლებს, შუბლსა და ქუთუთოს, ამ დროს კი თითები, მზერაზე მეტადაც, უტიფრად გათქვამდნენ, იღბლისგან გულსაკლავ დაცინვას იმენდა. სვამდა და აგებდა, აგებდა და სვამდა, ხან ჭერში უნევედა გადათვლა ბუზების, ხანდახან ფულ ჰაუსს რივერზე დასვამდა, ხანდახან რჩებოდა კარესთან ტუზების, პირისპირ, სარდაფში, თამაში-დე-ფაქტო, ქალაქის პრეფექტი, ხანდახან КГБ, წამლებს კი უბრალოდ პლაცებოს ეფექტით ყლაპავდა ძილის წინ, როდესაც აგებდა...

აივნები

აივნები. რიკულები. მოაჯირები. იქვე თოკები — სარეცხისთვის, სადაც ჩიტები დროდადრო სხედან, ჟღერტულუბენ, ენას იდგამენ, ეს არის მთელი ეგზოტიკა, მთელი ღიმღამი. სიო თამამად ახმოვანებს ნივრის არიებს, როცა კბილებში უსისინებს გარედან ფორებს, მზე შუბის ტარზე აგორდება, ნაივლისარი, მწუხრიდან მთვარის სილუეტი თამამად მოჩანს. ვნევარ ჰამაკში, ანუ ვებრძვი უნონადობას, ძილიანობას, სიზარმაცეს, განებვიერებას, უეცარ ბოდიშს, მისალმებას, სიცოცხლს, მადლობას, თითქოს არიაც დასრულდება აქვე, ნივრების ვრჩები გულაღმა, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა თავზე დამყურებს მწოლიარეს, მე კი უკარვო, კრილოსანის ქვეებს დავითვლი, ჩემი თილისმა ფიქრს გამიფანტავს, დამაბრუნებს ძილში, უკანვე, სადაც ჩიტები ჟღერტულუბენ, ენას იდგამენ, ეს არის მთელი ეგზოტიკა, მთელი ღიმღამი...

*** ვფიქრობ, რომ დღესვე უნდა ვენახო საკუთარ შვილებს, ანუ ისინი, ნახავენ მამას, შენ კი, ვენახო, ამაღამ ნულარ წაისისინებ, უუჩემობას! ვფიქრობ, რომ დღესვე უნდა წავიდე, დროული არის ყოველი წასვლა... ალიონზე კი ისევ თავიდან დავიწყებ გასხვლას! ვფიქრობ, რომ დღესვე უნდა ვიმდერო სიმღერა, თუნდაც ვერდაბრუნების, ყელიც მზესავით ნამოვიღერო, ვთქვა, ძღვენი არის ხოდაბუნები, ხო და ბუნების — სასმისი შევსვა! ვფიქრობ, რომ დღესვე უნდა ვენახო საკუთარ შვილებს...

*** ბათუმის წვიმებს არ უჩანს ბოლო, რას ფიქრობს ღმერთი? — ცის კირითხურო... ვზივარ სახლში და ვკითხულობ ბიოლს, ან, შესაძლოა, თავად მკითხულობს. თითქოს მცირედი რომანტიკაა, რომ იდგე სველი შუა ბულვარში... ჟღერს სისულელედ ეს დოგმატიკა, ვით აპრეხილი დალის უღვაში, რომლითაც თურმე მანძილს ამოკლებს, არ მკითხავ, ვისთან? თავად ღმერთამდე... სურვილთა შორის რჩება ამოკი, როგორც ყოველთვის, მრავალჯერადი, ვნერ სისულელეს, ნაცადი ესეც ხერხია, როცა დროის მსვლელობას ვუპირისპირებ მონოლოგს, ესსეს, ჩაის დალევას ან თვითმკვლელობას, მერე კი ცაში ვლანდავ აპაჩებს, ხმელეთზე ტანკებს და ზღვაში ნავით შევდივარ უხმოდ, როგორც ა.პ.ჩ. ვგრძნობ, ამინდია შესანიშნავი და მაინც წვიმებს არ უჩანს ბოლო... და მაინც წვიმებს არ უჩანს ბოლო... და მაინც წვიმებს არ უჩანს ბოლო...

*** ზღვის ტალღებს მოაქვს სუნი სიმღამის. სიღამი. ქაფის ქვეშ ისე ყრია კენჭები. ვეჭვებდი.

სანაპიროზე გადაგანაყდით შენ და ნიჟარებს. ბინა-იჯარით. მალე იწვიმებს. ჰორიზონტის მიღმა მზე ჩავა. ბეჩავი. გამოცლილი გვაქვს ძალ-ღონე და ლუდის ბოთლები. მგონი, ვლოთდებით. ბოლო თეთრამდე დაიხარჯა ჩვენი ავისტა. ცხელი აგვისტო. მეღანქოლია ჩამავალ მზეთა, მახსოვს ვერლენი. ველარ გელევი. მზე უნებურად ზღვის ფსკერისკენ მშვიდად დაქანდა. გიცდი ბაქანთან. მორჩა. წავედით. მე კი, კარგო, ასე მგონია, სარფი, გონიო, რომ სამუდამოდ შემორჩება კადრებად ხსოვნას. ფრანგული კოცნაც! ზღვის ტალღებს სუნი მოაქვს სიმღამის...

სიზმარი

მათ, ვინც შიმშილი საკუთარი ხუთი თითივით, დიდი ხანია, მარცვალ-მარცვალ გაიხეპირა, ვისაც ყელში აქვს ამოსული უხმოდ ტივტივი, ფსკერზე კი არა, იმის იქით და სურს, ჯვბირის სიმტკიცე ჰქონდეს, ისე იდგეს, რომ ვერ წალეკოს ათასმა ტალღამ, ათასგვარმა ტაიფუნებმა, მეტყველად იდგეს, რომ სიჩუმის ჩქამიც არ იყოს, რომ არ დაემსხვრეს იმედები ფაიფურივით ზღვათა ხმაურში, თოლიების გამკვივან ხმაში, როს მეკობრეთა ქვემეხთაგან ვარდება ბოლი, რომ მთელი ზეცა გადაღებოს სუდანურ ხნაში, რომ ჰორიზონტის კიდებზე ნითელი ბოლო ჩამონვეს, როგორც შებინდება, როგორც მიმწუხრის ლოცვა, თვითგვემა, მეტანია, როგორც მხილება, მზესთან — ვარსკვლავთა ანუ ყველა მისი ძმისწულის, მათი სიზმრების, ზმანებების, უფრო ხილვების, მათი კაშკაშის, მათი ციდან მონყევების წამის, მათზე სურვილის ჩაფიქრებაც, ძილის წინ დათვლა, მართლა მეჭეჭებს ხომ არ აჩენს იმავე ღამეს, ან როგორ ქმნიან სილუეტებს თევზების, დათვის, ჟირაფის, კურდღლის, მშვილდოსანის, მენახირისი, ითვლი და ძილი გეპარება, როგორც ტივტივა — თვალებზე და შენც გამოაღწევ სანაპიროსკენ, რომ ეს სიზმარიც საკუთარი ხუთი თითივით გაიხეპირო, გაიღვიძო და წყალთან მოყვე, მოყვე ნახევრად მძინარემ და თვალების ფშვნივით და მერე წყლითვე მოიბანო შუბლი და ლოყა და არაფერი აღარ შეგრჩეს ამ ლექსის მეტი...

თვითმფრინავები

თვითმფრინავები ღრუბლებს სერავენ, ეს ყველაფერი მესად ნახე, ნუ დაიჯერებ, ქვეყნად ვერავინ ვერ შეძლებს შენი უმანკო სახის გამოყვანას და სიტყვის უთქმელად, თვალში მიციქირე, უბრალოდ მენდე, მე ვარ მართალი და პირუთენელი და ყველაფერი აზრს კარგავს შემდეგ, თიხისანი ვართ და ნათიხარნი, ვერ გაივლება ჩვენში ტიხარი, დაიმახსოვრე, დაიმახსოვრე, დაიმახსოვრე, აკი გითხარი: ბავშვური სახის, ობოლი სახის, კეთილი სახის, მეტყველი სახის, მართალი სახის, ნათელი სახის, მცინარე სახის, უზადო სახის, კიდევ ათასი სახის და სახის მოქანდაკებას, მოჩუქურთმებას, ნუ დაიჯერებ, ქვეყნად ვერავინ შეძლებს და ერთი სიტყვის უთქმელად გახედე ღრუბლებს, როგორ სერავენ თვითმფრინავები... თვითმფრინავები...

*** ლონდონი და პარიზი და ჰავანა და ზუგდიდი, მახსოვს, პატარაობისას ზაფხულს როგორ ვუცდიდი, ერთი გოგო შემეყვარდა, როგორც ნაპოს ჟოზეფინა, გულზე — ჯავრი, თვალზე — ბინდი უნებლიედ მომეფინა, არაერთი გამეცვითა განწყობა და ნიღაბი, მახსოვს მისი ღიმღილი და თვალ-წარბი და ნიკაპი, მისთვის უცნობ ავტორთაგან ლექსებს ჩუმად ვინერდი, მაინც ვერ ვიჩაიკოვსკე, მაინც ველარ ვივერდე, ბოლოს თავად გადავწყვიტე სტრიქონების აკინძვა, ვინძლო, ასე ირჯებოდა ღამ-ღამობით ტაბიძე, ლონდონი და პარიზი და ზუგდიდი და ჰავანა, მახსოვს ყველა ლოკაცია, ადგილი და სავანე, მახსოვს ყველა შებინდება, მახსოვს ყველა რიჟრაჟი, მირაჟები, მირაჟები, მირაჟები, მირაჟი, ლონდონი და პარიზი და ჰავანა და ზუგდიდი, მახსოვს, პატარაობისას ზაფხულს როგორ ვუცდიდი...

სკამი

ჩამოვიბანე ამ დღის ჭუჭყიც ღამის ლაქებთან ერთად და ვფიქრობ, რას მოიტანს ხვალის ქრონიკა, მთელი ოთახი გაურკვეველად მელაქლაქება, ვერაფერს ვიგებ, არ მიცდია, შენც არ მომიკვდე. ავიღოთ სკამი, მაგალითად, უბრალო სკამი, რომელიც უკვე ზურგს მიმაგრებს თითქმის მეხუთე წელია, იცის ყველა ჯდომა, მიმოხვრა, ჩქამი, ხმაური, გმინვა, ღამისთევა, სულის შეხუთვა, გადაღლილობა, მწუხარება, ლოცვა, ლოდინი, დაკარგვა, ძებნა, იშვიათად რამის მიგნება, მან იცის ბევრი, უფრო სწორად, მცირეოდენი დოზით კამათი, კინკლაობა, გაქილიკება ჩემივე თავის, მეგობრების ან უფრო ბედის, ტყუპისცალივით შემეზარდა, ველარ ვიცილებ, ვინძლო, იცინის, როცა მთვრალი უმიზნოდ ვყბედობ და, შესაძლოა, ჩემზე მეტად უყვარს სიცილიც. გვყავს ერთადერთი მეგობარი, რუხი მაგიდის სახით და ამგვარ გაუსაძლის დღეების დასტას გადავავაგორებთ ან უბრალოდ ფეხით დავკიდებთ, რომ სისხლი ტვინში ჩაექცეს და უეცრად გასკდეს წნევის მონოლით ეს დღეები — ასე უცნობი, ასე თავნება, რომც გინდოდეს, გვერდს ვერ აუვლი, ამ სკამმა იცის ყველა ნატვრა, ყველა ოცნება, ყველა იმედი, მოგონება და სასწაული! ჩამოვიბანე ამ დღის ჭუჭყიც ღამის ლაქებთან ერთად და ვფიქრობ, რას მოიტანს ხვალის ქრონიკა, სკამიც, მაგიდაც გაურკვეველად მელაქლაქება, ვერაფერს ვიგებ, არ მიცდია, შენც არ მომიკვდე.

გზა მშვიდობისა. სინანული არავითარი, მიდიხარ, მტოვებ, უკვე დროა, კარიც გაიღოს და როგორც ძველი, უსარგებლო, რამე ქვითარი, მოგონებიდან ამოვიშლი რიცხვებს, თარიღებს, დღეებს, რომელიც გვიხაროდა, ერთად ვიყავით, დღეებს, რომელიც ერთმანეთის ცქერით დაღამდა, ის ბნელი ღამე, კუნაპეტი, როგორც ჭილყავი, ის ბნელი ღამე, სიშვე რომ ჰქონდა მაღრანთა, ის ბნელი ღამე შემორჩება ფიქრის ხნულებში, სხვა მიზეზები არ ვეძიოთ, სამიც გვეყოფა: გადარჩენისთვის, დიმილისთვის და სანუგეშოდ, უტოპიაა, რაც გავტოპეთ, რაც ვერ შევტოპეთ, უტოპიაა ყველაფერი, იმ ღამის მიღმა, იმ ღამის იქით, მოგონებაც აღარ მაშინებს, წარმოსახვასაც ეკარგება ფერი და სიღრმე, ვერდაბადებულ ჩანასახად ჩემს ხსოვნაშივე რჩება და მიწვეს შენზე ფიქრით თავის შექცევას, ან უარესი, ფიქრის ნაცვლად სმა და გაღეშვა და უღიმიამოდ დაწერილი დასტა ლექსების, აზრის და გონის, ყოველგვარი გრძობის გარეშე. გზა მშვიდობისა. სინანული არავითარი, მიდიხარ, მტოვებ, უკვე დროა, კარიც გაიღოს და როგორც ძველი, უსარგებლო, რამე ქვითარი, მოგონებიდან ამოვიშლი რიცხვებს, თარიღებს...

CAFÉ DE FLORE

ვინა სთქვა, თითქოს დემი ურგია, მერე რა, თუკი გვარი აქვს მური? ხშირად პოეტი დემიურგია, ზოგსაც სახეზე უსვია მური. როგორ უხედება მურა კამიუს, პარიზი, აქ დულს Café de Flore, ბევრი წერს, მაგრამ მურაკამისთან უფრო ახლოს ხარ, მეტად ეფლობი. ხშირად იხილავთ კაფეში სარტრის, იქვეა სიმონ დე ბოუვარიც, სარტრი უკვეთავს ყავას და შარტრეზს, რთულია, სარტრის უთხრა უარი. ზოგჯერ კაფეში სტუმრობს პიკასო, საოცარია მონმარტრის ბინდი... ის აგდებს სიტყვას და ინტრიგასო, მერე დგება და უჩუმრად მიდის. აქ არის ზორბა ჰემინგუეიც, საუბრობს ბევრს და ხმის აკუსტიკა გამოსცემს ბგერებს: ა, ო, უ, ე, ი და თანხმოვნების უვრცეს მუსიკას. სხედან ბრეტონი და არაგონიც, აპოლინერი ცლის ფინჯან ყავას, ერთხელ იქნება მეც მათთან წავალ, ეტლით, ფიქრებით ანდა კლაქსონით. ვინა სთქვა, თითქოს დემი ურგია, მერე რა, თუკი გვარი აქვს მური? ხშირად პოეტი დემიურგია, ზოგსაც სახეზე უსვია მური.

BRUGGE-ANTWERPEN

ბელგია. სადგური. ბაქანი. რეისი: ბრიუგე-ანტვერპენ. წინ ჯდება მგზავრებთაგანი, ხელში კი უჭირავს მარკ ტვენის არც ისე მოზრდილი ნოველა,

უცქერი მორჩენილ ვიტრაჟებს, კადრებად ეწყობა ყოველი, კადრებს ხომ არა აქვს ტირაჟი, მკლავეზე კი წითელი არმიით ასხვავებ მგზავრებს და გამყოლის ხელებს და სიგრძეზე არშინის გამოწვდილ კიდურებს აყოლებ თვალებს და ჯიბეში ხელს იყოფ, რომ მისცე სამგზავრო ბილეთი, რა დროსაც აწყდები ლექსიკონს, ნერვები გაჭირავს კბილებით, შენ იჩხრეკე მეორე ჯიბესაც, აქ გხვდება ასანთის კოლოფი და რჩები ქურთუკის იმედზე, სახეზე სინითლე ბოლოკის გადაგდის, როდესაც ეხება თითები ქალაღდს და გიეღვებს: გადარჩი! არ გითრთის ფეხები, პატარა ბავშვივით ინერვი-ულე და წინ გიზის მარკ ტვენის არც ისე მოზრდილი ნოველით, შუახნის კაცი და მოელი, თუ როდის მიაღწევ ანტვერპენს...

ქუჩა. სიცივე. საღამო. მარტი. სარკმლიდან ისმის ედიტ პიაფის Milord და მოსჩანს ღვინის აღმართი, არც ისე მოკლე, მე კი იაფად მინდა, გამოვძვრე ისე, რომ დავთვრე, თან წაეხეხმსო, მაგრამ გროშებად, ან მითავალოს ნისიის დავთრებს, ბარის მფლობელმა — ნითელქოშებამ, რომელსაც უკვე წლებია, ვიცნობ, რომელიც უკვე მიცნობს წლებია, ჩვენი ნახვისას იფიქრებთ, ვინძლო, ძმადნაფიცები ეგებებიან ერთი-მეორეს, ასი წლის შემდეგ, არ დაგჭირდებათ დიდი მისნობა... ვიცნობ სუყველას, ქვეშევრდომს, ზემდეგს, რაც მთავარია, თავად მიცნობენ. ვჯდები, ვუკვეთავ ჯერ ჭიქა აბსენტს, მიმტანსაც მოაქვს მცირედი ხემსით, არა მგონია, დათრობა ამცდეს, ძაღლის ნაბუნხზეც ექიმმა ნემსი რაც გამიკეთა, მას მერე თითქმის ხუთი ან ექვი თვეა გასული, პირველი ყლუპიც ისეა თითქოს, პირველად ვსვამდე, ვითომ ზრდასრული ახლავა გავხდი და თქვეს მშობლებმა: დღეიდან ცოტას თუ დაღევ, კარგი, სასმელი ვერ კლავს დარდს და პრობლემებს, ბევრის დალევა არაფერს გარგებს, სასმელს თან ახლავს ხმაური, ჩხუბი, ერთობ უმიზნო აყალ-მაყალი... სასმელმა იცის სითხელე უბის, სასმელმა იცის წნევა — მაღალი, უკვე მესამე ჭიქაზე ვხვდები, ორად ვუყურებ კედლის გობელენს, ვიცი, მშობელი არასდროს ცდება, მაგრამ არასდროს გვესმის მშობლების, არა მგონია, დათრობა ამცდეს, Milord და მოსჩანს ღვინის აღმართი და ვუსმენ პიაფს, ვუკვეთავ აბსენტს, ქუჩა. სიცივე. საღამო. მარტი...

კაპელდინერი

ადრე თუ გვიან, დამიჯერე, სიტყვაზე მენდე, წამოიჩოქებს გაჭირვების აქლემი კართან... ასე იქნება სახვალიოდ, ასეა დღემდე, გუშინაც ასე ჩამოეშვა წითელი ფარდა და მერე კვამლით ამოივსო მთელი ფოიე, მთელი ფოიე ამოივსო მერე ყაყანით, იყო ერთგვარი ქაოსი და ეიფორია, ფეხზე ძლივს იდგა ერთი კაპელდინერთაგანი, მოხუცი კაცი... ოცდაათი წელი თეატრში დგას ასე დინჯად, მომლოდინედ, ხანდახან უბრად, რიგსა და სექტორს ერთი ხელის მოსმით შეარჩევს, იქვე გულწრფელად გაუღიმებს თეატრის სტუმრებს, მიხურავს კარს და სანამ მოვა რიგით პირველი ანტრაქტი, მანამ რეკვიზიტორს ესაუბრება, თუ მარტო არის, განა რაა გასაკვირველი, ამ დროს თავისთვის წაიმღერებს: ეს ალუბლები რამ დამავინყოს... ლადო უყვარს, ასათიანი, დგას ასე დინჯად, უსანთოდ, ხელში — ასტრაით, ნეტავ გამოწნდეს კაცი, ვინმე, ასანთიანი, რომ სიგარეტზე მოუკიდოს, სანამ ანტრაქტის ზარი დარეკავს და ფოიეს გაავსებს კვამლი, გაავსებს კვამლი და ყაყანი მომცრო ფოიეს, ეს იყო გუშინ, არის დღეს და იქნება ხვალე, ხალხი, ქაოსი, ხმაური და ეიფორია. ადრე თუ გვიან, დამიჯერე, სიტყვაზე მენდე, წამოიჩოქებს გაჭირვების აქლემი კართან, ასე იქნება სახვალიოდ, ასეა დღემდე, გუშინაც ასე ჩამოეშვა წითელი ფარდა...

აქეთ ხობია, ხეთაა და ხამისკურია, არც მარტი მიდის კარის ერთი გაჯახუნებით... ბებო — სერიალს, ბაბუ უცდის ღამის კურიერს, ეზოში წყვილად დაცვარულან კონახურები. აშო ჩელაო — ბებო მღერის და მჭადებს აცხობს, ბაბუს ღუმელთან გასაშრობად უდევს თუთუნი, გარეთ კი ქარი ეხუტება ასწლოვან ცაცხვებს და ჭირვეულად, ობოლივით, რაცხას დუღუნებს. ოთახს სურნელი ამოავსებს ნემოს ფოთლების, ბებო ნადულში გადაურევს პიტნას, წინაკას... მე ზაფხულს ვუცდი, გემოზე რომ გავიოფლები, ბურთის თამაშით დაღლილები — მდინარისაკენ თავქუდმოგლეჯით დავეშვებით, რადგან, ბატონო, ზეპირად ვიცი ამ სოფელში თვალდახუჭულმა: ჭიშკარი, ძაღლი, რა თქმა უნდა, ძაღლის პატრონიც, ყოველი კენჭი, შესახვევი, კუთხე, კუნჭული, შუკა, დაღმართი, სამწუხაროდ, ნასახლარებიც... ვიცი საშიში, გაუყალი თითქმის ტყეებიც, ქორწილზე მეტად მოგვიხშირდა დასაფლავება, სოფელს თანდათან გაეცალუნ მუაკენები... აქეთ ხობია, ხეთაა და ხამისკურია, არც მარტი მიდის კარის ერთი გაჯახუნებით... ბებო — სერიალს, ბაბუ უცდის ღამის კურიერს, ეზოში წყვილად დაცვარულან კონახურები.

აპისტოს წვია

ვიცი, არ გძინავს, გეფიქრება ალბათ აგვისტოს გრილ საღამოზე, თავად გრილზე, ქაფქაფა ლუდზე, ეს უხვირო სტრიქონებიც რომ გავასხვისო, განა უკეთესს რას მივიღებ, ვზივარ და ვუმზერ — მოპირდაპირე კორპუსიდან მბჟუტავ სინათლეს, ამ დროს სოფელში დუმილს არღვევს ჭრიჭინების ხმა... მე კი, ჯიუტად, უთავბოლო სიზმრებს მივმართავ, ხშირად გისიზმრებ, რა კარგია, ძილინებისა. ვიღვიძებ. ვდგები. ვერ გპოულვ. გეძებ. ვიძინებ. ვიღვიძებ. დილა. სამსახური. ყავა. თამბაქო. ვენევი. ვჯდები. ვრეკავ. ვთიშავ. ვრეკავ. ვიციანი. ვდგები. ვავდივარ. განვიმდება. ვსუნთქავ. ქალაქიც თითქოს თავიდან იბადება. მოთქმაა სულის — მტვრიან ფოთოლზე წვიმის წვეთი — კოკისპირიდან...

ალოე

ალოეთა უბრობა არის უბრალოება. ვერ შეხვდებით ალოეს — საარჩევნო აბრებად. იქნებ წყალი სწყურიათ ახლა უბრ ალოეებს, ან აბრაკადაბრები? კითხულობენ ალოეს — უხმოდ და უბრალოდ, იქნებ ბევრმა არც იცის, არის საბრი-ალოე, ხოლო თავად ალოე, არც ისე უბრალოა, თვალთა საბრიალოა. ხოლო თავად ალოე, უებარი ალოე, არის მორცხვი, უენო, წამახული ბალახი და უღმერთოდ კარგია ანუ უებრაელოდ, თითქმის უალაჰოდაც. ხოლო თავად ალოე შუაზე რომ გახლიჩო, ჩვილი ბავშვის ცრემლივით უმანკო და გლუვია, ალოესგან მზადდება ალაღინის ხალიჩა, ამშვენებენ იგლუებს.

ბაორება

ხანდახან ჩემშიც იღვიძებს ღმერთი, ხანდახან, როცა ეშმაკს ვაძინებ, ხანაც უიღბლო მეძავებს ვეტრფი, ხანაც მცველი ვარ წმინდა ბარძიმის. ხან საკუთარი დარდი მაცინებს, ვფიქრობ, ტკივილიც ტკბილი ძღვენია, ბედნიერებაც როგორ მამძიმებს, ბედნიერების თითქოს მრცხვენია.

აპუსნი

დავაგდებ წალდს და ეჩოს. ჟანგი მოედოს შალაშინს. მომიწვეს გულის გადაშლა. თამაში ჭვავის ყანაში. უსუსურსა და ბეჩავს. იფქლს გამოვარჩევ ღვარძლიდან. თუ არ მოვარდა ღვარცოფი. დახრილ თავთავებს ვაკოცებ. ნასოფლარია ატოცის. სიმინდის ყანებს ვვარცხნიდე. მთავარანგელოზს გადავალ. საყდრის კარს ურდულს ავუხსნი. გოგოს სიყვარულს ავუხსნი. გულზე საკინძქს ავუხსნი. მერე ჭკუიდან გადავალ...

მარჯვის კრეჭისას თითქმის ხიჭვი შეერჭო. თავიდან ვერც იგრძნო, ან იგრძნო და ყურადღება არ მიაკცია, მაგრამ საღამოს უსიამოვნო შეგრძნებამ შეანუხა. იფიქრა, მამისგან ნასწავლ ტრადიციულ მეთოდს გამოვიყენებო, თუმცა საკერავის ნაცვლად შპრიციის ნემსი აიღო და ხიჭვის ამოღება სცადა. ვერ მოახერხა — რაღაცნაირად ვერ უმინებდა, ხიჭვს აცილებდა ნემსს, ხან მარჯვნივ უხვდებოდა, ხან — მარცხნივ. თითქოს ორდებოდა გამოსახულება. მერე ცალი თვალი მოჭუტა და, როგორც იქნა, ნემსი იქ მოახვედრა, სადაც უნდოდა. ვერ კანი გაჭრა, შემდეგ მეორე ხელის ცერა თითით მიანვა ხიჭვს და კანიდან ამოაგდო. მოეშვა და დაისვენა.

ლამით აივანზე იჯდა სავარძელში და ისვენებდა. ეზოში ბეტონზე დაგდებულ მწვანე-სტაფილოსფერ ბურთს შეხვდა, მიხვდა, რომ რაღაც ისე არ იყო და მარცხენა თვალი მოჭუტა. ფერები უცნაურად დაინახა, რაღაცნაირად ბნელად, თითქოს რამდენიმე ტონით მუქი იყო მწვანეც და სტაფილოსფერიც. მერე მარჯვენა თვალი მოჭუტა. ფერები ისე აღიქვა, როგორც ორივე თვალით. მწვანე მწვანე იყო და სტაფილოსფერი — სტაფილოსფერი. ისე მარცხენა თვალი მოჭუტა, მერე მარჯვენა, ეფექტი იგივე მიიღო. მიხვდა, რომ მარჯვენა თვალს რაღაც რიგზე ვერ ჰქონდა. სხვა ნივთებზე გადაიტანა მზერა და იქაც იგივე პრობლემა დააფიქსირა — მარჯვენა თვალით ყველაფერს უფრო მუქად თუ ბნელად ხედავდა.

სახლში შევიდა და ქმარს უთხრა, მარჯვენა თვალით ფერებს კარგად ვერ აღვიქვამ, ფერების სიმკვეთრე თუ სიმძაფრე ამცირებულია. ქმარმა უპასუხა, დღეს გვიანია და ხვალე ჩავენერთო ჩემს ოფთალმოლოგთანო, თან სათვალე შეისწორა. კარგო, უთხრა ეკატერინემ. რაღაც ფილმს უყურეს და ჩაეძინათ. ჩაძინებამდე შეამჩნია, რომ მარჯვენა თვალით ყველაზე ცუდად მწვანეს ხედავდა, ბალახებს, ფოთლებს, მწვანე ნივთებს და ეს უთხრა ქმარს. დაიმახსოვრე და ეგეტ ვუთხრათ ხვალ ოფთალმოლოგსო, მიიღო პასუხად. ქმარს ადრე ჩაეძინა, ცოლმა ფილმის დასრულებამდე გაძლო და მერე მანაც დაიძინა.

დილით ოფთალმოლოგიურ კლინიკაში დარეკა. ქმრის ოფთალმოლოგთან ჩანერეს ორ დღეში, მანამდე ადგილები არ ჰქონდათ. ის ორი დღე თვალის ქუთუხში გაატარა: ხან მარჯვენას დახუჭავდა და შეხედავდა კონკრეტულ საგანს, ფერს და აფიქსირებდა, შემდეგ მეორე თვალს მოჭუტავდა და იმავე საგანს მეორე თვალით უყურებდა, ადარებდა ფერებს. განსხვავება ამკარა იყო: მარჯვენა თვალით ცალსახად უფრო ბნელ და მუქ გამოსახულებას ხედავდა, ვიდრე მარცხენა თვალით. ეს ორი დღე ცალკე ის გუგლავდა ინტენსიურად და ცალკე მისი მეუღლე. დატონიზმზე ნაიკითხვე ბევრი, აქრომატოფსიაზე, დიქრომაზიაზე, დეიტერანომალიაზე, დეიტერანოპიაზე, ტრიტანოპიაზე, პროტანოპიაზე, ფერთა სიბრმავეზე, ამბლიოპიაზე და ბევრ სხვა პათოლოგიაზე. რაღაც სტატია შეხვდა, კატა ეხატა და ეწერა, თუ როგორ ხედავენ ამ სურათს სხვადასხვა დაავადების მქონე პირები. ყველაზე მეტად შიზოფრენიის მქონე პაციენტის რაქმა მოეწონა, სურათზე იმის გარდა, აქც სინამდვილეში იყო გამოსახული, ჩანდა სხვადასხვა ფერის ნაპერწკლები, სხივები და კამკაშა ლაქები. სამსახურიდან დაბრუნებულ ქმარს აჩვენა ეს სურათი — ნახე, რა საინტერესოდ აღიქვამენ სამყაროს შიზოფრენიკებიო, უთხრა. უი, რა საინტერესოაო, უპასუხა ქმარმა და ხმამაღლა გაიცინეს ერთად. ფსიქიკურ პრობლემებთან შეხების გამოცდილება არ ჰქონდათ და ფიქრობდნენ, რომ მათგან ძალიან შორს იყო ეს ყველაფერი.

ოფთალმოლოგიურ კლინიკაში მისულეები სტანდარტულად მისაღებში შეაყოვნეს. პირადობა მომეციოთ, მოსთხოვა დახლთან მჯდარმა ქალმა. პირადობა არა, პირადობის მონობა ჰქვია ამ დოკუმენტსო, უთხრა ეკატერინეს მეუღლემ. მისცეს საბოთი. ელოდნენ, სანამ დააქსეროქსა, ისტორია გახსნა, ქალადომანია ჩაატარა და გადასახდელად ბუღალტერიაში გაუშვა. მივიდნენ, გადაიხადეს და მისაღებში დაბრუნდნენ. მისაღების ქალმა რომელიღაც კაბინეტში გაუშვა მოსამზადებლად. იქ ექთანნი დახვდათ, რაღაც აპარატით მხედველობა შეუმონმა და რაღაცები გადაიღო,

მერე თვალბეჭდის გუგების გასაფართოებელი სითხე ჩაასხა და სთხოვა, მოეცადათ. ოფთალმოლოგის კაბინეტთან დასხდნენ და დაიწყეს ლოდინი. საათზე ცოტა მეტ ხანში ეკატერინეს ქმრის ოფთალმოლოგი გამოვიდა და თავის კაბინეტში შეიპატიჟა. შესულეს ექიმმა ჰკითხა, რა ანუხებდათ. ეკატერინემ უამბო, რა პრობლემაც ჰქონდა. იქაც რაღაც პროცედურები ჩაუტარეს, თვალბეჭდის ჩახედეს, მხედველობა ისე შეუმონმეს, სხვადასხვა გამოსახულება აჩვენეს ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა თვალით და დაადგინეს, რომ 100%-იანი მხედველობა ჰქონდა. ეკატერინემ კიდევ ერთხელ აუხსნა ოფთალმოლოგს ის, რომ მარჯვენა თვალით ფერებს (განსაკუთრებით მწვანეს) განსხვავებულად აღიქვამდა.

გადატირებული გრაფიკი და ამიტომ მასთან ჩაენერა, მაგრამ ჯერ ტომოგრაფია უნდა გაეკეთებინა. გაუმართლა და ტომოგრაფიაზეც მალევე ჩაენერა — ადგილი გამოთავისუფლდა, ასე უთხრეს.

მეორე დილითვე ქმართან ერთად მივიდა კლინიკაში. სტანდარტული პროცედურა გაიარა, ქმარმა 500 ლარი გადაიხადა და ეკატერინე მალევე შევიდა ტომოგრაფირების სივრცეში. სამკაულები მოახსენებინეს (ქორწინების ბეჭედს ვერ ელვოდა, მაგრამ სხვა გზა არ დაუტოვეს) და დაწვინეს ტომოგრაფიის აპარატზე. თითქმის ერთი საათი იწვა გაუნძრევლად, ადგომის შემდეგ რადიოლოგმა თავის ოთახში შეიყვანა. ყველაფერი კარგად არის, აქ არაფერი ჩანს, მაგრამ რაღაც არაერთგვარო-

ამირან ფაჩუაშვილი

ექვების გამორიცხვის მიზნით



ექიმმა უთხრა, რომ თვალი დაზიანებული იყო და შესაძლებელია მხედველობის ნერვის პრობლემა ყოფილიყო. ამიტომ ექვების გამორიცხვის მიზნით მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია და ნევროლოგიის კონსულტაცია დაუნიშნა. სამწუხაროდ, მე დიაგნოზს ვერ ვსვამ, ვნახოთ რას გვარჩენებს ტომოგრაფია და ნევროლოგი რას გვეტყვისო. მხედველობა გადაუხადეს და ნაშრომიდნენ. რაც აინტერესებდათ, ის ვერ გაიგეს, იმას კი მიხვდნენ, რომ ექვების გამოსარიცხავად გარკვეული ქმედებები უნდა განეხორციელებინათ.

ეკატერინე მხატვარი იყო. მწვანე ფერი უყვარდა განსაკუთრებით. ხშირად არ ხატავდა, მაგრამ ძირითადად პეიზაჟებს ქმნიდა. ნახატებს ფეისბუქით ყიდდა, თუმცა ეს შემოსავალი პირადი ხარჯების დასაფინანსებლადაც კი არ ჰყოფნიდა. ქმარი ერთ-ერთი სუპერმარკეტების ქსელის იურისტად მუშაობდა და ხელფასიც ნორმალური ჰქონდა. ქმარს ხელშეკრულებების პროექტების მომზადება უწევდა და ტექსტებში საკმაოდ ხშირად იყენებდა ფრაზას „ექვების გამორიცხვის მიზნით“. ამ ფრაზას მაშინ წერდა ხოლმე, როდესაც სხვაგვარი ინტერპრეტაციის გამოსარიცხავ მხარეებს სხვადასხვა რამეზე ადასტურებდნენ. პუნქტი ასე იწყებოდა — „ექვების გამორიცხვის მიზნით მხარეები ადასტურებენ, რომ:“ და შემდეგ გრძელდებოდა სხვადასხვა განცხადებითა და დადასტურებით. არც ეკატერინეს უყვარდა ექვები და არც მის მეუღლეს. ცდილობდნენ, არ ექვნიანთ ერთმანეთზე და ეს საკმაოდ კარგადაც გამოსდიოდათ იმის გათვალისწინებით, რომ საექვნიანო მართლაც არაფერი ჰქონდათ.

ოფთალმოლოგთან ვიზიტის მომდევნო დღეს ეკატერინემ შემდგომი ქმედებების დაგეგმვა დაიწყო: ახლოხელ (მამამისის მეგობარ) ნევროლოგს დაურეკა და ჰკითხა, სად ჯობდა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის გაკეთება. ნევროლოგმა ის კლინიკა ურჩია, სადაც ყველაზე ახალი და ყველაზე მძლავრი აპარატი ქონდათ. ნევროლოგს ისიც ჰკითხა, შეძლებდა თუ არა კონსულტაციისთვის მის მიღებას, მაგრამ ახლობელმა უპასუხა, რომ აქტიურ პრაქტიკას ჩამოშორდა და თავისი ორი კოლეგა ურჩია. ეკატერინემ გაარკვია და აღმოჩნდა, რომ მისი ნევროლოგის კოლეგათგან ერთთან სამი თვით ადრე უნდა ჩანერილიყო, მეორეს არ ჰქონდა ასეთი

ვინაა ერთ უბანზე და ექვების გამორიცხვის მიზნით სჯობს, იგივე პროცედურა კონტრასტითაც გავიკეთოთო. სხვა რა გზა ჰქონდა, დასთანხმდა ეკატერინე, მისმა ქმარმა კიდევ 150 ლარი გადაიხადა, სისხლში კონტრასტული ნივთიერება შეუყვანეს შპრიცით და თავიდან დაწვინეს ტომოგრაფიის აპარატზე. კიდევ ნახევარ საათს იწვა გაუნძრევლად. რომ ადგა, რადიოლოგმა ისევ თავის ოთახში შეიყვანა და უთხრა, ექვები გამოვრიცხეთ, არანაირი დაზიანება არ არისო.

ეკატერინე და მისი ქმარი გახარებულები გამოვიდნენ კლინიკიდან. უხარობდათ, რომ არც ტვინი იყო დაზიანებული და არც მხედველობის ნერვები. სისხარულმა მალე გადაურათ, როდესაც გაახსენდათ, რომ ის პრობლემა, რის გამოც ეს პროცედურა გაიარეს, კვლავ გადაუჭრელი იყო და მეტიც, არც კი იცოდნენ, რა იყო დიაგნოზი, ანუ რა ერქვა ამ პრობლემას, ან რა იყო მისი გამომწვევი მიზეზი. ეკატერინემ ოფთალმოლოგს დაურეკა, უთხრა გავიკეთე ტომოგრაფია და არაფერი არ არისო. იმან უთხრა, პასუხი რამდენიმე დღეში იქნება და, როცა აიღებ ჩემთან მოდი და მოიტანე. ეს რამდენიმე დღე ხატვაში გაატარა. მინდორი დახატა, მწვანე, ხასხასა, წითელი ყაყაობებით, ლურჯი ცით, ცაზე მზით, მზეზე სტაფილოსფერი ლაქებით. შეხედავდა მარცხენა თვალით, ხედავდა ბალახს, შეხედავდა მარჯვენა თვალით, ბალახი თითქმის არ ჩანდა, უფრო სწორად ჩანდა, მაგრამ არც მწვანე იყო და არც ხასხასა. სურათიც გადაუღო ნახატს, ფეისბუქშიც დადო, მიანერა ვყიდო, ბევრი ლაიქიც მიიღო, თუმცა მყიდველი არავინ გამოჩნდა.

ორი დღის შემდეგ კლინიკაში მივიდნენ, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის პასუხი (დასკვნა) და დისკი აიღეს და ოფთალმოლოგთან წავიდნენ. მეორე კლინიკა საკმაოდ მოშორებით იყო, თან საცობების გათვალისწინებით დიდი დრო დასჭირდათ გზაში, სანამ დანიშნულების ადგილამდე მიღწევდნენ. სტანდარტული პროცედურა გაიარეს მისაღებში, დიხანს ელოდნენ და ბოლოს შევიდნენ ოფთალმოლოგთან, რომელმაც ნაიკითხა რადიოლოგის დასკვნა და თქვა, რომ მისი გარკვეული ექვები გამორიცხული იყო, თუმცა სხვა ექვების გამორიცხვის მიზნით ორი ახალი აპარატული გამოკვლევა დაუნიშნა ეკატერინეს. ოფთალმოლოგისგან გამოსულ შემთხვევაში და გაარკვიეს, რომ ამ კვლე-

ვებს სხვადასხვა სპეციალისტი აკეთებდა. იმავე დღეს შეუძლებელი იყო, რადგან უკვე ხუთი საათი გამხდარიყო და ამ დროს კლინიკა ასრულებდა მუშაობას. მომდევნო დღეს არ ეცალბათ და იმის შემდეგ დღეს ჩაენერნენ ორივე კვლევაზე.

ეს ორი დღე ისევ ნერვიულობასა და თვალბეჭდის ქუთუხში გაატარა ეკატერინემ. ტელევიზორის ყურებისას ხან მარჯვენა თვალს დახუჭავდა, ხან — მარცხენას. ამკარად ატყობდა, რომ განსხვავება ყველაზე მეტად მწვანე ფერთან დაკავშირებით იყო. თითქმის ვერ აღიქვამდა მწვანეს მარჯვენა თვალით, თუმცა, აი, გარეთ შუქნიშნის მწვანეს საკმაოდ ვარკვევით ხედავდა მაშინ, როცა მაგალითად ბალახს ან ფოთლებს — თითქმის ნაცრისფერად, შემთხვევათა უმრავლესობაში კი მწვანეს ლურჯად აღიქვამდა.

გავიდა ორი დღე და ისევ მივიდნენ ოფთალმოლოგიურ კლინიკაში. ჯერ ერთ გამოკვლევაზე შევიდა, რამდენიმე წუთის განმავლობაში გაუნძრევლად უნდა მჯდარიყო და ერთ ნერტილი ეყურებინა. მერე მეორე გამოკვლევაზე, აქაც იმავე უძრაობის მისია ჰქონდა შესასრულებელი, ოღონდ სხვა მიზნით. რომ მორჩა, რაღაცები დაუბეჭდეს ფერადად და გადასცეს. მოჰკიდა ამ ქალაქებს ხელი და ისევ ოფთალმოლოგს მიადგა. კართან ელოდა საკმაო ხანს და ბოლოს შევიდა. ოფთალმოლოგმა დახედა ქალაქებს და ეკატერინეს სიხარულით განუცხადა, რომ მისი ექვები ახლა თითქმის სრულად გამორიცხა, მაგრამ ექვების საბოლოოდ გამორიცხვის მიზნით ეკატერინეს ურჩია კლინიკის დირექტორთანაც გაველო კონსულტაცია. რა თქმა უნდა, ძალაში რჩებოდა ასევე კონსულტაციის გავლის საჭიროება ნევროლოგთანაც. რომ გამოვიდნენ, ეკატერინეს კლასელი — სათვალეებიანი და ულვაშებიანი უშანგი შეხვდათ, ისიც ოფთალმოლოგი იყო და იმ კლინიკაში მუშაობდა. თავის კაბინეტში შეიპატიჟა ეკატერინე და მისი მეუღლე და სთხოვა, მოეყოლათ, რა ანუხებდათ. ყველაფრის მოსმენის შემდეგ ეკატერინეს ურჩია, მოდი, კიდევ ერთ რადიოლოგთან მიდი და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის დისკი აჩვენე, შენ ვისთანაც იყავი, მე მაგ რადიოლოგზე არაფერი მსმენიაო. ეკატერინე ძალიან დაიბნა, აღელდა, გაბრაზდა, მაგრამ მაქსიმალურად შეიკავა თავი, კლასელს მადლობა გადაუხადა, დაემშვიდობა და მისი კაბინეტი ქმართან ერთად დატოვა.

კლინიკიდან იმაზე უფრო მეტი ექვით გამოვიდნენ, ვიდრე შევიდნენ და იმაზე მეტი რამ ჰქონდათ გასაკეთებელი, ვიდრე ოფთალმოლოგთან პირველი ვიზიტის შემდეგ. იმ დღეს ამის თავი აღარ ჰქონდა და შემდეგ დღეს თავის ნაცნობ ნევროლოგს მეორე ნევროლოგის ტელეფონის ნომერი გამოართვა და დაურეკა ვიზიტზე ჩასანერად. ნევროლოგმა მომდევნო დღეს დაიბარა ორიდან სამ საათამდე ერთ-ერთ საბჭოთა ყაიდის კლინიკაში. მეორე დღეს ნევროლოგთან ქმრის გარეშე მივიდა. სანდომიანი ასაკოვანი ქალბატონი აღმოჩნდა, ყურადღებით სინჯავდა თითქმის ერთი საათის განმავლობაში, მოაყოლა ყველაფერი, ბევრი შეკითხვა დაუსვა, ყურადღებით მოუსმინა, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის დასკვნა ნახა, ოფთალმოლოგის მიერ დანიშნული კვლევების შედეგებს გაეცნო და ექვების გამორიცხვის მიზნით ეკატერინეს ორი ლაბორატორიული კვლევა დაუნიშნა, თან ისიც უთხრა, რომ ეს კვლევები საქართველოში არ ტარდებოდა და აღებულთა მასალა სახელგანთავრეთ უნდა გავზავნილიყო — ამ ეტაპზე მე დიაგნოზს ვერ ვსვამ, თუმცა, მოდი, დაგინიშნავ გარკვეულ მედიკამენტებს, რომლებიც არაფერს დაგიზავებს და დამატებით ვნახოთ, კვლევა რას მოგვცემსო. ოღონდ ჩემზე უფრო კვალიფიციურია ერთი ნევროლოგი, იმასთან თვეებით ადრე ეწერებინა, თითქოს ქსანაქსს ისე ვერ დალევენ, ამ კაცმა თუ არ დაუნიშნა, ამიტომ მაინც დაიჭირო თადარიგი და მასთანაც ჩაენერეო.

ნამოვიდა ეკატერინე, აფთიაქში შევიდა, ორი დანიშნული ნაწილიდან ერთი დეფიციტური აღმოჩნდა, მხოლოდ ერთ აფთიაქში იყო საკმაოდ მოშორებით. ის დღე არ იყო ფასდაკლების და ამიტომ მეორე დღის საღამოს ქმართან ერთად მივიდა იმ აფთიაქში, სადაც დეფიციტური მედიკამენტი უნდა ყოფილიყო და იყიდა ორივე ნაწილი,

ფასდაკლების დღის მიუხედავად საკმაოდ ძვირი აღმოჩნდა ნევროლოგის მიერ დანიშნული ერთ-ერთი პრეპარატი. ეკატერინეს არ ჰქონდა და ქმარმა გადაიხადა. აფთიაქიდან გამოსულები ეკატერინეს ქმრის მანქანაში ჩასხდნენ და მოწყენილები წავიდნენ სახლისკენ. ქმარმა ჰკითხა, ახლა რა უნდა ვქნათო. ეკატერინემ უპასუხა, ანალიზები უნდა გავიკეთო ეჭვების გამორიცხვის მიზნით, დაახლოებით 300 ლარი მჭირდება და იქნებ მასესხო, დაგებრუნებ, სურათებს რომ გავიცილო. არ გრცხვენიაო, მიუგო მეუღლემ, რა უნდა გასესხო, მოგცემ და გეხვეწები, დაბრუნებაზე არც იფიქრო. ასე არ მინდა, ისედაც ყველაფერს შენ იხდიო. თუ არ მასესხებ, მაშინ არ გამოვართმევ და ჩემი დაქალისთვის მომიწევს თხოვნაო. კარგი, როგორც გინდაო, უპასუხა ქმარმა და როგორც კი სახლთან მანქანა გააჩერა, მაშინვე მისცა ფული საყვარელ მეუღლეს.

მეორე დღეს ეკატერინე იმ ერთადერთ ლაბორატორიაში წავიდა, რომელიც დანიშნული ორი ანალიზისთვის მასალას საზღვარგარეთ გზავნიდა, ქმარმა მიიყვანა და დატოვა, რადგან სამსახურში აგვიანდებოდა. რიგის ნომერი აიღო, ჯერ გარეთ სთხვეს მოცდა, მერე შიგნით უცადა თავის რიგს, ბოლოს ოპერატორთან მივიდა, რადგან უაზრო საბუთის ხელმოწერა აიძულეს (ისე უარს ეუბნებოდნენ მომსახურებაზე), მერე აღმოჩნდა, რომ 300 ლარზე ოდნავ მეტი ღირდა ეს ანალიზები, ნაწილი ქეშით გადაიხადა, ის ოდნავ მეტი ზარათით (ბოლო სურათის გაყიდვით მიღებული თანხის მცირე ნაწილი ჰქონდა დარჩენილი). გადახდის შემდეგ ისევ ლოდინი მოუწია, ცოტა ხანში შეიყვანეს ოთახში, სადაც სისხლი უნდა აეღოთ, ცოტათი ატიკინეს, ნაწილს არზე ლეიკოპლასტარი დააკრეს, ჯანმრთელობა უსურვეს და გამოისტუმრეს.

გარეთ გასულმა აღმოაჩინა, რომ ტაქსის ფული აღარ ჰქონდა, იფიქრა, ბარათზე ხომ მექნება ცოტა და ლურჯი ავტობუსით წავალ სახლშიო (სადაც ყური მოჰკრა, თუ წაიკითხა, რომ უკვე პლასტიკური ბარათითაც შეიძლება მგზავრობის საფასურის გადახდა). გაჩერებაზე მივიდა, ტაბლოზე მოძებნა მიმართულება, რომელიც აწყობდა, ნახა, რომ ათი წუთი უნდა ეცადა და მშვიდად დაიწყო ლოდინი. ტელეფონში ჩაიხიდა, დაქალის სორები დაათვალიერა, ქმარს მისწერა, სისხლი ჩავაბარე და სახლში მივიღე, ანგარიშზე არსებული ნაშთი შეამოწმა (ჰქონდა ცოტა). ამასობაში მწვანე ავტობუსი მოვიდა, იფიქრა, მე ხომ ლურჯი მინდოდაო, მაგრამ მერე გაახსენდა, მარცხენა თვალი მოჭრულა, ირონიულად გაიღიმა და ახლა უკვე მოლურჯო-მონაცრისფრო ავტობუსში ავიდა.

მგზავრობის საფასური ბარათით გადაიხადა, მართალია, ხუთჯერ მოუწია ცდა, მაგრამ ბოლოს მაინც განხორციელდა ტრანზაქცია მას შემდეგ, რაც გადახდის აპარატს შეახო თავისი მობილური ტელეფონის აპარატი და გაისმა ამის დამადასტურებელი პოზიტიური სიგნალი. სანამ იხდიდა, საკმაოდ უჭირდა მოჯანჯლარე ავტობუსში წონასწორობის შენარჩუნება, სახელურებს ხელს არ ჰკიდებდა ჰიგიენური მოსაზრებების გამო. გადასახდელ აპარატთან მობილური ტელეფონის აპარატის შეხების შემდეგ ჯიბიდან ანტიბაქტერიული სველი ხელსახოცების შეკვრა ამოაცურა, სველი ხელსახოცი ამოიღო და განმინდა მობილური ტელეფონი, რომელიც შემდეგ ჯიბეში ჩაიღო. მერე ხელსახოცი გაკეცა, სახელურზე დააფინა და ზუსტად იმ ადგილას მოჰკიდა ხელი, სადაც ხელსახოცი დააფინა. ახლა უფრო მყარად იდგა, სახელურისთვის ეკიდა ხელი, მართალია, სველი ხელსახოცის გამო სრიალებდა, მაგრამ ჰეარში ხელების ქნევას და ძირს დაცემის საფრთხეში ყოფნას ცალსახად სჯობდა.

გზაში მგზავრთა საუბარს თუ ჭორაობას უსმინა. აპოლიტიკურების პოზები ეჭირათ, თუმცა პოლიტიკაზე ლაპარაკობდნენ. აუცილად უმრავლესობის მთავარი სათქმელი, ერთმანეთის ლანძვრაზე გადასვლის მცდელობაც იყო, მაგრამ ნეიტრალური მგზავრების მეცადინეობით განიმუხტებოდა ხოლმე დაძაბულობა. ეკატერინეს რამდენჯერმე მოუწინა აზრი გამოეხატა, მაგრამ სწრაფადვე მიხვდა, რომ ეს მას მხოლოდ დაზიანებდა, ანუ ნერვებს მოუშლიდა და ამიტომ იმდენჯერვე შეიკავა თავი. ზოზინ-ზოზინით და ტაატ-ტაა-

ტით მიუახლოვდა ავტობუსის სახლთან ახლოს მდებარე გაჩერებას. დიდი ჯანჯლარის და წინ და უკან მიგდებ-მოგდების შემდეგ ავტობუსი გაჩერდა და ეკატერინეც ჩავიდა.

სუპერმარკეტში შევიდა, რძის პროდუქტები (ხაჭო და თხევადი იოგურტი) ჩაანყო კალათაში — ერთი დიდი ბოთლი კოლა, ორი ქილა ენერგეტიკული სასმელი, შოკოლადის ერთი ფილა, გრანოლა ანუ ქრანჩი მიუსლი, სალექი რეზინი და მარილიანი ჩხირები. სალაროსთან მივიდა, ეს ყველაფერი ამოალაგა, მოლარემ გაატარა, ჰკითხა ბარკი თუ უნდოდა, ეკატერინე გაღიზიანდა, თუმცა ბრაზს მოერიდა და უპასუხა, კიო. მოლარემ თანხა უთხრა, მობილური ტელეფონი ამოიღო და მხოლოდ გადახდის ნარეზი მისცა (მცდელობის შემდეგ გაახსენდა, რომ ანგარიშზე თანხა აღარ ჰქონდა. შერცხვა, ბოდიში მოიხადა, პროდუქტების თავიანთ ადგილებზე დაბრუნება დააპირა, მაგრამ სიტუაციური უპირატესობით მოსარგებლედ მდებარე, მაგრამ ტატუიანმა მოლარემ წამიერ პიედესტალზე შემდგარმა ზემოდან ნიშნის მოგებით ჩამოსძახა, ჩვენ მივხედავთო.

ანიტობული ეკატერინე სუპერმარკეტიდან გავარდა და სახლისკენ ჩქარი ნაბიჯით წავიდა. საშინლად გრძობდა თავს, რადგან იცოდა დაცარიელებულად და შეურაცხყოფილად. ჯიბეც (ცარიელი ჰქონდა, თონის პურიც კი ვერ იყიდა სახლში ასატანად). სახლში შევიდა, ფეხსაცმელი და ქურთუკი გაიხადა, საძინებელში შევარდა და საწოლში ჩაემხო. კარზე ზარმა გააღვიძა, წამოდგა, ქმარს კარი გაუღო და ჩაეხუტა. მოუყვა, რაც გადახდა, ვაშშობაც კი არ შეუთავაზებია. ქმარმა მოუსმინა, შეწუხდა, ანუ გემა ეკატერინე და ჩაის ერთად დალევდა შესთავაზა. სამზარეულოში შესულ შემდეგ მაგივარში ბევრი ვერაფერი იპოვეს და პირდაპირი მნიშვნელობით ჩაის დალევა მოუწიათ. ქმარმა ჰკითხა, ახლა რას ვაპირებთო. ანალიზების პასუხებს უნდა დაველოდოთ, მერე ნევროლოგთან მივიდეთ და მერე ისევ ოფთალმოლოგთანო, მიუგო ეკატერინემ. და ნევროლოგთან ან ოფთალმოლოგთან რისთვისღა უნდა მივიდეთო, ჰკითხა ქმარმა. ეჭვების გამორიცხვის მიზნითო, უპასუხა ეკატერინემ და თვალები დახარა. ქმარმა უთხრა, ფულს მე გადმოგირიცხავ და ყოველდღიური ხარჯებისთვის გეცემო, ექიმებთან ვიზიტებსაც მე დაგიფინანსებ, ოღონდ ამ ყველაფერის კეთებას რა აზრი აქვს, მართლა გაუგებარია უკვეო. ეკატერინემ უთხრა, ეს იმისთვის უნდა გავაკეთოთ, რომ მშვიდად ვიყოთ, მე ჩემს ნახატებს დავხატავ და მაგ ფულს უკან დაგიბრუნებო. კარგი, საყვარელო, როგორც გინდა, უბრალოდ ბევრი აღარ დამრჩა და რაც მაქვს ხელფასამდე როგორმე უნდა ვიმყოფინოთო, უთხრა ქმარმა, ისევ ჩაიცვა ცოტა ხნის წინ გახდილი ფეხსაცმელი და ქურთუკი და სუპერმარკეტში ჩავიდა.

მეორე დღით გაღვიძებულ ქმარს ეკატერინეს ტირილი შემოესმა სახელოსნოდან, შეიძლება ამან გააღვიძა საერთოდ. სახელოსნოში შესულს ეკატერინემ უთხრა, რომ არა მხოლოდ მწვანეს, არამედ ფერებს საერთოდ ვეღარ ხედავდა. ქმარმა იფიქრო, რომ გულში რაღაც ჩასწყდა, არ იცოდა, რა ეთქვა, მაგრამ ძალია მოიკრიბა მაინც და უთხრა, ნუ დარდობ, საყვარელო, ვუშველით ამას რამესო. მწვანეს რომ ვერ ვხედავდი, იმას ვერ ვუშველით და ფერთა სრულ სიბრმავეს რა უნდა ვუყოთო, შესჩივლა ეკატერინემ, ახლა რა უნდა ვქნა, როგორ უნდა დავხატო, ან სადღავავებს ფერები უნდა დავანერო და მერე ნახატებსაც, სად რა ფერია ან უნდა გადავერთო გრაფიკაზე, რომელიც არასოდეს მიყვარდაო. ნუ გეშინია, საყვარელო, დღესვე ჩაენერე ოფთალმოლოგთან, მივიდეთ და რაიმე გამოსავალს მოვძებნითო, უპასუხა, ჩაიცვა და სამსახურში წავიდა.

ოფისში მისულმა ეკატერინეს ქმარმა დიდი ჭიქა გაავსო აპარატის ორმაგი ამერიკანოთი, თავის მაგიდას მიუჯდა, ლეპტოპში ის ხუთი დოკუმენტი გახსნა, რომელზეც მიმდინარე პერიოდში მუშაობდა, სიტყვა „ექვე“ დასერჩა ყველა ფაილში, სამში აღმოჩნდა და ფრაზა — „ექვეების გამორიცხვის მიზნით“ — ყველგან ნაშალა. მერე მწვანე ნებოვან ფურცელზე (სთიქი ნოუთზე) იგივე სიტყვები დაწერა, სამი ძახილის ნიშანი დაუსვა და კედელზე მიაკრა...



კოკა ნულაია სიზმარი

— ბაილკიძე, ჯენტლმენო, — ხმის ტემბრი ძალზე მომხიბლავი გოგონასი უნდა იყოს.

ვახელ თვალებს, მშვენიერი არსება დამეყურებს საკმაოდ ახლო მანძილიდან და მიღმის. ალბათ მძინავს, ავტობუსურად ვხუჭავ თვალებს, ორ წამში ისევ ვახელ. არ მძინავს! ვინ არის და მე ამ უცხო გარემოში საიდან მოვხვდი? შავგვრემანი, ეშხიანი გოგო შორდება სანოლს, რომელშიც რატომღაც ტანსაცმლით ვწევარ. შარვალი, წინდები და მისური მაცვია, პერანგი და კოსტიუმი სათუთად არის გადაკიდებული სკამზე.

— მიირთვი და ადექი, — თან ბორჯომის დაორთქლილ შუშის ბოთლს მანვდის.

სერიოზული ნახაზსხეული ვარ. გუშინ ძმ-აკაცის შვილის ქორწილში ვიყავი, გარკვევით მახსოვს. ტაქსის გამოძახება მინდოდა მისასვლელად, დიდხანს ცვდილობდი და ამოდ. მერე დავექოქე ჩემი ავტო, მივედი რესტორანში იმ იმედით, რომ ნასვამი „ფხიზელ მძღოლს“ ვიქირავებდი. საოცარი გარემო დამხვდა, უამრავი გამოპრანჭული ადამიანი. ეჰ, რაც იქ მყოფი ქალბატონების ვარცხნილობასა და მაკიაჟზე თანხა დაიხარჯა, სიამოვნებით ჩავიხსნიან ებდი ჯიბეში. სუფრას ნუ იკითხავთ — დიდი, ფართო მაგიდები დახუნძლული უამრავი კარგად გაფორმებული კერძით, უმრავლესობა ვერც გავსინჯე. დიდი ხნის უნახავი მეგობრები შევიკრიბეთ ერთ მაგიდასთან და დავეცხეთ. არ მიყვარს ეს „ფუფერი“ სმა, რამდენი უნდა დაისხა და მერე დალიო. ამიტომაც არ მახსოვს ნახევარი ქორწილი, თან ერთმანეთის თითქმის არ გვესმოდა, ქორწილი იყო თუ კონცერტი?! ძველი ფილიში კადრივით, ალაგ-ალაგ რომ წყდება და არ ჩანს, მახსოვს — ჩემს ავტოში ვსხდებით მეგობრები, ისინიც ჩემს კონდიციონერზე, ან უარესად არიან. არავის უთქვამს, ასეთი მთვრალი არ დაჯდეს საჭესთანო და მეც ფილმ „ტაქსი“-ში ნანახი ტრაექტორიითა და სისწრაფით დავძვრებოდი გზის ორივე მხარეს თავისუფალი მონაკვეთების ძებნით. ბუნდოვნად მახსოვს, როგორ მივედი ერთ-ერთ კლუბში. ან როგორ არ დავიღუნეთ, ან პატრულს როგორ გადავურჩით, გასაკვირია. იქ, ბართან ვისკი დავისხე, გადავკარი და მორჩა. მერე არაფერიც არ მახსოვს.

— ხომ არ დაგავიწყდა გუშინდელი დანაპირები? — მეუბნება, თან თვალს მიკრავს.

რას დავპირდი ამ ანგელოზს? რომ ვერ შევესრულო? ყველაფერზე თანახმა ვარ, მაგრამ თავი მიხურს, ცუდად ვარ, ბორჯომი ვერ მშველს.

— რამე სპირტიანი გექნება...
უცბად ვისკით სავესე ჭიქა მომიცუნცულა. დაუფიქრებლად გადავკარი ერთი, მერე — მესამეზე უკვე გონება მუშაობას იწყებს, თვალეზე ჩრდილი მშორდება, ეს არსება კი უფრო ლამაზდება. ნეტა რით დავიმსახურე მისი ყურადღება? მაქარად მასთან ვარ სახლში.

— მეტს ვეღარ დავალევი, დიდი გზა გვაქვს გასავლელი, გურიაში მივდივართ. ვატყობ, სიმზურვალე მემატება, ოღონდ სპირტიანის ბრალია თუ გაურკვეველი მომავლის, ჯერ ვერ ვხვდები.

— თან შარვალი გაიხადე და მომანოდე, ცოტა უთოს გავუსვამ.

ავტობუსურად ვასრულებ ბრძანებას. ნეტა გურიაში რა გვინდა და სამაგიეროდ არაფერი მოვითხოვე მე უტვიზომ? თითქოს ეს ყველაფერი ხმამაღლა წამოვროშე, აგრძელებს:

— საყვარელი ბიძაშვილის დაბადების დღეა დღეს და მელოდება აუცილებლად, სამაგიეროდ ერთი სურვილის ასრულებას დაგპირდი, — თან ეღიმება.

— მივდივართ, თუ გინდა უფრო შორსაც წავიყვან. ნებისმიერ სურვილს შემისრულებ? — გავთავებდები.

— რასაც შევძლებ, აუცილებლად. ჟრუანტელი მივლის, მუცელში პეპლები ფრთხილებენ, ეს გოგო ჩემია!

უკვე ლიფტთან ვართ, შიგადაშიგ თვალს ვაპარებ მისი მიმართულებით, მაღალ, სწორ და გამოყვანილ ფეხებს მადისალმ-ვრელი უკანალი მოსდევს, დეკოლტე აჩენს საკმაოდ მოზრდილი მკერდის შუა ღარს... სითბო მეღვრება მთელ სხეულში. დიდი მანძილი უნდა გავიარო, მაგრამ ბოლოს ისეთ საჩუქარს ველოდები, ყველაფერზე ვარ წამსვლელი. ვისკის ბოთლი მიგვაქვს, ნაბახუცევი რომ შემომიტყვის, ცოტ-ცოტას მივეცემ, ხანძარი რომ ჩავაქრო. მსუბუქი მუსიკა გვაქვს ჩართული და ლაქლაქით მივსრიალებთ ავტობუსზე. საკმაოდ თბილი, მზიანი გაზაფხულის ამინდია, რაც კიდევ უფრო კარგ ხასიათზე მაყენებს. თავის შესახებ უამრავი ისტორიას მიყვება, ცოტა ქარაფშუტა ჩანს ჩემი გოგო, რა ბედნიერებაა, რომ გაცივანი. რიკოთის უღელტეხილს თითქმის გავცდით, საუბარი საჭმელზე დავიწყეთ, ესე იგი, მოგვშივდა. იქვე უძველესი რესტორანი „ოდა“ შევიშინეთ, გადავხედე თანამგზავრს, ისიც მიმიხვდა ჩანაფიქრს და ავტო ვერევე ჭიშკართან მივაციენე. სასმელიც თან მიმაქვს. მეორე სართულზე ცალკე „კუპეში“ ავდივართ. ოფიც-იანტი მკვირცხლი იმერული ბიჭია, სალათა ნივრით, ყველი იმერული, კრაჭუნა, მჭა-დი კეცზე, შემწვარი ვარია, ნეკლები კეცზე, ლიმონათი, ვისკის ჭიქები არ აქვთ, არა უშავს ღვინისაც ნავა... ხელების დასაბანად გავდივართ ორივე, საპირფარეშო სისუფთავით ვერ დავიკვირებ, ვიბან ხელებს და ამ დროს შუქი ქრება. წვლებით გამოვდივარ სიბნელიდან, თეოც აქვდა, შემინებული თვალებით.

— ნუ გეშინია, ახლავე გადავრეკავ და ჩავართვევინებ, — მომინდა გავაკვირო ჩემი გოგო! — ერთი მეგობარი მყავს, „მანონა“, ელექტროენერჯის მომწოდებელ კომპანიასთან აქვს შეხება. თუკი როდისმე დამჭირვებია, სულ მასთან ვრეკავ, არასდროს გავუზიზღებია. ერთხელაც ცვდი, იქნებ გამიმართლოს.

ამასობაში მაგიდასთან დავსხდით, შენუხებული ოფიც-იანტი შემოდის ლანგრით ხელში, სუფრას გვიწყობს, მე კი ტელეფონზე ვრეკავ. ეგრევე მპასუხობს ჩემი გაჭირვების ტალკვესი, ვუხსნი ჩემს დელიკატურ მდგომარეობას, ისიც სწრაფად მპასუხობს, დავრეკავ და ვეცდები დახმარებასო. თეო და ოფიც-იანტი ინტერესით ელოდებიან მოვლენების განვითარებას.


პაატა ნაცვლიშვილი

...და ისევ თანხმოვ(ა)ნებანი

ეს ამ გაზეთში „თანხმოვ(ა)ნებანის“ მესამე პუბლიკაციაა. მრავალლექსიანი ციკლის 36 ნიმუში „ლიტერატურული გაზეთის“ 2021 წლის მე-10 ნომერში დაიბეჭდა, კიდევ 36 კი 2022 წლის მე-11 ნომერში გამოქვეყნდა. ვისაც ის პუბლიკაციები ახსოვს, უკვე იცის, რომ ამ პოსტმოდერნისტული ლექსების სათაურებში ყოველი რიცხვი თანხმოვნითა ადვილს შეესაბამება ქართული ანბანის 33-ასოიან რიგში. მათთვის ალბათ ზედმეტია იმის გაგებობაც, რომ, ავტორის თქმით, თითოეული სქოლიო ლექსის განუყოფელი ნაწილია, თუმცა, ავტორისავე სიტყვებით, მისი ნაკითხვა, ისევე როგორც თავად ლექსისა, სულაც არ არის სავალდებულო.

მკითხველს წინა ორი პუბლიკაციიდან ისიც ემახსოვრება, რომ ამ ციკლის ლექსები ხშირად სტიქიურად იწერებოდა და ამა თუ იმ მოვლენის — საზოგადოებრივის, კულტურულის, სპორტულისა თუ ცხოვრებისეულის — ერთგვარი გამოძახილია და აქედან მოდის მათი დოკუმენტური ბუნებაც.

წინა 72 ლექსის მსგავსად, ეს 36 ლექსიც პირველად იბეჭდება, თუმცა მათი უმეტესობა გასულ ათასწლეულშია დაწერილი. და, რა თქმა უნდა, იმდროინდელია სქოლიოებიც. ამიტომ, შესაძლოა, სქოლიოებში მოტანილი ბიოგრაფიული თუ ზოგიერთი სხვა სახის ცნობა ამ პუბლიკაციაშიც რამდენადმე მოძველებული იყოს.



15.15.13.

რომელი ერთი ჩამოგიტვალო: დიდი კარლო¹ თუ მოკლე პიპინი², მეფეები და იმპერატორნი, პრეზიდენტები, რომის პაპანი, ანდა ელჩები — სულხან თუ საბა³, მიქელანჯელო — გვარად პიპანი⁴: ან ფიროსმანის⁵ მეთევზეები, სუნდუკიანცის⁶ ანდა პეპონი⁷...

¹ კარლოს I დიდი (742-814) — ფრანკთა და ლომბარდთა მეფე, კაროლინგების იმპერიის დამფუძნებელი. ² პიპინ მოკლე (714-768) — ფრანკთა მეფე, კარლოს დიდის მამა. ³ იგულისხმება სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725) — დიდი ქართველი მწერალი და ლექსიკოგრაფი, ვახტანგ VI-ის ელჩი ევროპაში. ⁴ მიქელანჯელო პიპანი — იტალიის პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში (2000-2003). ⁵ ნიკო ფიროსმანი ანუ ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი (1862-1918) — გენიალური ქართველი მხატვარი. ⁶ გაბრიელ სუნდუკიანი (1824-1912) — თბილისელი სომეხი მწერალი და დრამატურგი, ავტორი საქართველოში თავის დროზე უაღრესად პოპულარული პიესისა „პეპო“ (1871), რომელიც სპექტაკლადაც არაერთგზის დაიდგა (პირველად — 1875) და ფილმდაც გადაიღეს (1935).

15.15.13. (2)

გადაკარგულან სად ის მხედრები? სად გარდასულან მამა-პაპანი? სად არის ღვთისო, სად არის თორღვა, სად არის ზეზვა ანდა პაპუნა? შუა ვენაში — ნეტა რა უნდა? — დგას ესპანელი მღვდელი პეპონე¹, „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიაშილი“, სხვა მანქანების ისმის პიპინი.

¹ პეპონე — იგივე იოზეფ ბონეტი (დ. 1943), ავსტრიაში მოღვაწე ესპანელი მღვდელი, ავტორის კეთილი ნაცნობი; სრულიად ახალგაზრდა კატალინიდან რომში გაგზავნის სასულიერო ცოდნის გასაღრმავებლად; თუმცა გერმანული ცულად იცოდა, სწავლის გასრულების შემდეგ ვატიკანმა ავსტრია მიუჩინა სამოღვაწეოდ; იტალიურად მწირველ ესპანელ მღვდელს ავსტრიულ ელემბა პეპონე შეარქვეს — ფერნანდელის (1903-1971) გმირის სახელი მაშინ მიუღიერებდა მალზე პოპულარული ფილმების სერიიდან დონ კამილის შესახებ; 2001 წლიდან გერმანულად წერს ლექსებს და წიგნებს გამოსცა; მისი ლექსები თარგმნილია ქართულადაც (გაზეთი „ბიბლიოთეკა“, 10, 2005).

15.17.02.

გინდ მომცე პარამარიბო¹, გინდა მიბოძო პერობა, მცნებას ვერ შემაცვლევინებ ვერაფრით, ჩემო პირიბე², უშენოდ ზღაპრულ ქეიფებს, არ უნდა ამას პირობა, მე მირჩევნია ათასგზის შენთან უბრალო პურობა.

¹ პარამარიბო — ეგ ზოტიკური სურინამის უფე ზოტიკურის დედაქალაქი. ² იგულისხმება ტელეჟურნალისტი პირიბე გვარდიანი — ავტორის კეთილი ნაცნობი და თანამშრომელი საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე.

15.17.13.

გახუნდნენ მძები გრიმები¹, ანდერსენები², პერონი³, გაექცა პირანიებს⁴ და აღმა წავიდა პარანა⁵, მატარებელი გაჩერდა, ლიანდაგს გაჰყვა პერონი... ასე ზღაპრებშიც არ ხდება — დედოფლად ხდება პერონი⁶.

^{1,2,3} იგულისხმებიან საქვეყნოდ ცნობილი გერმანული, დანიელი და ფრანგი მეზღაპრენი — მძები იაკობ (1785-1863) და ვილჰელმ (1786-1859) გრიმები, პანს ქრისტიან ანდერსენი (1805-1875) და შარლ პერო (1628-1703). ⁴ პირანია — მტაცებელი კაცობა თევზი. ⁵ პარანა — მდინარე სამხრეთ ამერიკაში, რომელშიც ბინადრობენ პირანიები. ⁶ მარია ევა დუარტე დე პერონი (1919-1952) — არგენტინის პირველი ლედი 1946-1952 წლებში. არგენტინის ორგზის პრეზიდენტის (1946-1955; 1973-1974) ხუან დომინგო პერონის (1895-1974) მეორე ცოლი.

15.19.13.

ბოლოს მაინც დაფარავს შენს ხსოვნასაც პატინა¹, ჩაიხრჩობი ლეთეში², ვით მარშალი პეტენი³, რასპუტინი⁴ იყავი, გინდ იყავი პუტინი⁵. არ სჭირდება, პატენი⁶, ამ ყველაფერს პუტინი!

¹ პატინა — უანგის მომწვანო-მოყავისფრო თხელი ფენა, რომელიც ჩნდება სპილენძის, ბრინჯაოსა და თითბრის ზედაპირზე ბუნებრივად ან სპეციალური დამუშავების შედეგად. ² ლეთე — დაიწყების მდინარე ბერძნულ მითოლოგიაში. ³ მარშალი ანრი ფილიპ პეტენი (1856-1951) — ფრანგი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, კოლუმბოციონისტი, ვიშის ფაშისტური რეჟიმის თავკაცი. ⁴ გრიგორი რასპუტინი (1869-1916) — ციმბირელი გლეხი და მკურნალი „ბერი“, საყოველთაოდ ცნობილი იმით, რომ უდიდესი გავლენა ჰქონდა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ოჯახზე. ⁵ ვლადიმირ პუტინი (დ. 1952) — 2000 წლიდან რუსეთის ფედერაციის ხან პრეზიდენტი და ხან პრემიერ-მინისტრი, ფაქტობრივი დიქტატორი. ⁶ პატენი — ბატონი (მეგრ.).

17.02.10.

სცენაზე იდგა დრაკონი¹, დამდგმელიც იდგა — რობიკო², დარბაზში ისხდნენ კუბრიკი³, რუბი⁴, კუბიკის რუბიკი⁵, ცეკას მდივანი, შერიფი, ახოტნიკი⁶ და რიბაკი⁷. ზოგს ადიდასი⁸ ემოსა, ზოგს — პუმა⁹, ზოგსაც — რიბოკი¹⁰.

¹ „დრაკონი“ — რუსი პოეტისა და დრამატურგის ევგენი შვარცის პიესა, რომელიც რუსთაველის თეატრში დადგა რობერტ სტურუამ (პრემიერა — 15.10.1976). ² რობიკო — სახელოვანი ქართველი რეჟისორი რობერტ სტურუა (დ. 1938). ³ იგულისხმება სტენლი კუბრიკი (1928-1999) — დიდბრიტანელი და ამერიკელი კინორეჟისორი, კინოოპერატორი და ფოტოგრაფი. ⁴ იგულისხმება ჯეკ ლეონ რუბი(ნშტინი) (1911-1967) — ამერიკის შეერთებული შტატების 35-ე პრეზიდენტის ჯონ კენედის (1917-1963) მკვლელის ლი ჰარვი ოსვალდის (1939-1963) მკვლელი. ⁵ ნიო რუბიკი (დ. 1944) — უნგრელი არქიტექტორი, მოქანდაკე და გამოგონებელი, კომპიუტერამდელი ეპოქის ბოლო გენიალური თავსატეხის სათამაშოს „რუბიკის კუბიკის“ შემქმნელი. ⁶ ახოტნიკი — მონადირე (რუს. охотник). ⁷ რიბაკი — მეთევზე (რუს. рыбак). ^{8,9,10} „ადიდასი“, „პუმა“, „რიბოკი“ — სპორტული სამოსისა და აღჭურვილობის ბრენდები.

17.12.11.

გზას ანადოლუ¹ გვინათებს, წინ გველოდება რუმელი², ტელევიზორში შემოდის რომის რემი და რომული³, მერე შემოდის პარიზი, მერე შემოდის რამალა⁴, პალესტინელთა ქალაქი — არაფატს⁵ უპყრავს რომელი.

¹ ანადოლუ ფენიკი — ანადოლუს შუქურა, რომელიც შვი ზღვის ანატოლიის სანაპიროს ერთ-ერთ ბორცვზე, ბოსფორის სრუტეში შესასვლელში მდებარეობს. ² რუმელი ფენიკი — რუმელის ისტორიული შუქურა სტამბულის ევროპულ ნაწილში, ბოსფორის სრუტის ბოლოში (თავში). ³ რემი და რომული ანუ რემუსი და რომულუსი — რომის ლეგენდარული დამაარსებლები; პირველობისთვის ბრძოლაში რომულუსმა მოკლა რემუსი. ⁴ რამალა — პალესტინის დედაქალაქი ავტონომიის მთავარქალაქი, იერუსალიმიდან 10 კილომეტრში. ⁵ ისირ არაფატი (1928-2004) — პალესტინის ეროვნული მთავრობის (ავტონომიის) პრეზიდენტი (1993 — 2004); 1994 წლის მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი (შიმონ პერესსა და იცაკ რაბინთან ერთად).

17.12.13.

ვისი არის ვისი¹ და ვისი არის რამინი²? ვისი დაწერილია ეს ტყბილ-მწარე რომანი³? დასცინიან ევკლიდე⁴ ლობაჩევსკი⁵, რიმინი⁶, ხოლო ბოშათ ბანაკი ზეცას მიდის⁷ — რომენი⁸!

^{1,2} ვისი და რამინი — პერსონაჟები ძველი ქართული მწერლობის ძველად-ქვეული XI საუკუნის სპარსული პოეტის ფახრ-ალ-დინ ასად გორგანის სამიჯნურო პოემისა „ვის ო რამინ“, რომლის თარგმნასაც ტრადიცია სარგის თმოგველს მიაწერს. ³ ევკლიდე ალექსანდრიელი (დაახლ. 325-265) — გეომეტრიის მამად ნოდებელი ელინიზმის ეპოქის დიდი მათემატიკოსი. ⁴ ნიკოლაი ლობაჩევსკი (1792-1856), ბერძარდ რიმანი (1826-1866) — რუსი და გერმანელი მათემატიკოსები, რომლებმაც თავდაყირა დააყენეს ევკლიდეს გეომეტრია. ⁵ რემინისცენცია მოლდაველი კინორეჟისორის ემილ ლოტიანუს (1936-2003) ფილმისა „ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება“ (1975). ⁶ „რომენი“ — ბოშათა თეატრი, 1931 წელს დაარსებული მოსკოვში.

18.03.13.

აჰა, ძმაო, განხილვის და დისკუსიის საგანი, ვილას უნდა ფოლკნერის და გოლსუორსის საგანი¹, სადღა არის ის მასშტაბი, ის სიგრძე და სიგანე, ჩვეულებრივ მოთხრობასაც რომანს არქმევს საგანი².

¹ იგულისხმება ნობელის პრემიის ლაურეატის (1949), ამერიკელი უილიამ ფოლკნერის (1897-1962) იონაპაატის ციკლის რომანები და ასევე ნობელის პრემიის ლაურეატის (1932), ინგლისელი ჯონ გოლსუორსის (1867-1933) „ფორსაიტების საგა“. ² ფრანსუაზა საგანი (1935-2004) — ფრანგი მწერალი.

18.06.13.

მოკრივე კი არა, თითქოს ია იყოს სავინა¹, ელოდება, როცა რინგზე მშვიდად ფელიქს სავონი², გინდ გამზრდელი მისი იყოს აფრიკული სავანა, გინდ ქართული გორი იყოს, გინდ — სომხური სევანი!

¹ ია სავინა (დ. 1936) — თეატრისა და კინოს რუსი მსახიობი. ² ფელიქს სავონი (დ. 1967) — კუბელი მოყვარული მოკრივე, სამგზის ოლიმპიური (1992, 1996, 2000) და ხუთგზის მსოფლიო (1986, 1989, 1991, 1993, 1995) ჩემპიონი; იმდენად დიდი იყო მისი უპირატესობა, რომ ყოფილა შემთხვევები, როცა მონინალმდევნი თავს არიდებდნენ მასთან შეხვედრას და რინგზე არ გადიოდნენ.

18.10.08.

თუ შეცვალე შხამიანი სოკო ქამა სოკოთი, თუ გეცხება სიხარულის ცრემლით ორივე საკეთე¹, თუ გულს გიკლავს კუპლეტები საქოთა და სიკოთა², წინ, სიპ ქვაზე დადებული, უკან მოგდევს სიკეთე³.

¹ საკეთე — „ეს არს თვალის ქუთუთო დასასრული, ცრემლთა ადგილი“ (საბა). ² საკო და სიკო — ქეთოს უდარდელი და ფუქსავატი ბოძაშვილები ვიქტორ დოლიძის (1890-1933) ოპერიდან „ქეთო და კოტე“ (პრემიერა — 1919, 11 დეკემბერი). ³ რემინისცენცია ქართული ანდაზისა: „მაღლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგვხდება“.

18.12.02.

ჯერ რაა და სულსაც ღაფავს იმედები-ს ამება. აქეთ ძია ვანიები, იქით — ძია სემები, ძლივს გაბმული ამ ჩემს ჩანგურს დაანყვიტეს სიმები¹, მაგრამ მალღით, მადლობა ღმერთს, თავს დაგცქერის სამება!

¹ რემინისცენცია აკაკი წერეთლის (1840-1915) სიტყვებისა: „წონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“.

18.12.18.

პითაგორამ¹ აქცია დიდკუნძულად სამოსი², სამას სპარტელს³ მახსენებს არაგველი სამასი⁴, რიდი აქენდა მეოთხეს იპოსტასის სამისა⁵, სამოსელი პირველი⁶ არის ნაღდი სამოსი.

¹ პითაგორა (დაახლ. ძვ. წ. 580-500) ძველ ბერძენი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი. ² სამოსი — კუნძული ეგეოსის ზღვაში; მრავალთავან ერთ-ერთი ვერსიით, პითაგორა სწორედ ამ კუნძულზე დაიბადა; ყოველ შემთხვევაში, იგი პითაგორა სამოსელის სახელით არის ცნობილი. ³ სამასი სპარტელი — ძვ. წელთაღრიცხვის 480 წელს ბერძენ-სპარსელთა ომების ერთ-ერთი ბრძოლისას 300 სპარტელი მეომარი სპარტის მეფის ლეონიდასის მეთაურობით კარგა ხანს შედგრა დაცვა თერმოპილეს ვიწრო გასასვლელს, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში ყველა მათგანი დაიღუპა. ⁴ სამასი არაგველი — 1795 წლის 11 სექტემბერს კრწანისის ბრძოლაში გამარჯვებულ დაღუპულ მეომართა 300-კაციანი რაზმი, რომელიც შედგებოდა ფშაველ-ხევსურთაგან და არაგვისპირელებიდან; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა 2008 წლის 27 ივნისს „1795 წ. კრწანისის ომში მომწყდარი 300 არაგველი და სასულიერო და საერო პირნი“ წმინდა მონამკებად შერაცხა. ⁵ სამი იპოსტასი — სამების თითოეული წყვილი ქრისტიანულ მოძღვრებაში (მამა, ძე და სულიწმიდისა); „ქართლის ცხოვრებაში“ მეოთხე იპოსტასად ისინი იხსენიება თამარ მეფე, რაც მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, უფრო კი ალბათ მეტაფორა უნდა იყოს. ⁶ სამოსელი პირველი, უძლებს შვილის ბიბლიური იგავის მიხედვით, პატებისა და მამობრივი სიყვარულის სიმბოლოა.

18.17.18.

დათვი — მჭლე და შენ — მსუქანი¹,
ტანიმც გექნეს საროსი,
 არნივის ხმამ გადაფაროს ხმა უცხოელ სირისა²,
 აღარასდროს არ გახდება ეს ქვეყანა სარუსო,
 ვეღარასდროს მოაჯდება ამ ქვეყანას სოროსი³.

¹ ასე ელოცებოდა ჩვილ ბავშვებს, როცა ახალდაბადებულს ჯანმრთელობას და ძლიერებას უსურვებენ; არ შეიძლება, ქართული პოეზიის მოყვარულს აქ არ გაახსენდეს საქართველოს მურმან ლებანიძისეული დალოცვა მისი ლექსიდან „გზას მოსდევს პოეტი“: „დათვი მჭლე და შენ მსუქანი, / დათვი მჭლე და შენ მსუქანი, / საქართველო გეყო!!!“

² სირი — ფრინველი, ჩიტ (საბა).
³ იგულისხმება ჯორჯ სოროსი, იგივე დიორდ შოროში (დ. 1930) — უნგრული წარმოშობის ამერიკელი ფინანსისტი, „ლია საზოგადოების“ კონცეფციის ადვოკატი; მისი საქმიანობა ხშირ შემთხვევაში კრიტიკულად არის შეფასებული და მისი ფონდი არაერთ ქვეყანაში, მათ შორის — უნგრეთშიც, აკრძალულია.

18.17.21.

სარაფანი, სარაფანი, სარაფანი, სარაფა...
 უსერიფო ასოებმა მოინდომეს სერიფი¹,
 ზღვაზე გემი მიდიოდა — განწირული, სარიფე,
 ზღვა კი დულდა,
როგორც დულდეს სამურაბე სიროფი.

¹ სერიფი — სასტამბო ასოთა შტრიხების დეკორატიული დაბოლოებანი.

18.18.18.

ეს ქვა, მერცხლებს ქვებს რო სროდა,
იჩის გახლავთ — სესესი¹,
 მასვე უნდა მოვახმარო, ჩეჩქვად იმი-ს ასოსი.
 გავაკეთო უნდა მისგან კალხასი და სოსისი,
 შურსა ვდიობ, სად მცალია წარსაკვეთად სასოსი!

¹ ეს სტრიქონი რემინისცენაციაა შოი მღვიმელის (1866-1933) ლექსისა „პანია მერცხალი“ („მე პანია მერცხალი ვარ, მოჭიკჭიკე მოალერსე, / ნეტავი რა დაგიმავე, / ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?!“).

18.25.25.

თუნდაც უკან დაგაბრუნონ, ანუ დედის საშოში,
 რაც არ უნდა გირტყან ურო,
მწვადს ნუ გაცვლი სუშიში¹,
 არ იდარდო საფლემ² და არ ინაღვლო საშაშე³,
 არაფერი არის ქვეყნად შიმის შიშზე საშიში!

¹ სუში — იაპონური ტრადიციული კერძი, ძმირიანი ბრინჯი ზღვის პროდუქტებთან თუ ბოსტნეულთან ერთად.
² ფლემი — უმალესი მომგებიანი კომბინაცია პოკერში.
³ შაში — კამათლის „ექვსიანი“ ნარდში.

19.11.13.

ტალინი¹ და ტულონი²,
ტულონი და ტალინი,
 ლენინი³ და სტალინი⁴,
ლენონი⁵ და ს-ტალონე⁶,
 მანეთი და დოლარი,
კუპონი და ტალონი,
 და არსაით წასული
ერთი გრძელი ტალანი.

¹ ტალინი — ესტონეთის დედაქალაქი.
² ტულონი — ქალაქი საფრანგეთში.
³ ლენინი — ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი (1870-1924) — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი.
⁴ სტალინი — იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი (1879-1953), 1922 წლ-იდან საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური და კომუნისტური პარტიის თავკაცი, ბელადი და დიქტატორი.
⁵ ჯონ ლენონი (1940-1980) — ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბრიტანელი მომღერალი და კომპოზიტორი, ლეგენდარული როკჯგუფის The Beatles-ის დამფუძნებელი წევრი და ლიდერი.
⁶ სილვესტრ სტალონე (დ. 1946) — ამერიკელი კინოვარსკვლავი და კინორეჟისორი.

19.17.10.

თერთმეტ განზომილებაში დაგულაობს ტუროკი¹,
 ცარცის წრეში² კოჭაობენ ქოსიკო³ და ტურიკო⁴,
 წინ მიგვიძღვის ყუროსაკენ⁵ ლუკაშვილი ტარიკა⁶,
 ლარსს როგორც კი გადასცდება,
თერგს გვიქვია ტერეკი.

¹ ნილ ტუროკი (დ. 1958) — სამხრეთაფრიკელი ფიზიკოსი, მუშაობს თეორიულ ფიზიკისა და კოსმოლოგიაში.
² ცარცის წრე — რემინისცენაცია ბერტოლტ ბრეხტის (1898-1956) პიესისა „კავკასიური ცარცის წრე“ (1945), რომელიც რეჟისორმა რობერტ სტურუამ (დ. 1938) დადგა რუსთაველის თეატრში (პრემიერა — 12.09.1975), მთავარ როლში — რამაზ ჩხიკვაძე (დ. 1928).
³ ქოსიკო და ტურიკო — პერსონაჟები გიორგი ნახუცრიშვილის პიესისა „ჭინჭრაქა“ (1962), რომელიც რეჟისორმა მიხეილ თუმანიშვილმა (1921-1996) დადგა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე (პრემიერა — 1963). ქოსიკოს როლს თამაშობდა რამაზ ჩხიკვაძე, ტურიკოსას — ზინა კვერენჩილაძე (დ. 1932).
⁴ ყურო (4071 მ) — მწვერვალი ყაზბეგის რაიონში, მდინარე ხდის სათავესთან.
⁵ იგულისხმება ტარიელ ლუკაშვილი (დ. 1942) — ქართველი მთამსვლელი და სპელეოლოგი.
⁶ ტარიკა — სპელეოლოგი.

19.17.11.(2)

ტარიელისა¹ არ იყოს,
კაცს არ შეგრცხვება ტირილი,
 როდესაც ცაში აჭრილი მოგესალმება ტოროლა,
 უნდა ვიკადრო ხუმრობა არალიტერა-ტურული:
 სხვა საქართველო სად არი?
მიდით და ნახეთ ტიროლი²!

¹ იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი, რომელიც პოემაში ტირილით შემოდის.
² ტიროლი — ისტორიული ოლქი ავსტრიასა და იტალიაში; ტიროლის ამგვარი შედარება საქართველოსთან ავტორს ერთი ძალიან ცნობილი ლოტბარისა და საზოგადო მოღვაწისგან აქვს მოსმენილი.

19.17.17.

ველარ ვარჩევ სიმთვრალეში, ბოთლი რაა, ტარა — რა!
 ამ ახალმა საუკუნემ დამინიშნა ტერორი,
 თითქოს უტყვი ვიყო ხარი, ის კი იყოს ტორერო:
 ტამ-ტა-ტარა, ტარა-რამ-ტა,
ტარა-რამ-ტა, ტარა-რა!¹

¹ ამ სტრიქონს უტყვი ხარი და მეტყველი ტორერო ორ ხმაში მღერიან და სიმღერ-სიმღერით აგრძელებენ ორთაბრძოლას; ხოლო მათი სიმღერისა და ორთაბრძოლის ფონზე ავტორს ახსენდება ეპიზოდები თავისი ბავშვობიდან, როცა მშობლები ბოთლების ჩასაბარებლად და პურის საყიდლად აგზავნიდნენ პეკინის ქუჩაზე.

19.17.18.

საკორიდო და საბრძოლო მადრიდში იდგა ტაროსი,
 გადაეტენა ინჩადას¹ ყველა ლოყა თუ ტერასა,
 იყო ფეხების ბაკუნი, იყო ძახილი ტოროსი,
 პაბლო პიკასოს² მიუჯდა გვერდით ლოლიტა ტორესი³.

¹ ინჩადა სპორტის ესპანურენოვან გულშემატკივართა კრებულს გვიქვია.
² პაბლო პიკასო (1881-1973) — XX საუკუნის უდიდესი ესპანელი მხატვარი, მოქანდაკე და ასე შემდეგ.
³ ლოლიტა (ბეტატრის მარიაანა) ტორესი (1930-2002) — არგენტინელი მომღერალი და მსახიობი.

19.19.13.

ჰოლანდიის ცას ღრუბლიანს
მხრებზე შეიდგამს ტიტანი,
 კაბაზემც აგყვავებთან, აგრემც ვარდნი და ტიტანი,
 და გულს წარიტანს სიტურფით შენი ტანი და ტატანი¹,
 რომელზეც ჩემი ხელები დაგაჩნდა, როგორც ტატუნი².

¹ ტანი და ტატანი — ბესიკისეული „ტანო-ტატანო“ სახელობით ბრუნვა-ში.
² ტატუნი — ტატუ მრავლობით რიცხვში; ხელების ტატუნი სხვაა, ხელების თათუნი — სხვა.

21.13.11.

ნამდვილ მამაკაცთათვის მზეზე გამოფენილი,
 ქვაფენილი არ გვირდა, გვირდა ყინულფენილი!
 ჩეხს, რუსსა თუ კანადელს რას დააკლებს ფინელი!
 ფინელს არ ეღიროსება, რა თქმა უნდა, ფინალი!...

¹ ლექსში შოკისგამომწვევითაა რომელიღაც მსოფლიო ჩემპიონატი უნდა იგულისხმებოდეს, როცა ფინელები ფინალში ვერ გავიდნენ, მაგრამ კერძოდ — რომელი, ძნელი დასადგენია, რადგან ფინელები რუსებთან, ჩეხებთან, კანადელებთან თუ შვედებთან დაპირისპირებისას, როგორც წესი, ფინელს მიღმა რჩებოდნენ.

22.02.11.

რადგან ასაღებია ბელგრადი და ბალდადი,
დამასკო და ქაბული,
 ჯონ სტერჯესის¹ მონვევით შეიკრიბა სამიტი —
შვიდული ქებული:
 შენ არ გიკვირს ქება, კრისი² შენ არ გიკვირს ქება, ვინ!
შენ არ გიკვირს ქება, ლი⁴!
 სხვისიც უნდა დაიცვათ პური მათის არსობის,
მარგალურად — ქობალი.

¹ ჯონ სტერჯესი (1910-1992) — ამერიკელი კინორეჟისორი.
^{2,3,4} კრისი (ადამსი), ვინ, ლი — პერსონაჟები ჯონ სტერჯესის საკულტო ფილმისა „შესანიშნავი შვიდული“ (1960), რომელთა როლებს ასრულებენ იულ ბრინერი (1920-1985), სტივ მაკუინი (1930-1980) და რობერტ ვონი (დ. 1932).

22.11.17.

კომპიუტერს დაენძრა — არ ტრიალებს ქულერი¹,
 ალბათ მეცხრე ბლოკია² ამ ქულერის ქილერი,
 მეცხრე ბლოკის შემყურეს დამემართა ქოლერა,
 ჰა, ფუნჯი და კედელი! აირჩიე ქოლორი³!

¹ ქულერი — კომპიუტერის გამაგრილებელი მოწყობილობა.
² მეცხრე ბლოკი — მთავარი დამნაშავე და „განტყვების ვაიცი“ 90-იანი წლების საქართველოს ენერგეტიკულ კრიზისში.
³ ეს სტრიქონი გადაკეთებულ-გადმოქართულებული ვარიანტია ვასილ ჩხაიძის (1905-1986) პერსონაჟის — მღებავ არისტოფანის რეპლიკისა გიორგი დანელიას (დ. 1930) ფილმიდან „მიმინო“ (1977): Тогда сам подбирай колор и сам крась!!

24.17.02.

აღარ მინდა, მომყირჭდა ამ ყველაფრის ყურება,
 ზღვაზე ყრია ტალღები, როგორც სპილოს ყურები,
 ყარაბას-ბარაბასებს¹ გაუჭიმავეთ ყირები,
 ყველას... ფეხზე ჰკიდია ერთი ვინმე ყირიბი.

¹ ყარაბას-ბარაბასი — ალექსეი ტოლსტოის (1883-1945) ზღაპრის „ბუ-რატინოს თავგადასავლის“ (1936) მთავარი ანტაგონისტი.

24.17.12.

ლობე-ყორე გვედება, ლობე შენ და ყორე მე,
 სიტყვებს ვეღარ ვამთავრებ: ყირამალა... ყირამა...
 ყარაყორუმს გაჰყურებს ყარამანი!... ყარამა...
 იქით არის ყამირი, აქეთ არის ყირიმი!

¹ ყარამანი — უნდა იგულისხმებოდეს ავტორის ერთი კეთილი ნაცნობი, რომელსაც სტუდენტობისას მესამე (მრომიოთი) სემესტრი ყამირზე გაუტარებია და რომლის გვარი ავტორს აღარ ახსენდება.

24.17.13.


ცირკია, აბა, რა არის! გაჭიმეთ ბარემ ყირანი!
 რანი და მოვაკანი და!... ჟამმა იავარ ჰყო რანი¹,
 ეღვარ პოს² ყორანს კორტინდა
ბარათაშვილის⁴ ყორანი,
 გინდ სახარება იკითხე მგლის თავზე, გინდა ყურანი!

¹ „რანი და მოვაკანი და“ — ასე იწყება მეფე-პოეტის ვახტანგ VI-ის (1675-1737) ერთი ყველაზე ცნობილი ლექსი.
² რანი — კავკასიის ალბანეთის არაბიზებული სახელწოდება.
³ ეღვარ პო (1809-1849) — ამერიკელი პოეტი და ნოველისტი, დეტექტიური და კრიმინალური ჟანრის ფუძემდებელი; მისი „საფირმო“ ლექსი „ყორანი“ (1845) მრავალ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის — არაერთგზის ქართულადაც; პირველად ვაჟა-ფშაველამ თარგმნა.
⁴ ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817-1845) — დიდი ქართველი პოეტი; „თვალ-ბედითი შავი ყორანი“, რომელიც ავტორს უკან მისჩხავის მის ცნობილ „მერანში“ (1942), სამი წლით უფროსია ეღვარ პოს ყორანზე და დაკორტინს, აბა რას უზამს?! თუმცა ამ ფრინველთათვის სამი წელია არაფერია და შეიძლება, ორივენი დღესაც ცოცხლები არიან — 300 წელი ჯერ არ გასულა; ორივე ლექსი რომ ცოცხალია და 300 წელზე მეტხანსაც რომ იცოცხლებენ, ამას წყალი არ გაუვა!

25.06.27.

რა არის კარგი, რა არის ცუდი,
ღიახაც მე შენს გარე-შე ვიცი,
 ვიცი ბუშიც¹ და თეტჩერიც² ვიცი,
ვიცი გორბი³ და ვიცი შევიცა⁴,
 ვიცი ქიციცა და ქიცმაცურიც,
თეთრიც ვიცი და ვიცი შავიცა,
 ვისაც საბჭოთა მთავრობა⁵ მოსწონს,
პაატა ამბოზს, იმას... გაგკარი!

¹ ჯორჯ ჰერბერტ უოკერ ბუში (დ. 1924) — ამერიკის შეერთებული შტატების 41-ე პრეზიდენტი (1989-1993).
² მარგარეტ თეტჩერი (დ. 1925) — დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი (1979-1990).
³ გორბი — მიხაილ გორბაჩოვი (დ. 1931) — სკკპ-ს ცენტრალური კომიტეტის ბოლო გენერალური მდივანი (1985-1991), სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბოლო თავმჯდომარე (1988-1989), სსრკ პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი (1990-1991).
⁴ შევი — ელუარდ შევარდნაძე (დ. 1928) — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1972-1985), საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი (1985-1990), საქართველოს მეორე პრეზიდენტი (1995-2003).
⁵ საბჭოთა მთავრობის ხსენებისა და ჩამოთვლილ პოლიტიკოსთა სახელების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლექსი 1989-1990 წლების ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი.



პაატა ნაცვლიშვილი

...და ისევ თანხმობ(ა)ნებაანი

25.10.17.

შაქარს ვერას უშველის თერაპია შოკური, ამ ჩვენს დროშებს... თინიკომ სხვა დროშები შეკერა¹, ტელევიზორს საცაა აფეთქებს შაკირა², ის, ვინც ქარში დარბოდა, იყო დავორ შუკერი³.

¹ ეს სიტყვები რემინისცენციაა ავტორის ბავშვობისდროინდელი საავადმყოფო საშვიდნობრო სიმღერისა, რომელშიც იყო ასეთი სიტყვები: „ამ ჩვენ დროშებს თინიკო, / გუშინ მთელ დღეს კერავდა, / ეს წითელი ვარსკვლავი / გვიმ გაგვიფერავდა.“
² შაკირა იზაბელ მებარაკ რიპოლი (დ. 1977) — ლიბანური წარმომავლობის ძალიან ცნობილი და პოპულარული კოლუმბიელი მომღერალი.
³ დავორ შუკერი (დ. 1968) — ჯერ იუგოსლავიელი და მერე ხორვატი ფეხბურთელი, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ხორვატიის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი; შუკერთან არაფერ შუაშია, მაგრამ არ არის გამორიცხული, ქართული პოეზიის მაღალკვალიფიციურ და გემოვნებითან მკითხველს აქტიურ გეგმუკორის „ბალადის“ ფინალი გაახსენდეს: „და ვინც ქარში გარბოდა, იყო მადამ ბოვარი“...

31.17.31.

ნერვებს ბლავი ხერხი ხერხავს — ხერე-ხი და ხერე-ხი! და-ცა-ლენეს ინგლისელთა ძელები და ხარხა¹, რუსთა ტყენი გადამინვეს, ტყე რა ტყე და ხე რა ხე, ხარახურა ხალხი არი, ხარახურა, ხარახუ...

¹ აშკარაა, რომ უნდა იგულისხმებოდეს რომელიღაც საფეხბურთო მატჩი ინგლისელთა მონანილოებით, მაგრამ კერძოდ რომელი — ავტორს აღარ ახსოვს.

31.31.13.

ესპანიოლს¹ ერკინება დღეს სალამოს ხიხონი², არის ერთი ჭიპახუნა, ძუძუმკერდის ხახუნი, აჭარაში ერთი ციხე მახსოვს იყო — ხიხანი³, გადავხუხოთ ორნახადი, გავისველოთ ხახანი.

¹ „ესპანიოლი“, „ხიხონი“ — ესპანური საფეხბურთო კლუბები.
² ხიხანი — შუა საუკუნეების ციხე აჭარაში, მდინარე სხალისის ხეობაში, სოფელ ზედა თხილვანაში.

32.03.17.

არ მოგწყინდა ცხოვრება პირველყოფილ-ჯოგური? არ დაგიდგა ყალყზე თმა, ბალანი და ჯაგარი? არ მოგებზრდა მერკური¹, ლენონი² და ჯეგერი³? ამინონე, ჯიგარი, საყაურმედ ჯიგარი!

¹ ფრედი მერკური (1946-1991) — აფრო-აზიური წარმოშობის უპოპულარულესი ბრიტანელი მომღერალი (ნამდვილი სახელი — ფაროპ ბულსარა), ჯგუფ Queen-ის წევრი.
² ჯონ ლენონი — იხ მე-5 სკოლიო ლექსისა 19.11.13.
³ სერ მაიკლ ფილიპ „მიკი“ ჯეგერი (დ. 1943) — ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბრიტანელი მომღერალი და კომპოზიტორი, ჯგუფ Rolling Stones-ის დამფუძნებელი წევრი.

32.17.12.

ჯერ მწარე ჭამე, კვლა ტკიბილი¹, კვლა მოხარშული, ჯერ უმი, მკითხველებსა მჭირდება, თუკი მჭირდება ჯარი მე, ჯერომ სელინჯერს² ვერა ცცნობს დიდგანდებილი ჯერომი³! ჯერომ ჯერომმა⁴ ჯერემის⁵ გადაუხადა ჯარიმა.

¹ „ჯერ მწარე ჭამე, კვლა ტკიბილი“ — დავით გურამიშვილის (1705-1795) სიტყვები მისი „დავითიანიდან“ („სწავლა მოსწავლეთა“).
² ჯერომ სელინჯერი (დ. 1919) — დიდი ამერიკელი მწერალი, ავტორი საკულტო რომანისა „თამაში ჭვავის ყანაში“ (1951). 1965 წლიდან ნანგრების გამოქვეყნება შეწყვიტა, თავის თავსაც გაუუცხოვდა და კარჩაკეტილი ცხოვრობდა პატარა ქალაქ კორნიმში; 1995 წელს ავტორს ჰქონდა დიდგანდებილის მონახულების წარუმატებელი მცდელობა.
³ ჯერომ კლაპკა ჯერომი (1859-1927) — ინგლისელი მწერალი, ავტორი იუმორისტული რომანისა „სამნი ერთ ნავეში“.
⁴ უნდა იგულისხმებოდეს ჯერემი აირონსი (დ. 1948) — ინგლისური თეატრის, კინოსა და ტელევიზიის მსახიობი; სამსახიობო განათლება მიიღო ბრისტლის თეატრალურ სტუდიაში, სადაც ჯერომ ჯერომის თხზულების მიხედვით დადგმულ სპექტაკლშიც უთამაშია.

32.31.17.

ვისთვის იყო ერთბაშად, ვისთვის იყო ჯახირი, დაიხურა რუსეთის ლავკა, გინა ჯიხური, ნაპერკლეები იყრება, ხდება დიდი ჯახი რო, რუსეთს დედას უკლავენ ზვიადი¹ და ჯოხარი².

¹ ზვიად გამსახურდია (1939-1993) — ქართველი ლიტერატორი, დისიდენტი და პოლიტიკოსი, დამოუკიდებლობადადგენილი საქართველოს პირველი პრეზიდენტი (1991-1992).
² ჯოხარ დუდაევი (1944-1996) — ჯერ საბჭოთა არმიის გენერალი, სტრატეგიული ბომბდამშენების დივიზიის მეთაური, შემდეგში — ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტი (1991-1996), ზვიად გამსახურდიას თანამოაზრე და მეგობარი.



ოლანი ბინაძე ადამიანთა „უთქმელი ტკივილები“

დიანა ანფიმიადის პოეტურ კრებულში „ჩრდილის ამოჭრა“ შესული პირველივე ლექსი სრულდება ფრაზით: „...შენ რომ დაბრუნდებოდე აქ რომ...“ — ასე იწყება ის დიდი მოგზაურობა, რომელსაც ამ ლექსში, შესაძლოა, ერთი კონკრეტული „შენ“ ჰყავს, თუმცა მისგან განსხვავებით იმ მკითხველი კრებულის გადაშლით ავტორთან მისული და დაბრუნებულიცაა. ასეც უნდა იყოს, რადგან თუ ლირიკული გმირი „გასვლისას ოქროს თევზებს“ აქრობს, პოეტი ამ თევზებს მკითხველისთვის ანთებს და ეს თევზები ლექსებია.

სიტყვა „მოგზაურობა“ შემთხვევით არ მიხსენება, რადგან თამამად შეიძლება ითქვას, რომ კრებულში შესული ყველა ლექსი სხვა დროსა და სივრცეში გადასვლის გარანტიანია. სხვა დროსა და სივრცეში გადასვლის გზა კი მეტატექსტზე გადის, იქნება ეს ზღაპრებიდან გამომხობილი ცნობილი პერსონაჟების ახალი სახეები (მაგალითად, „ძაღლისა და მგლის წინაპარი საერთო — კაცი / კომბლეს თლიდა და ჭერში აწყობდა“), თუ ტრადიციული ეპოსის გმირების „არატრადიციული გმირობა“ — „...მოდივარ შიმშილთან / მებრძოლი რაინდი — / ახალი გილგამეში.“ აქ საყურადღებოა სწორედ ის, რომ ახალი გილგამეში ტყის მცველი ხუმბაბას ან ცეცხლისმფრქვეველი ხარის წინააღმდეგ კი არ იბრძვის, არამედ შიმშილის და ეს განაპირობებს მის სიახლეს. თანაც შიმშილის, რომელსაც ისევ და ისევ ამოსდის ახალი თავთავები, მოკვლა ნაკლებად რთული როდია, როგორც ხარის ან ხუმბაბას დამარცხება. ამასთან, შეიძლება ისეთი გმირების პრეისტორიაც შეგვხვდეს, რომლებიც ავტორმა თავისი წარმოსახვით გააცოცხლა. მაგალითად, ლექსი „საპფო“ სათაურითვე გვახსენებს ანტიკური პერიოდის ლესბოსელ პოეტს, რომელიც ავტორმა ჯერაც მოუმწიფებელ ქალად დავსახა, გოგონად, რომლისთვისაც ჯერ ყველაფერი წინაა. იქნებ, მერე სწორედ ამ გოგონასთან გამოძვივებების სევდა თუ ტკივილი ათქმევინებს თვითონ საფოსაც:

„— საით მიდიხარ სიქალწულე, სიქალწულე, რად მიმატოვე? — აღარასოდეს დავბრუნდები, დედოფალი, აღარასოდეს!“

დიანა ანფიმიადი ძველ მოტივებს უბრუნდება და ახალი სულით აცოცხლებს მათ. ეს იმიტომ, რომ შეიძლება ძველი მოტივები დავინყებული არაა, თუმცა ადამიანთა „უთქმელ ტკივილებს“ ახლა სხვანაირად გამოთქმა სჭირდება:

„მუზავ, იმღერე ან თუ გინდა, სულ ნუ იმღერებ, ვილას სჭირდება სიმღერები ასე უმიზნო, ამას სჯობია, კაცთა მოდგმის უთქმელ ტკივილებს რამე უშველო, ესაღბუნო, თუნდაც უმისნო.“

ავტორს სწორედ ეს მიზანი ამოძრავებს — კაცთა მოდგმის უთქმელი ტკივილების გამოთქმა და რამდენადაც პოეზია ამ ტკივილების გაუღერებისთვის ხშირად ყველაზე შესაფერისი ადგილია და პოეტობა კი — ტკივილების გამხმოვანებლის პროფესია, ავტორი თამამად აცხადებს: „ნულარ იმღერებ, მე ვიმღერებ, შენ კი მისმინე.“ მიუხედავად იმისა, რომ პოეტის ეს „სიმღერა“ ძველი ლეგენდის მოტივზეა შექმნილი, მკითხველმა ის ტრაგედია უნდა ამოცნოს, რომელსაც „ერთად, მაგრამ უერთმანეთოდ“

ცხოვრება ჰქვია და რომლის სიმბოლური სახე გამოხატულია ტაეპით: „წყლიანი ჭიქის ზეთით ავსება.“

კრებულში შესული ლექსები სიმღერებია და ეს ზოგიერთი მათგანის სათაურშივეა გაცხადებული (მაგალითად, „მკის სიმღერა“, „სიმღერა“), ლექსების მუსიკალურობას კი თხრობის გაბმული ხასიათი, განწყობათა გამოვრება, ცალკეული მოტივების თანხვედრა (მაგალითად, სიკვდილის), პოეტური სახე-სიმბოლოების გადანაცვლება, მეტატექსტუალური კავშირები ქმნის. ამასთან, ყველა ლექსს, რომელიც კრებულშია შესული, საკუთარი და, ამავედროულად, ყველა სხვა ლექსთან საერთო „ჩრდილი“ აქვს. ეს სიკვდილის, როგორც გარდაუვალი დასასრულის, ჩრდილია, რომელიც განსხვავებული ვარიაციებით გაივლებს ცალკეულ სტროფებსა თუ მთლიანად ლექსებში. ხან დავინყებებს, რაღაცების გაუფასურების, გადაფასების სახე აქვს, ხან — სიმარტოვის, ავადმყოფობის. მაგრამ ყველაზე სწორი და თან გადამრჩენელი გაგება ამ გარდაუვალი გაუგებრობის არის შემდეგ ტაეპებში: „...სიკვდილი არის სიყვარული, / სიკვდილი, როცა სიყვარული — აღარ გინდა...“ სიკვდილის ამგვარი გაგების დამსახურება უნდა იყოს, რომ აუტანელი, მარადიული ტკივილებით, მოუშუმებელი ჭრილობებით სავსე ლექსებში მაინც ჩანს სურვილი სიყვარულის, შეყვარების და ეს სურვილი ზოგჯერ მომავლის პერსპექტივაა („ერთხელაც შენ მისცემ საბაბს...“ „საპფო“), ზოგჯერ თავისი ნამდვილობით იმდენად მასშტაბური, რომ გაცეცხას იწვევს („და გვიკვირს, / როგორ გაიზარდა, ნეტავ, ამხელა / ეს უცნაური სიყვარული, / ისე, თავისით.“ „მძიმე“), ზოგჯერ შეუსრულებელი ნატვრაც („არადა, არც არაფერი მოხდებოდა, / არც არაფერი, / ცოტა რომ მაინც შეგყვარებოდი, / ერთხელ.“ „ერთხელ“). ხოლო ყველაზე საშიში კი არის სწორედ იმის დაშვება, რასაც „სიმღერის“ ლირიკული გმირი უშვებს: „წარმოიდგინე, რომ ერთ დღესაც მოვუკვირე ადგილს, / სადაც გიცნობდი, ერთმანეთი გვიყვარდა სადაც.“

საინტერესოა ისიც, რომ ლირიკული გმირის განცდებს მუდამ ჰყავთ ადრესატები, ეს დამისამართება ხან ნაცვალ-სახელეში ვლინდება („სადაც შენ არ ხარ, / იქ ვარ“), ხან სათაურებში („მერამდენედაცა იავნანა შვილს“) და ხანაც მეტაფორებში. საერთოდ, მეტაფორული სახეებით ლექსების სიუხვე პოეზიისთვის უჩვეულოდ არაა, თუმცა ამ კრებულში შესული ლექსების შემთხვევაში მეტაფორულია არა მხოლოდ ცალკეული სახეები, არამედ მთლიანად კრებული და ადენად, მისი სახელწოდებაც. ყველა მეტაფორული სახე, იქნება ეს კაციჭამია მცენარე („მოყვასი“), სავარცხლის ტყეები („სამშობლო“), უსინათლო გველის წინააღმდეგ („ერთხელ“) თუ ქვიშის კარავი („შვილი“) წარმოქმნის საერთო მეტაფორას, ამოჭრის ჩრდილს, ეს კი არსებითად მნიშვნელოვანია, რადგან ჩრდილი ხომ იდენტობის, თვითმყოფობის ნაწილია და მის გარეშე ადამიანი — არაფერი, ეს ერთ-ერთი ლექსის ფინალშიც იკითხება:

„თუ ჩემს ჩრდილს ვეღარ ჭრი მაგ შენი მინიდან — ნალმზე ამაფეთქე, გაქვს ამის უფლება.“ („ნალმი“)

როგორც აღვნიშნე, კრებულში შესული ლექსები ხშირად გადაძახილია ანტიკური თუ ფოლკლორული წიაღის ტექსტებთან, ამ გადაძახილს კი ხან ამბები წარმოთქვამენ, ხან — ცნობილი სახეები თუ სახელები. კავშირი წარსულ მეშვიდრობასთან ქმნის კავშირს უშუალოდ ამ ლექსებს შორის და სტროფიდან სტროფში გადასროლილი მოტივი სხვა ლექსისკენაც იკვალავს გზას. შინაარსით წარმოქმნილი კავშირი სინტაქსურ დონეზეც ვლინდება. ამით უნდა იყოს გამოწვეული გადატანის/ანუაზნების ის უამრავი შემთხვევა, რომელიც დიანა ანფიმიადის ლექსებში, ძირითადად, ტაეპობრივ ფორმებში გვხვდება. მაგალითად, „ეს ყველაფერი მოვიგო, რადგან მაშორებს / შენს სულს და შენს ხმას — ჩემს საყვარელ სათამაშოებს“ („მგზავრი“), „შროშანებიან თუ ნარ-ეკლიან / თვალეში ჩემი ანარეკლია...“ („სახელი“) და ასე შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ლექსი ასე ძაფებით ებმის ერთმანეთს, ცხადია, ცალკეული განცდები თუ სახეები მხოლოდ კონკრეტული ლექსის საკუთრებად რჩება. თემატური და მხატვრული სახე-სიმბოლოების მრავალფეროვნების მიუხედავადვე, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ვერცერთი ლექსი ამარცხებს იმ გარდაუვალ მოცემულობას, რომელიც სიკვდილია. „...სიკვდილი მაშინ მოვა, როდესაც მას / მოირები დართავენ...“ („კალინოსი“). თუმცა ყველაზე მთავარი ზუსტად ის გზაა, რომელიც სიკვდილისგან გარბის და ბოლოს მაინც სიკვდილთან მიდის. უპირობო დასასრულის არსებობა კი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დასასრულამდელი და თვითონ დასასრულის პროცესიც არ შეიძლება, იყოს საოცარი, სხვადასხვაგვარი. შეიძლება და ასეა დიანა ანფიმიადის ერთი ლექსი-სიმღერის ფინალში:

„ყველაზე მოკლე დასასრული, ყველაზე ჭრელი.“
ჰოდა, ესეც დასასრული...



ეკატერინე ტომონიძის სახელმა გა-
მოჩენისთანავე მიიპყრო მკითხველის ყუ-
რადღება და მერე თანდათან კიდევ უფრო
გაბრწყინდა. მის თხზულებებს მოპოვებუ-
ლი აქვთ არაერთი პრესტიჟული ჯილდო
ჩვენში თუ საზღვარგარეთ. ის ავტორია,
რომელზეც მარტო კი არ ინერება საქება-
რი რეცენზიები, არამედ რომელსაც კითხ-
ვლობენ და რომელიც მკითხველს უყვარს.


გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან
ქართველი მწერლების წინაშე თითქოს ახ-
ალი გზა გაიხსნა ახალი თემატიკით. ომი
იქცა ჩვენი მწერლობის ერთ მნიშვნელოვ-
ან თემად (ნეტავ მხოლოდ ლიტერატურის
თემა ყოფილიყო...). მრავალნაირად, მრავ-
ალი კუთხიდან აღინერა, თითქმის არ და-
რჩა შეუმჩნეველი, დაუნახავი ნიბო თუ ნა-
ხნაგი. ომის რეფლექსია მონოგრაფიულა-
დაც შეისწავლეს და უკვე რამდენიმე დის-
ერტაციაა დაცული ამ თემაზე. გურამ
ოდიშარიას რომანი პირდაპირაა მოხსენი-
ებული ტოგონიძის რომანში. ახლახან სერ-
გო ნურნუშიამ, ნინო სადლობელაშვილმა,
ცოტა უფრო ადრე ქარდა ქარდუხმა შე-
სანიშნავი რომანები დაწერეს, თუმცა თემა
მანაც ამოუნურავია იმიტომ, რომ, ჯერ ერ-
თი, ამოუნურავია რეალურად მომხდარი
ამბები და, რაც მთავარია, ამოუნურავია
გრძნობა, განცდა, დამოკიდებულება, აღ-
ქმის ინტენსივობა და მათზე დამყარებუ-
ლი ფანტაზია მწერლებისა.

ეკატერინე ტომონიძე ღრმად სწვდება
ადამიანის სულს და ნერვისას წარმოსახვა-
ზე არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს შეგ-
რძნებებს. რომანის „შინ — შენ“ ორიგინალ-
ური და დრამატული სიუჟეტი ისედაც
მეორედაც მკითხველს. ამასთან თხრობა
მოქცეულია შესაფერის ფორმაში. ენა სა-
დაა, არც მნიშვნელოვანი და ხელოვნურად
ამაღლებული დამძიმებული, არც ეგრეთ
წოდებული „ბაზრის“, ქუჩის, ბოგანოთა მე-
ტყველება — დაახლოებით ისეთი, ილია
რომ საშუალო სტილს უწოდებდა და ალექ-
სანდრე ორბელიანი „დარბაისელთ უზნო-
ბას“. პერსონაჟთა მეტყველებაში ზომიერ-
ადაა გამოყენებული სლენგი.

ამ ბოლოს დროს ერთგვარ მოდოდ იქცა
ჩვენში ეგრეთ წოდებული „ფემინისტური
ლიტერატურა“. ქალი ავტორები ქალი პე-
რსონაჟების დახატვით ქმნიან ამ ტიპის
თხზულებებს, რომლებშიც აქამდე დაფა-
რული თუ აკრძალული თემების გაშუქებ-
ის სურვილი (და პრეტენზია თუ ამბიცი)ა
ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ რომანის
„შინ — შენ“ ავტორიცა და მთავარი პერ-
სონაჟიც ქალები არიან, დაბეჯითებით უნ-
და ითქვას, რომ თხზულება არამცდარ-
ამც არ თავსდება „ფემინისტური ლიტერ-
ატურის“ ჩარჩოში. რომანი ფართოპლანი-
ანია, მრავალმხრივ საგულისხმო, მისი პრ-
ობლემატიკა ეროვნულიცაა, წმინდა ქართ-
ული და იმავდროულად — საკაცობრიოც.
ფორმით, ზედპირულად გასართობ ნაწა-
რმოებში სტრიქონებს შორის ღრმა სიმ-
ბოლიკა და საგულისხმო მინიშნებანი იკი-
თხება.

ომგამოვლილ, ომგამოუვლელ და მათ
შორის გადებულ ბენვის ხიდებზე, საქანე-
ლებზე და დაყოფილი კაცობრიობა ეპიგრა-
ფში. ამგვარი ხიდი, საქანელა რომანის
მთავარი პერსონაჟი ქალია. ავტორი შე-
სანიშნავად იყენებს პარალელური თხრობ-
ის ხერხს. ნია, ნიალი ერთდროულად ორ
რეალობაში ცხოვრობს: უკანაც იყურება
და წინაც. როგორც მსახიობი, ფილმის პე-
რსონაჟი, ომისდროინდელ სოხუმშია და
ვითომ თვითონ გამოივლის ყველა ჯოჯო-
ხეთს და, ეს „ვითომ“, ვინ იცის, იქნებ უფრო
ნამდვილიაო — შენიშნავს მწერალი. ცხა-
დია, როცა განცდა ცოცხალია, ყველა „ვი-
თომ“ ნამდვილზე ნამდვილია.

რომანს „შინ — შენ“ ერთი შეხედვით,
მისტიკური ამბავი უდევს საფუძვლად. გუ-
ლგრილი, უსიყვარულო სამყაროს მიმართ
პროტესტი თავისებურად, გაურკვეველი
ვადით ჩაძინებით გამოხატა მოზარდმა,
ათი წლის გოგონამ, გაბრიელამ (როგორც,
ვთქვათ, არდაბადებით და მუცელშივე გა-
ზრდით გამოხატავენ პროტესტს ჩვილები
სხვა ავტორების სხვა თხზულებებში). ბავშ-
ვის ტრაგედიაში დედა ბრალს საკუთარ
მეუღლეს სდებს, რომელიც მინისქერის
დროს გაიქცა და შვილი მარტო დატოვა.
ამ რეალობამ, გაბის უსასო ყოფამ, „აიძუ-
ლა“ დედა, ღრმად ჩაეხედა მეუღლის, დემ-
ნას წარსულში, რასაც ფილმის გადაღე-
ბებმა შეუნყო ხელი. ფილმის გადაღების
დროს მსახიობის შეგრძნებები იმდენად



უშუალოა, რომ შეუძლია, შვილი-თოჯინა
საკუთარ გაბრიელად აღიქვას, ხოლო საკ-
ენ-ჭუბურის გზაზე მიმავალ ბიჭში ცხადად
ხედავს 26 წლის (ახლა უკვე 30 წლის) წინან-
დელ დემნას და ამიტომაც შეუძლია ახ-
ლანდელ დემნაში დაინახოს წლების წინან-
დელი, ომისგან გამოქცეული 10 წლის ბიჭი.

ადამიანის ფსიქიკაში ღრმად წვდომა
აღმოჩნდა ის ხიდი, რომელმაც კვლავ გა-
ამთლიანა ნიას ოჯახი. ომგამოვლილი დე-
მნას ფსიქიკაში გარკვევასა და მინისქერი-
სას მისი გაქცევის ნამდვილი მიზეზის გამ-
ჟღავნებაზე საყურადღებო მგონია ის აზ-
რი, რომ 10 წლის გაბიც ომის შვილია. ომის
შემდგომ დაბადებული თაობაც შეგნებუ-
ლად თუ შეუგნებლად, გაცნობიერებულ-
ად თუ გაუცნობიერებლად, აზრობრივად
და ემოციურად კვლავ ომთანაა დაკავში-
რებული.

რომანის ავტორი მარტო გრძნობების
გამომჟღავნებით, მხოლოდ ემოციების გა-
დმოცემით ვერ შექმნის ღირებულ ნაწარ-
მოებს. მას აუცილებლად ფაქტების შესწავ-
ლა უნევს. მიუხედავად ერთგვარი მის-
ტიკურობისა, თხზულების ფონი აბსოლუ-
ტურად რეალისტურია. ჩანს, რომ ავტორს
შეუსწავლია აფხაზეთის ყოფისთვის დამ-
ახასიათებელი ბევრი თავისებურება, ნიშა-
ნი. იგი მარტო ინტუიციით კი არ ხვდება,
არამედ შეგნებულად, ცონებით, გაცნობი-
ერებულად იცის ძალიან ბევრი რამ. შემთხ-
ვევით არაა, რომ ნაწარმოების ერთ-ერთი
ცენტრალური ფრაზა სიყვარულის გამო-
მხატველია, აფხაზურად — სარაბარა ბზი-
აფს ბოიჭ (თუ რამეს ვნანობ, ესაა, აფხა-
ზური რომ არ ვისწავლე სოხუმში), რომელი-
ც ქართულად სიტყვასიტყვით ნიშნავს: მე
შენ კარგად გხედავ. პატარა გაბისაც ტელ-
ეფონის პაროლად იგივე ფრაზა უყენია,
ოღონდ ინგლისურად — I see you (ეპოქის
და თაობის ნიშანი). ომამდელი სოხუმის
ყოფის სისწორით გადმოცემისთვის მწერ-



ნინო ვახანია არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს...

აღს მანცდამანც ვერც შეაქებ და ვერც
ვერანაირ ფანტაზიას დაუნუნებ. ყოველი
ქალაქის, სოფლის, ქუჩის, ეზოს, ოჯახის
და ბოლოს, ყოველი პიროვნების ცხოვრე-
ბა ინდივიდუალური გახლდათ, როგორც
ყველგან და ყოველთვის. ამიტომ თუ თხრ-
ობა მხატვრულად დამაჯერებელია, ყვე-
ლაფერი რომ წარმოსახვა იყოს, მანც წრ-
ფელია და ნამდვილი. ეკატერინე ტოგო-
ნიძის რომანში კი ამ ნამდვილობას ამძა-
ვრებს კონკრეტულ ვთქვათ, საკუთარი მი-
სამართი, რომელსაც აფხაზი პაციენტი ექ-
იმს უსახელებს ზუგდიდში — სოხუმი, სამ-
სონ ჭანბას 42 — არადა, ქართველის სახ-
ელი აქვს მითვისებული. ჩანასა ქუჩა (სოხ-
უმში ასე გამოვთქვამდით რუსულის გავ-
ლენით, ცხადია) მართლაც ქართველებით
დასახლებული ერთი დიდი უბანი იყო ქა-
ლაქში.

ეს ომამდელი ქალაქი.
კიდევ უფრო საგულისხმოა მთელი სის-
წორ-სიმართლით, შეულამაზებლად, მოუ-
რიდებლად გახსენება იმისა, რა იყო ომის
შემდეგ, როგორი იყო სოხუმიდან გამოქ-
ცეულებთან ადგილობრივების დამოკიდე-
ბულება საქართველოს ყველა ქალაქსა თუ
სოფელში. ეს სწორი, ქედმაღლური, უკა-
დრისი განწყობილება ყველაზე მძაფრად
და მკვეთრად დედაქალაქში იგრძნობოდა.
„ხორციმეტებით გამოესხნენ ლტოლვი-
ლები თბილისსო“, — იგონებს ავტორი. სი-
ბრალოლი მალევე შეცვალა ზიზმა, — ეს-
ეც რომანიდანაა და რაც უნდა ძნელი თუ
სამარცხვინო გასახსენებელი იყოს, სიმა-
რთლეა. ასე რომ, ნაწარმოებს მოვლენათა
და ფაქტების ზედმიწევნით, ამომწურავად
ცოდნის ტვიფარი აზის, თუმცა ყველაფ-
რის თქმა ავტორისგან მანც ბენვის ხიდზე
სიარულია.

ამას ახერხებს ეკატერინე ტომონიძე
შეუცდომლად.
პერსონაჟის ფიქრი: „მაგ მინის ნაგლე-
ჯზე რა ხალხი ცხოვრობდით, რომ დაერი-
ეთ ერთმანეთს, გაულიტეთ და გაასწორეთ
მინასთან. ვინც მოასწართ, გამოიქეცი-
თ იცი გაქცევის მეტი? როგორც კი საფ-
რთხე იგრძენი, აახვიე და მიატოვე ეგ შენი
სამშობლოც და მერე ერთადერთი შვი-
ლიც! უარყავი, გაყიდე, გაეცი, განირე!“
— სასტიკი მუნათია, გულისმემძველი

საყვედური, მაგრამ დაშტამპული აზრო-
ვნების წარმომჩენი და, ცხადია, არ გამოხ-
ატავს ავტორის მსოფლმხედველობას (ან
იქნებ ერთგვარი მონანიებაა...). ყველას გე-
ასსოვს 90-იანებში მთავარი ფრაზა: რას
მობრძობდი, ყველანი იქ რატომ არ დაიხო-
ცეთო. მთელი რომანი აზროვნების ამ შტ-
ამპიდან, ამ სტერეოტიპიდან გამოსვლას
ემსახურება.

რეალობის ლამის ნატურალისტური
აღწერაა მომვლელის გაკვირვება, ფილმი
ხომ სოხუმზეა და გადაღებიდან ასე მალე
როგორ დაბრუნდით. მას ჰგონია, რომ ფი-
ლმის სოხუმში იღებენ. ახლა კი სასაცილო-
ა, მაგრამ რამდენს უკითხავს ჩემთვისაც,
სოხუმის უნივერსიტეტში როგორ მუშაობ,
ყოველდღე სოხუმში დადიხარო?

პირველი ბიძგი, რომელმაც რომანის
მთავარი პერსონაჟის „გამოფხიზლებას“
შეუნყო ხელი, დედის საყვედურია, მინისძე-
რის დროს არც შენ გაგხსენებია, ნია.
ფილმის სცენარის მიხედვით ანა, ვის რო-
ლსაც ნია ასრულებს, ტოვებს დიდდას და
გარბის... ფილმსა და რეალობას შორის
ზღვარი იშლება და ნიას დანაშაულის შეგ-
რძნება უჩნდება. თურმე ნია დიდად არ გა-
ნსხვავდება დემნასგან და, საერთოდ, თვი-
თვადარჩენის ინსტინქტი ყველა ადამიან-
ში ძლიერია. აქ შეიძლება ნიკო ლორთქი-
ფანიძე გაგახსენდეს და მისი მარადიული
შეკითხვა: დედა ამას ხომ არ იზამდა? თუ-
მცა ტოგონიძის რომანში ეს თემა — დე-
დას და მამის განსხვავებული ფსიქოლოგ-
ია — არ არის მთავარი საკითხი. აქ მთავარ-
ი სამშობლოს განცდაა, გრძნობა იმისა,
რა არის შინ. სიტყვათა თამაშში რამდენი-
მე გამოთქმაში იკითხება და ისმის შინ: შინ-
დი, შინაარსი, შინაური, .. გუშინ, მაშინ, და-
უშინა და ბოლოს: ნუ გეშინია, არ მეშინია.

შინ არის თავისუფლება, სიყვარული,
ღმერთი... როგორც დაღმართზე დაშვებ-
ისა აღარ ეშინია ნიას, ასე უნდა შეძლოს
გამკლავება ცხოვრების მიერ დაგებული
ხიფათებთან; სიყვარულის მოკვლა იგივე
ღმერთის მოკვლაა; თავისუფლება უნდა
ინსავლოს ადამიანმა, რათა ცხოვრებამ არ
დაამარცხოს ან სულაც აფხაზეთის მიმო-
ზასავით არ დაქცენს. ეს, ფვიქრობ, საკვან-
ძო აზრებია თხზულებაში.

ნიგინი 2020-შია გამოცემული და მაშას-
ადამე უფრო ადრე დაწერილი. ამიტომ
ახლა ერთგვარ წინასწარჭვრეტად აღიქმე-
ბა ის ფაქტი, რომ მსოფლიოში „გაირიყუ-
ლობის სინდრომით“ შეპყრობილ ასეულ
მოზარდს შორის ერთი გოგონა გამოირჩა,
რომელმაც გამოღვიძება შეძლო. იგი უკრ-
აინელია, ემიგრანტი, ესე იგი, ფუქემოშ-
ლილი, საყრდენგამოცლილი...

ფილმის, რომელსაც რომანში იღებენ,
„ძაფის გორგალი“ ჰქვია. მთავარია, გორ-
გალს წვერი ვუპოვოთ, რათა სხვაგან გარ-
დაცვლილთა სულელები შინ დავაბრუნოთ და
ცოცხლებმა კი სულის გადაარჩენის გზა
ვიპოვოთ (ამ ჩვეულების — ძაფით სულის
შინ მიყვანის — მხატვრული გააზრება უდ-
ევს საფუძვლად ქარდა ქარდუხის რომა-
ნსაც).

თხზულების პერსონაჟის, მძინარე გა-
ბის კერძო, ინდივიდუალური შემთხვევა
მთელ თაობაზე ზოგადდება და მგონია, სი-
მბოლურ დატვირთვასაც იძენს. გაურ-
კვეველი ვადით ჩაძინებული გაბი მძინარე
საქართველოს მაგონებს („არ მომკვდარა,
მხოლოდ სძინავს...“). მის გასაღვიძებლად
კი ერთმანეთის კარგად დანახვა, მაშასა-
დამე სიყვარული უნდა შეეძლოს. გაბის
მამა სჭირდება, მისი სიახლოვე და არამა-
რტო სახლი, როგორც ნიას ჰგონია. ამბავი
იმედინად მთავრდება. სწორედ მამის ხე-
ლში გაბი გამოღვიძებას იწყებს.

ფინალი და მისგან გამომდინარე დასკ-
ვნა თითქოს ტრივიალურია, შაბლონური.
მაგრამ რომანში ის, ჯერ ერთი, ასე პირდა-
პირ და დიდაქტიკურად არ არის გამო-
თქმული. და რაც უფრო მნიშვნელოვანია,
მთელი ამბავიც, პერსონაჟთა ხასიათებიც,
ემოციური ველიც, თხრობის დინამიზმი
და საერთო სტილური მანერა მწერლისე-
ულია, ორიგინალური და აზრობრივი და
ემოციური თვალსაზრისით — უაღრესად
ღირებული.

ორდინალურად რომ მოვიხსენიე, ის
ფინალი ისეთი ხელოვნებითაა დაწერილი
და ისეთ ემოციას იწვევს, რომ უტრემლოდ
მისი ნაკითხვა შეუძლებელია. მესმის, ცრ-
ემლი არ არის ნაწარმოების შეფასების სა-
ზომი, მაგრამ აღვნიშნავ, მხოლოდ რო-
გორც ფაქტს.

დასასრული

სულ რაღაც ორ წუთში ნათურა აინთო. ამყად გადავხედე თანამგზავს, მომსახურე ბიჭიცი კი გახარებული მიყურებს. ისევ ვრეკავ მეგობართან და მაღლობს ვუხდი, ისიც იფერებს, გამართლებაც ასეთი უნდა.

ვისკის ვისხამ და ვითომც განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ჩემს გოგოს ვეკითხები:

— შენი ბიძაშვილი უნდა ვადღეგრძელო, მივულოცოთ დაბადების დღე, რა ჰქვია და რა მოხელე-ჩიქვანია?

— დათუნა ნილოსანი, ძალიან ცნობილი ტიპია, გაგონილი გექნება.

კინალამ ჭიქა მივარდება ხელიდან. ვცდილობ, ალღევება არ შემეცყოს, სადღეგრძელოს ვამბობ და ჭიქას ვიყუდებ, ბოლომდე ვცლი და ახალ შემოტანილ წინილს ბარკალს ვაგლეჯ, ხორცის სიმბურვალე თითებს მწვავს, მაგრამ ტკივილს არ ვიმჩნევ. მადას ვკარგავ, ძალით ვძიძგნი „ჩიჩიას“, სასმელს ვეტანები, გრადუსიც მოვიდა, თეო გემრიელად ილუკმება, თან თვალებიდან სასიამოვნო ნაპერწკლებს აფრქვევს. ისეთ ხასიათზე დავდექი, უკვე სულაც აღარ მომწონს ჩემი გოგო ისე, როგორც თავიდან გადავირიე. რომ მცოდნოდა, ვისთან მივყავდი ამ ცანცარას დაბადების დღეზე, იმ წუთასვე რომ გაშიშვლებულიყო, მაინც არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდებოდი. ახლა რა ვქნა, ნახევარი გზა უკვე თითქმის გავლილი გვაქვს და უკან დასაბრუნებლად არცერთი საბაბი აღარ გამომადგება. მოშხამული ვვადები მანქანაში, თანამგზავრიც მომიჯდა გვერდით და მაღლიერების ნიშნად ჩემი მარჯვენა ხელი თავის ხელეში მომიწყვდია, ლოყასთან მიიტანა და ჩაიხუტა. მის სუნთქვას ვგრძნობ და მთელ სხეულში სითბო მეღვრება — არა რა, მაგრამ მსიამოვნებს ამ გოგოსთან სიახლოვე. ამ დროს მისი ბიძაშვილი გამახსენდა, უხალისოდ დავქოქე ავტო და მოვწყდით ადგილიდან.

თეოს ბიძაშვილი — ეს რთული თემაა. ძველი ბიჭი მსუბუქი ნათქვამია, შავი, ბნელი სამყაროს ტიპური წარმომადგენელია. ლეგენდები დადის მასზე და მის ნამოქმედარზე. სადაც ის არის, ქურდებიც კი დაძაბულები არიან. არაპროგნოზირებადია რთული ხასიათის გამო. ავი ენები მკვლელობებზეც საუბრობენ. ასე დაწვრილებით დათუნას შესახებ იმითომ ვიცი, რომ მქონდა ბედნიერება მასთან შეხვედრის.

ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა. მაშინ ერთი ულამაზესი გოგოთი ვიყავი შეპყრობილი. ისიც არ იყო გულგრილი ჩემს მიმართ, თითქმის შეყვარებულები ვიყავით, სიცოცხლე ვერ წარმოიმედგინა მის გარეშე. დროს ხშირად ვატარებდით ერთად კინოთეატრებში, კლუბებში, რესტორნებში და ყველაფერთან ერთად მის ოჯახშიც მიღებული ვიყავი. იცოდნენ, მის მიმართ სერიოზული გრძნობები მამოძრავებდა. ლიზას მშობლებთან კარგი დამოკიდებულება მქონდა. ოჯახს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა, დედ-მამას შეილთან განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებდათ და მგონი, წინააღმდეგებიც არ იყვნენ ჩვენი დაოჯახების. ჩემს სატრფოსთან ცხოვრობდა მისი ბიძაშვილი ელენე, რომელიც ორი წლით ადრე უნივერსიტეტში სასწავლებლად ჩამოვიდა რაიონიდან, ფაქტობრივად, დებივით იყვნენ. როგორც კი შევიტყვე სტუმრის ჩამობრძანება, დიდი ყვავილების თაიგულით გამოვცხადდი მათთან. კარი ლიზამ გამიღო, ყვავილები რომ დამინახა ხელში, გამომთმევა სცადა, იფიქრა, მას შევართვი თაიგული. მე კი ვუთხარი, რომ სტუმარს ეკუთვნოდა. არ დამავინყვებდა ელენეს გაკვირებული და აღტაცებით ანთებული გამოხედვა. ამ საქციელით კიდევ ერთი თანამოაზრე შევიძინე. ჩვენს ურთიერთობაში, რა თქმა უნდა, უსიამოვნებებიც ხდებოდა, ასეთ შემთხვევაში დეიდაშვილი ყოველთვის ჩემს მხარეს იჭერდა. ლიზას ბევრი მეგობარი ჰყავდა და მათი თავყრილობების სული და გული იყო. მამრობითი სქესის მეგობრებს, ყოველთვის ტაქტიანად ვწევდი გვერდზე, ხოლო გოგონებთან ყველასთან კარგი დამოკიდებულება მქონდა.

ერთხელაც, ლიზა, მე და ჩემი ორი მეგობარი კაფეში დავსხედით, კარგ ხასიათზე ვიყავით ყველანი. ცოტა სასმელსაც მივირთმევდით. ჩემი მეგობარი კოტე განსაკუთრებულად მიეძალა სპორტიანს, ცოტა ხნით ადრე მეუღლეს დაშორდა და მძი-

მე განცდებში იყო. ჩვენ ყველანი თანავე-გრძნობდით და შეძლებისდაგვარად ვამზვიდებდით, მათ შორის იყო ჩემი გოგოც. ამასობაში მოსალამოვდა. ლიზამ დეიდაშვილის მარტო ყოფნა მომიზუნა და სახელში დაგვაპტიჭა, ჩვენც სხვა რა გვინდოდა?!

კარი ელენემ გაგვიღო, ცოტა შემოფოთებული მომეჩვენა, თუმცა ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ოჯახის უფროსებიც სახლში დაგვხვდნენ, მათ მოსაკითხად ჯერ სამზარეულოს მივავაშურე, ისინიც რაღაც დაბნეულები ჩანდნენ, როდესაც შუა



ოთახში შევედი, სამი უცხო ბიჭი დამხვდა ჩემს მეგობრებთან ერთად, მაგიდაზე ვარდების თაიგული, ორი ბოთლი მამანური და „რაფაელოს“ კოლოფი იდო.

ვილაც შეყვარებულია. ამ დროს ელენე შემოდის ლარნაკით ხელში, თაიგულს შლის და მასში აწყობს. ავტომატურად მასთან მოსულებად აღვიქვი ეს ახალგაზრდები. ჩემმა მეორე მეგობარმა, გიორგიმ უხერხულობა დაარღვია, სასმელი ოსტატურად გახსნა და ჭიქები შეავსო, ამ მცირე სუფრის უფროსობაც საკუთარ თავზე აიღო. ჩემი გოგო ჩემთან ჯდება, მე რა თქმა უნდა, როგორც კავალერი, ყურადღებას ვაქცევ მას. ელენე სამზარეულოში ტრიალებს და სხვადასხვა ნუგბარი შემოაქვს. უხერხულობა გააღწია, თამადა მონოდების სიმალლეზეა. სასმელი თავდება, სტუმრად მოსულთაგან ერთ-ერთმა, ნოდარმა, მის მოსატანად წასვლა დააპირა და თან მე ერთხედა, ხომ არ გავყვები. ეგრევე ვდგები და კარისკენ ერთად მივიდევარ. გზად ერთი მისი მეგობარი, დათოც, აგვეკიდა. მე კარგ ხასიათზე და თან გრადუსში ვარ, ლიფტში შევაძმინე, რომ ნოდარი დემონსტრაციულად მაკვირდება, თითქოს მსწავლობს. ამ ჩემს ფეხებს თუ არც მოგეწონე, ფეიქრობ ჩემთვის, თუ ჩემთან კარგი ურთიერთობა არ გექნება, ელენესთან ოდნავი შანსიც არ გავქვს, რადგან ჩემს აზრს აუცილებლად გაითვალისწინებს.

დაკვირვებული ბიჭი საქვს მიუჯდა, მე კი მის გვერდით ვიკავებ ადგილს. მანქანა დაიქოქა თუ არა, მაგნიტოფონიც ჩაართო, ხმა საკმაოდ მაღალზეა და „ბონი ემის“ ნაცნობ სიმღერას უკრავს. დასრულდა თუ არა მელოდია, მძლოლი განმეორებით რთავს და ასე გაუთავებლად ამღერებს „რასპუტინზე“. საკმაოდ სწრაფად ვმოძრაობთ, უკან მჯდომი მეგობარი ნერვიულობს, რამდენჯერმე უთხრა, შეანელო, ამას ჰკიდია. სანამ მაღაზიასთან მივდით, ნოდარი მეკითხება:

— შენ რა სტატუსით ხარ, ჩემო ძმაო, ამ ოჯახში, ნათესავი?

— რა ნათესავი, ლიზა ჩემი სიცოცხლეა.

ამასობაში მაღაზიას ვუახლოვდებით, მკვეთრად ამუხრუჭებს და თან სწრაფად გადადის მანქანიდან, მეც ვაპირებ გადასვლას, მაგრამ მეგობარი მთხოვს, დავრჩე ავტოში, თან მეზარება, ჰოდა, ვრჩები. კარგა ხანს ველოდები, ბოლოს გამომდინა მამანურებით ხელში. აუ, რა დაღვეს ამდენს. იქითობას საქვს მეგობარი უჯდება. მივდით. ატყდა ისევ ბათქა-ბუთქი და

ჭიქების ჭახუნი, ლიზა და ელენე თითქმის არ მშორდებიან, სულ თვალეში შემომციცინებენ. ასწორებს. დისკომფორტს მწველი მზერა მიქმნის, გავხედავ „რასპუტინის“ მოყვარულს, რაღაცის თქმას ვცდილობ, ამ დროს გოგოები იქცევენ ჩემს ყურადღებას. სასმელი ძალიან მომეკიდა.

დილას ნაბახუსევეზე გიორგი დამადგა თავზე:

— შენთვის არავის არ უთქვამს, ბიჭო, ცოტა ნაკლები დალიეო?

— რას აჩმახებ ახლა, ამ დილაადრიანად რა ბზიკმა გიკბინა?

— ვილაც უცხო ტიპები რომ დაგვხვდნენ ლიზასთან, გაერკვიე, ვინ ოხრები იყვენენ?

— რა გარკვევა უნდა, ელენეს თავყვანისმცემელია ალბათ ის ჯეელი, სულ რომ მაკვირდებოდა.

— არ დაგინტერესა, რატომ გაკვირდებოდა?

— ეგრე, ვინც შემომხედავს, ყველა რომ ვარკვიო... საერთოდ რა ტვინს მიხნავ? ვინ არის ის ტიპი?

— ვინ და, შენი ლიზას თავყვანისმცემელია, როგორ ვერ მიხვდი, ბიჭო?

კარგა ხანს დამუხრუჭებული ვარ. ახლა ვხვდები, რატომ ატარებდა გიორგი მანქანას, უკანა გზაზე რატომაც ოხრავდა და საერთოდ გამინათდა ნაბახუსევი მოგრა!

ვეცი ტელეფონს და ლიზას ვურეკავ:

— მაინტერესებს, რატომ არაფერი გამიგია შენი თავყვანისმცემლის შესახებ? ეს ნოდარი ვინ არის და საიდან გამოჩნდა შენს ცხოვრებაში?

— სულ ორჯერ მყავს ნანახი, ელენე მოსწონს მის ბიძაშვილს, დათოს და ძალიან ცოტა ხნით შევხვდით, სულ რამდენჯერმე.

— ჯერ ორჯერო, ახლა რამდენჯერმეო. მე, რა თქმა უნდა, ვინ ჩემი ფეხები ვარ, მაგრამ თუ მოგწონს...

— არ გრცხვენია, ხო?

— რა ვიცი, ყველაფერი ხდება, ჩემო პატარავ.

— აღარ გელაპარაკები.

— კარგი ხო, გეხუმრე. ტელეფონის ნომერი მომეცი და დაველაპარაკები.

— აუ, მოგეცა რა საქმე. გაანრულე თავი. იყოს, სულაც არ მანუხებს.

— მე მანუხებს, ასე ყვავილებით და „რაფაელოთი“ უნდა დაგვადგეს ხოლმე? ტექნიკურად ჩამოგამორებ, თუ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ ხარ. ვეტყვი, რომ ჩემი შეყვარებული ხარ.

— ოოო, ვინ გითხრა, რომ შენი შეყვარებული ვარ?

მართალია ჯერ არ უთქვამს, მაგრამ მე ხომ ვგრძნობ და მინდა კიდევ. უნდა ვათქმევინო, რამენაირად და მერე ასეც იქნება.

— კარგი ხო, არ გითქვამს, მაგრამ თუ გინდა, რომ ნოდარიკომ თავისი მოულოდ-

ებ და მოგწერ ნომერს, ოღონდ გთხოვ, ნუ გაგიყვები, პრობლემებს ნუ შეიქმნი.

ერთ საათში ერთმანეთის პირისპირ ვსხედვართ მე და ახალგაზრდა მცხვარი თავყვანისმცემელი.

— ჩემო ნოდარ, გუშინ მე შეგნებულად არ დავძაბე სიტუაცია და კარგი კაცი ხარ შენც, რომ ჩემსავით მოიქციე, — ვცდილობ, კომპლიმენტით ჩემთვის სასურველ ტალღაზე დავყენო, მგონია, თავი ქუდში მაქვს, ამიტომ ჩხუბის და განეც-გამონევის სურვილი არ მაქვს.

— აბა, გუშინ ხომ არ დაგინყებდი ლაპარაკს?

— ჩემი რჩევაა, ნუ დაიძაბები ზედმეტად, ბევრი არც გვაქვს სალაპარაკო.

— ჩემი ნებაა, რჩევას მივიღებ თუ არა, — ამას ამბობს და თან აშკარად ეტყობა, ნერვიულობს.

— თუ გინდა, დაიძაბე, მაგრამ ამით ვერაფერს მიიღწევ. გადანყვეტილია ყველაფერი, ლიზა ჩემი საცოლეა და ამას ვერაფერი შეცვლის.

ალგზნებული და საჩხუბრად შემართული ჯეელი ამუხრუჭებს. ზუსტად ის ვუთხარი, რაც კონკურენტის ჩამოშორებისათვის არის საჭირო. ამას არ ელოდა ნოდარი. ცოტა ხანი ხმას არ მცემს, ფიქრობს, რა მითხრას. არ ვაძლევ დროს და ვაგრძელებ:

— კიდევ გვაქვს რამეზე სალაპარაკო, ჩემო ძმაო? — ერთი სული მაქვს დავემშვიდობო და პახმელიას მივხედო, სტარტზე მყავს ძმაკაცები.

— გასაგებია ყველაფერი, თუ ასეა, მაშინ ლიზამ მითხრას ეს ამბავი და მე გავინვი, აღარ შეგანუხებთ.

ხედავ, როგორ შემომიტრიალა? არ მენდობა ნოდარიკო, წამით წარმოვიდგინე, რომ ყელში ვწვდი და მაგიდაზე გამმოვართიე. არა, მშვიდად, ლიზამაც ხომ მთხოვა, თან რატომ უნდა ვიშალო ნერვები იმაზე, რაც მოგვარებული მაქვს. ვიღებ ტელეფონს და ვრეკავ:

— ჩემო სიცოცხლე, ერთად ვართ მე და ნოდარი. უნდა, შეგან გაიგოს, ჩემი საცოლე რომ ხარ, რატომაც ჩემს ნათქვამს არ იჯერებს, სახლში ხარ? — თან კბილებს ვაჭრიალებ, ყურმილის მეორე მხარეს კი სიჩუმეა. ცუდი წინათგრძნობა მაქვს. ხელმეორედ ვუშეორებ ტექსტს, ალბათ ვერ გაიგო.

— კი, სახლში ვარ, ამოდით, — მიკნავებული ხმით მპასუხობს.

გზად ნოდარმა მაღაზიაში შეიარა. კარი ლიზამ გაგვიღო. სახეზე ეტყობა, ძალიან ნერვიულობს, არადა ყველაფერი მარტივად არის, სულ ერთი წინადადება უნდა თქვას. „ბონი ემის“ მოყვარული „რაფაელოს“ ანვდის ერთადერთს, მალე უნდა დასრულდეს ეს ყველაფერი, თორემ თავს ვეღარ ვთოკავ, ცუდი რამე მოხდება, ნერვებს მიშლის ეს სიტუაცია. სტუმარი ჩემი ინერტულობით სარგებლობს და ინციატივას იღებს თავის თავზე:

— არ მეგონა, თუ შეყვარებული ვყავდა და თან გათხოვბასაც აპირებ, თუ მართლა ასეა, მითხარი და წავალ.

ორივე ვუყურებთ ბრინჯის მარცვალის ვით დაბნეულ და ნერვიულობისგან ფერდაკარგულ ლიზას, რომელიც ხმას ვერ იღებს.

— რა არის მომატყუე, ჯიგარო? ამაზე პასუხს მოგთხოვ! — უკვე ფეხზეა ჩემი მოწინააღმდეგე, კარს აღებს და გარეთ გარბის.

— ეს რა ქენი, ლიზა, გამიჩალიჩე? — ახლა ამასთან მომიწევს სერიოზული „ბიძიანი“. ისევ სიჩუმეა. შარში ვარ. ზარი შემომდის ნოდარისგან:

— სად ხარ, ბიჭო?

— შენი ბიჭო აგერ მახატია, ნესიერად მელაპარაკე შენ, ნოდარიკო! სადაც ვიყავი, იქ ვარ, სადმე გამოვიდე?

— დამელოდე მანდ და განახებ, რასაც გიზამ!

— არც არავის გადაუღუნო, გაიგე? იქიდან გაუგებარი ლაპარაკი მესმის, რამდენიმე კაცი ხმამაღლა ლაპარაკობს. ვუყურებ გოგოს, რომლის გულისთვის ნახევარ ქალაქს დავბრდიავ, ის ისევ ჩუმად არის.

— არასდროს მითქვამს შენთვის, რომ შენი საცოლე ვარ და, საერთოდ, რა დაკითხვა მომიწყვეთ?

— პრობლემების გარეშე თუ გვინდოდა ამ ტიპის მოშორება, ეს იყო ყველაზე მარტივი გზა. ისე, ხომ არ ჩაგივარდა გულში? — ისეთი თვალბრუნებით მიყურებს, ეგრევე

უკან ვიხევი, — კარგი ვხუმრობ, ახლა სერიოზულად, მართლა თუ გინდა, აღარ ნახო ნოდარიკო, ნუ გავიგეთ, რომ ჯერ არ ხარ საცოლე, ერთხელ მოიტყუე, მე სერიოზულ ნათქვამად არ ჩავთვლი ამას და იგივე შეყვარებულის სტატუსით ვისარგებლებ.

— არც მიყვარხარ მითქვამს...
— ნუ თუ არავინ ვარ, მაშინ მოხდეს, რაც მოსახდენია და მეც აღარაფერი მესაქმება აქ!

— აუ, როგორი ხარ რა... — ამ დროს ზარის ხმა ისმის. კარს ოჯახის დარბაისელი უფროსი, ლიზას მამა ალებს და მოულოდნელ სტუმრებს უშვებს სახლში. პირველი დათუნა შემოდის, შემდეგ უცნობი ბიჭი, უფრო გამოძველებული და ბოლოს ნოდარის ბიძაშვილი, რომელიც პოლიციელი აღმოჩნდა. საუბრის დასაწყისში ირკვევა, რომ მესამეც ცნობილი „ავტორიტეტი“ა, რომელსაც ხშირად უყვარს იარაღის ძალით ლაპარაკი.

სხეულში ჟრუანტელმა დამიარა. ვცდილობ, უემოციოდ ვიყო. ცნობილი სახეები ცინიკურად მათვალეობენ. მგონი, თავი ღირსეულად მიჭირავს, ვაკვირდები „შავებს“, რომელიმე იარაღით ხომ არ არის მოსული, ისე აცვიათ, ალბათ ქამარში აქვთ გარტობილი. შარში ვარ. ერთადერთი ლიზას იმედი მაქვს, მისი ერთი წინადადება დაასრულებს ამ კომმარს. ნოდარიკო ალბათ ვერ დააწყნარებს და ამიტომ არ მოიყვანეს, ჩემთვისაც ასე უმჯობესია.

— რაო, ჯიგარო, ტყუილები გიყვარს? — ადებულად, სახეზე ღიმილით მეკითხება დათუნა. ჩვეულებრივ ადამიანებთან ჩემგანაც შესაბამისი ცინიზმი წამოვიდოდა, მაგრამ ახლა არ ვარ ნორმალურ სიტუაციაში, აგრესია არ გამომადგება, ოღონდ ჩმორადაც არ უნდა ჩამთვალონ.

— ჩვევაში არ მაქვს ტყუილები, ყოველთვის სიმართლეს ვამბობ, ასე უფრო ადვილია ცხოვრება.

— აბა, ნოდარი იტყუება? — მიყურებს და იღრინება.

— ლიზა დააბნია პირდაპირმა შეკითხვამ, დროზე პასუხს ვერ მოაბა თავი, თქვენმა მეგობარმა კი ვერ მოითმინა და გავარდა აქედან, სავარაუდოდ, ეგრევე თქვენთან დარეკა. ცოტა რომ დაეცადა, პასუხს მიიღებდა.

— რა გინდა ახლა თქვა, გოგოს რომ ვკითხოთ, შენთვის სასარგებლო პასუხს გვეტყვის?

— ჰკითხეთ და ვნახოთ.

ამ დროს, ოთახში შემოდის შემოფოთებული ოჯახის დიასახლისი და პოლიციელი გაჰყავს სამზარეულოში. იქ სხვა დიალოგი იმართება, რომელსაც მოგვიანებით ვიგებ.

ამ დროს დათუნა აკვირდება კედელზე ნახატს, რომელზეც ლიზა არის გამოსახული, ხან ნახატს უყურებს, ხან ორიგინალს:

— ლამაზია, ორივე. ნახატზე უფრო ხალისიანი ჩანხარ, არ ინერვიულო, დაიკო, შენ როგორც იტყვი, ისე იქნება ყველაფერი, ეს ვაჟბატონი მართლა შენი საქმროა?

სამი წველი თვალს ვამტყნებდები „ჩემს გოგოს“. ისევე სიწმინდაა, გულისცემა ყურებში მირტყამს, თქვი ორი სიტყვა და გათავდება ყველაფერი — ჩემთვის ვფიქრობ. სტუმრებიც მშვიდად იცდიან, თან მზერა ჩემკენ გადმოაქვთ. დამერხა, ყველაზე ძვირფასმა ადამიანმა გამწინააღმდეგებისთვის, რა მელოდება?

— გასაგებია ყველაფერი. შენ წამოდი ჩვენთან ერთად და სუფთა ჰაერზე გავაგრძელოთ ლაპარაკი, მაინტერესებს, გააგრძელებ თუ არა ტყუილების მოყოლას, — წამოდგა ფეხზე და ალბათ ფიქრობს, ახლა მუხლებში ჩაუჭირდება, ავტორიტეტი და პატიებას ვითხოვ.

— ნავიდეო, სადაც გინდა და კიდევ სიმართლეს ვიტყვი, — თან თვალებით გოგოს ვემშვიდობები.

— რაღაც დიდ გულზე ხარ შენ, ეტყობა, ვერ ხვდები, ვინ ვართ, — ეგრევე დაიძრა გასასვლელისკენ, თან „გაუცინარი“ ავტორიტეტიც გაჰყვა. მეც წამოვდექი და გავყვი დასაკლავი ცხვარივით. ერთი უეჭველი ვიცი, შეიძლება ფიზიკურად დამჩაგრონ, მაგრამ უკან არ დავიხევ არაფერზე და სიტყვასაც არ შევარჩევ.

პარალელურად სამზარეულოში დიდი ამბავი ხდება, ლიზას მამამ ტელევიზორში ნანახი სახეები იცნო და ცოლს შეატყობინა, რომ სახლში მკვლელები ჰყავთ.

— ამ ბიჭს ახლა გაიყვანენ და ჩვენი გოგოს გულისთვის მოკლავენ.

— რას ამბობ, კაცო, რამე უნდა მოვი-

მოქმედოთ, — ამ დროს იყო, პოლიციელი სტუმარი რომ გაიყვანა დიასახლისმა.

— ჩვენ შენ გიცნობთ, ნოდარის ბიძაშვილი ხართ, თან პოლიციელი, ამ საშინლად ამიანებთან ერთად რას აკეთებთ, ძალიან მაინტერესებს? თქვენს სამსახურში თუ იციან, ვისთან მეგობრობთ? — ამ კითხვამ მიზანს მიაღწია, თანამშრომელს ფერი წაუვიდა.

— ჟურნალისტებს ნუ დაუჯერებთ, ქალბატონო, ძალიან კარგი ბიჭები არიან, ახლოს რომ იცნობდეთ, თვითონ დარწმუნდებოდით, — ცდილობს თავის დაძვრენას.



— კარგად ვიცი, ვინც არიან. ჩვენი უტვინო გოგო ახლა დაბნეულია, ვერ ატყობ? ენა ჩაუვარდა შიშისგან, თორემ ეს ბიჭი მართლა ჩვენი სასიძოა და ჩვენს ოჯახში ამ სტატუსით დავის. იცოდეთ, მაგას რამე რომ მოუფიქრებს, დღეს ან ახლო მომავალში, პირველი მე გავიტყვი პროკურატურაში და შენ დაგბრალებდა ყველაფერი.

გონიერი ქალის ნათქვამმა სიტყვებმა მიზანს მიაღწია. ცხელი წყლით დაფუფქული იგივე გამოვარდა პოლიციელი სამზარეულოდან და გასაუფლებლად შევეფეთეთ ერთმანეთს. „შავები“ სადარბაზოში მელოდებიან და მეც კარის ზღურბლზე ვარ, ამ დროს „დამწვარი“ გვიხტება შუაში, მკერდზე ხელს მაღებს და ცდილობს, გარეთ არ გამიშვას, თან კარის დაკეტვას აპირებს, უკნიდან ჩემი გადამრჩენელი, ლიზას დეიდას მექაჩება თავისკენ, ორ ცეცხლს შუა ვარ. „ბნელები“ სადარბაზოდან მიწვევენ თავისთან, თან ღლიცინებენ: ა, შეგემინდა, ბიჭო?

— მოვიდვარ, რა შემეშინდა.

პოლიციელი კართან მეჯაჯგურება. საბოლოოდ ერთობა იმარჯვებს და ცხვირწინ კარი იხურება. მაგრამ გადავრჩი, თან გამისწორდა, სახე შევიწარჩუნე. ლიზას მშობლები მეხუტებიან და ჩემს გადარჩენას ზემოებენ. „ჩემი გოგოს“ დანახვა აღარ მინდა, არც ვუყურებ.

— ნავალ მე თქვენის ნებართვით.

— არავითარ შემთხვევაში, ისინი ალბათ გარეთ გელოდებიან, ვერ გაგიშვებთ!

— გვიანია, აქ ხომ ვერ დავრჩები?

— ჰოდა, დარჩი, რა პრობლემაა.

— სულ სახლში ხომ ვერ გამოვიკეტები?

ამ დროს ოჯახის უფროსი იღებს ინიციატივას თავის თავზე:

— მე ვიცი, რაც უნდა ვქნა, ჩემი დისშვილი მეგობრობს იმასთან, ხმას რომ არ იღებდა. აუუხსნი ყველაფერს და, მგონი, ყველაფერი მოგვარდება.

რეკავს. კარგა ხნის საუბრის შემდეგ შემოდის:

— ველაპარაკე სოსოს, მოგვარებას დამპირდა, ასე თქვა, ორი დღეა, ციხიდან გამოვიდა ეს ჩემი ძმაკაცი და რაღა ჩემიანებს დაერია, მე მივხედავ ყველაფერს, ნოდარიკოს სახეს აღარასოდეს დანახავს ჩემი ბიძაშვილი.

— რატომ? იქნებ ლიზას უნდა მისი ნახვა? — ნაკვბინე უტვინო გოგოს, რომელიც ტირილით გარბის სხვა ოთახში. ცრემლები გულს ვედარ მომიღობს. მაინც არ მიშვებენ — სანამ სოსო არ მოვა, ვერსად წახვალო. სხვა რა გზაა, ვიცდი. ნახევარ საათ-



ში მოდის ჩემი პრობლემების მომგვარებელი. არასდროს მომწონდა ეს ბიჭი, ზედმეტად მარიაჟად ვთვლიდი, არადა, ჰქონია საქმე სამარიაჟოდ, რა ძმაკაცები ჰყოლია.

— სიძე, შე ძველო, როგორ ხარ? სად მიაგენი ქალაქში ყველაზე საშიშ ტიპებს?

— შენს ბიძაშვილს ჰკითხე, — უკმეხად ვპასუხობ, არადა ეს რა შუაშია, პირიქით, სამამ კარგმა ადამიანმა მიხსნა იმ განსაცდელისგან, რომელშიც შტერი გოგოს გამო აღმოვჩნდი. მაღლობას ვუხდი „მშველელებს“, კარს ვაღებ და შორს მივდივარ ამ თბილი ადამიანებისგან, უფრო სწორად უტვინო გოგოსგან.

იმ დღის მერე არანაირი სურვილი არ მქონია ლიზას ნახვის. როდესაც არ გაფასებენ, უნდა ნახვიდე. გამიჭირდა, მაგრამ გადავიყვარე...

შევდივართ გურიაში, თეო გზას მიჩვენებს, სირქარეს მოვუკელი, ქალაქის ცენტრში უზარმაზარ სახლს მივადექით. ჭიშკარში მანქანით შესვლას არ ვაპირებ, იქნებ გასაქცევი შემექმნას. ეზოს სიღრმეში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები დგას. იქნებ ვერც მიცნოს? ამეკვიტა ეს აზრი, განუწყვეტილად მიტრიალებს ტვინში. კარის ზღურბლზე ფამფამა ქალბატონი გვხვდება, რომელსაც თეო ეხუტება და დეიდას ეძახის. აქტიური ქალბატონი სკანერზე მატარებს და მეუბნება:

— ფეხზე გაიხადეთ და ჩუსტები ჩაიცვით, უცხოები არ გვიყვარს ჩვენ.

ეჭვი მაქვს, ჩემი ძველი ნაცნობის დეიდას, ასეც აღმოჩნდა. აღარ მიკვირს, შვილი ასეთი მონსტრი რომ გაიზარდა, ეტყობა, ბავშვობაში კუთხიანი ბრინჯის მარცვლებზე დაჩოქილი ჰყავდა ხშირად.

მორჩილად ვიხდი ფეხზე და შევდივარ შიგნით. სიღრმეში რამდენიმე „ბნელი“ ახალგაზრდა ლაზღანდარობს, ჩემი „ცანცარა“ ყველას პროშნის და მაცნობს. ფეხებზე ვაკვირდები ამათ, მაინტერესებს მართომე ჩამაცვებს ჩუსტები? მხოლოდ ერთს

აცვია ფეხსაცმელი, ეტყობა, ფავორში ჰყავს დიასახლისს, ალბათ მთელი კონტინენტი აქვთ ჩუსტებით სავსე.

— ახალი სასიძო მოგიყვანა? რა კაცია შენი ბიჭუნა?

— სასიძო არ არის, მეგობარია.

— ვიცი, როგორი მეგობრობა იცი, — თან ხარხარებს ფეხსაცმლიანი, სხვებიც იცინიან, ეს ეტყობა, ძალიან „ბნელია“.

უხერხულობა რომ დავძლიო, ტელეფონის სატენს ვითხოვ. პატარა, ალბათ ცამეტი წლის, ბიჭს მოაქვს და ჩამრთველთან ვაერთებ მიბილურს. ამ დროს შემოდის დათუნა, ყველა ფეხზე დგება და ულოცავს, მათ შორის დეიდაშვილიც ეხუტება, თბილად იღებს მისგან მოლოცვას და მზერას ჩემზე აჩერებს. ვითომ მიცნო?

— ეს ჯველი არ მეცნობა.

ერთ-ერთი შეყვარებულის სტატუსით წარმადგენს. გამცრა, იქნებ ვერ მიცნოს, ვდგები და ახლოს მივდივარ. ვაპირებ ხელი ჩამოვართვა, ტრიალდება და „ბნელს“ ავალებს, სტუმარს ანუ მე სათანადო ყურადღება მომაქციოს, ხვალ კი ჩემი და თეოს მომავალს განიხილავს. განვდილი ხელი ჰაერში მრჩება და ვითომც იქ არ ვიყო, მტოვებს თავის მეგობრებთან. გაშვებებს ავიტან, მაგრამ ეს რა მჭირს? დანყველილი ხომ არ ვარ? წრეზე ვტრიალებ, ისევე ქალის გამო ბანდიტთან უნდა ვარკვიო ჩემი მომავალი? კარგია, ძველი ამბები არ გაახსენდა, დღეს ხომ იუბილე აქვს, ორმოცდაათი წლის გახდა. ახლავე უნდა დავახვიო აქედან.

ტელეფონს ვეძებ. სადაც დავტოვე, იქ არ მხვდება. ეტყობა, ვილაცამ ადგილი შეუცვალა. ვერ ვპოულობ, ჯანდაბას. გარეთ გავდივარ, ფეხსაცმელს ვეძებ, იმასაც ვერ ვპოულობ, ბავშვებმა დამიძალეს ალბათ. უკვე ჩუსტებით ვიპარები ეზოდან, ფეხშიშველიც ნავალ, ოღონდ გავაღწიო სამშვიდობოს. ფაფუ, სად არის ჩემი პიპია?! ეს უკვე ზედმეტია. მძარცვავენ, მათხოვრად უნდათ გადამაქციონ. ავტომატურად ვბრუნდები სახლში, თეო უნდა მოვძებნო, ტელეფონი გამოვართვა და რომელიმე ძმაკაცს დავურეკო, მომაკითხო ჩუმად და გამიყვანოს ამ დანყველილი ადგილიდან, სანამ მეც გავქრი. რომელს დავურეკო, უეჭველი რომ წამოვა თბილისიდან გურიაში? მეშველად დავურეკავ, აუცილებლად მიშველის! შევრბივარ სახლში.

— გერონტის გასინჯავ? — მეკითხება დათუნას დავალებების შემსრულებელი.

— რა თქმა უნდა! — ისე დავაბრუნებ, არც კი ვიცი, რა ჯანდაბაა. გვერდზე ოთახში გავდივართ. კოსტიუმის ვეზიდან ორ ცალ ინსულინის შპრიცს იღებს, შარვალს იხდის, ტრუსს ჩაინებს და ტრაკზე ნემსს ირჭობს. კიდევ კარგი ამ დროს არავინ მიყურებს, გაოგნებული სახით, დაყვლეული თვალებით ვუყურებ, რას აკეთებ?

პროცედურას რომ მორჩა მზერა ჩემზე გადმოაქვს, იმავეს გაკეთებას აპირებს ჩემთვისაც. ეს რა ჯოჯოხეთში მომახვედრა ერთი დღის გაცნობილმა ქალმა. ბავშვობიდან ნემსის მემინია. მახსოვს, სკოლაში აცრას გვიკეთებდნენ ყველას, მე კი ექიმის ოთახიდან ფეხშიშველი გავიქციე. იარაღის და დანის არ მემინია იმდენად, როგორც ნემსის. აქ ჩუსტები მაცვია, ხომ არ გავიქციე? სად უნდა გავიქციე, ან რით გავიქციე? რას მიზამს ერთი ჩხვლეტა?

— მხარზე რომ გამიკეთო, ხომ შეიძლება?

— შეიძლება.

ვიშვილებ მარჯვენა მხარს. ტკივილს საერთოდ ვერ ვგრძნობ. რამდენიმე წამში საოცარ სიმსუფუქეს ვგრძნობ, თითქოს წონა საერთოდ არ მაქვს, ფეხის თითებიდან სასიამოვნო ჟრუანტელი მენწყება და ნელ-ნელა მთელს სხეულს ედება, რა თეო და რა დათუნა, ყველაფერი სულერთია, რაც გინდა, ის მოხდეს, ოღონდ ეს მდგომარეობა გაგრძელდეს. ანი საზრუნავი ერთი მაქვს, რამენაირად ეს მდგომარეობა უნდა გავახანგრძლიო. აქამდე როგორ არ გავსინჯე „გერონტი“?

უცბად გულმუცელი ამომიბრუნდა და ყელში მომანვა, პირზე ხელი მივიფარე, გული რომ არ ამერიოს. ლოგინში ვახელ თვალებს, ვილაც დალოცვილს ნითელი ტაშტი დაუდია თავთან, ვეყუდები თავით და ელვის სისწრაფით შიგნეულობას ვითავისუფლებ. ვკედები ალბათ, საშინელი სიმყავის გემო მაქვს პირში.

ამ ბოდივიდან რა არის სინამდვილე და რა არის სიზმარი? პასუხს მკითხველის ფანტაზიას ვანდობ!..

დიდი დაბალი



— თანო, შენ დაიხუჭე, მე კი დავიძალავი...

შეეცადე, მიპოვო, თუმცა, როგორც დაქალი, გეტყვი, რომ დამალვამი ვარ ძალიან მაგარი!

უთხრა თანოს თებროლემ, — კალგი! — უთხრა იმანაც, მაგრამ თვლა რომ დაიწყო, მერე ცოტა იხანა:

— სემესალა, თებლოლე, უდა მეთქა — „ცუდიო“, თვლა ჯელ კალგად ალ ვიცი — ელთი, სამი, ქუთიო...

თანოს მათემატიკა თებროს სულ არ ადარდებს, მაგრამ არ სურს, თამაში დანყებამდე დამთავრდეს.

— მაშინ შენ დაიძალე, მე კი დავიხუჭები, — თქვა და ჩაარაკაკა ერთი-სამი-ხუთები.

თანომ უნდა იჩქაროს! და ნამდვილად ბედია იქვე ახლოს, სანოლზე დიდი მწვანე პლედია!

მოახერხა სანოლთან ფეხაკრეფით მიპარვა, ჩაიმუხლა და პლედი თავზე გადაიფარა.

უხარია დამალულს, ასე ფიქრობს: „ნეტავო, თებლო ლოგოლ სემამცნევს — მე ველაფელს ვქედავო!“

მოიხედა თებრომ და: უი! — მწვანე კუნძულად შორიახლო სანოლთან რალაც ამოზურცულა!

გაიფიქრა: „გინდ ნახო პლედი ათი ან ოცი, ვერ ექნება ფეხები, მით უმეტეს — თანოსი!“

ველარც გადაარწმუნებ დარწმუნებულს ამაში, მაგრამ რაკი არ უნდა, მალე მორჩეს თამაში,

მიდი-მოდის ოთახში — ვითომ ეძებს თანანოს, თანაც ქება-წუნუნით, უნდა, ნათამამოს:

— ნახე, აქაც არ არი... არც აქ... და არც აქ არი... დამალვამი ყოფილა ჩემზე უფრო მაგარი!

მეტი რა მოვიფიქრო? მეტი როგორ ვეცადო? დამეკარგა თანანო — ვერ ვპოულობ ვერსადო!..

დაე, თამაშს ყოველთვის ეს ხალისი მოჰქონდეს — იქით პლედი ხითხითებს, აქეთ თებრო ქოთქოთებს...

დრო გასულა, დრო გადის... კიდევ ბევრი დრო გავა, ვიდრე მოსწყინდებოდეთ ამათ დამალობანა.

ზაზა ბიბილაშვილი

მომავალი წიგნიდან

თებროლე და თანანო

ალბათ ბევრჯერ დათვლიან ათამდე და ათ ამდენს. ანდა იქნებ თამაში არც არასდროს დამთავრდეს...

და როგორც ის ორი ძმა — მოგება და წაგება — ეს ორი დაც ერთმანეთს არსად დაეკარგება.

დიდი სივართლე



რაც ამ სახლში ხმაური, შერგებოდეს სიკეთედ. აგერ, თებრო ახლაც ცვირის: — თანო, შემოიხედე!

ჰოდა, ნახეთ — უმცროსი და დასთან როგორ შევარდეს, როგორ ნახოს — და რომ დახტის სანოლიდან ჭერამდე,

თან იძახის, რომ დიდ ტყუილს დიდი შუქი მოჰფინა: — ის, ჩვენ რაზეც გვაძინებდნენ, სახტუნაო ყოფილა!

თანოც აძვრა, რომ ენახა, თუ სანოლი რა იყო — ის, რაც ადრე დედამ უთხრა, თუ რაც ახლა — დაიკომ

და მაშინვე დაადგინა — და ყოფილა სწორი და სანოლიდან ჭერამდე ხტის ახლა უკვე ორი და.


თან ეტყობათ — ასე ხტომას აპირებენ დილამდე. ეგ არის, რომ ერთი-ორჯერ ლამის გადმოყირავდნენ.

კიდევ უფრო ეგ არის, რომ ხტუნვითა და სიცილით თურმე ყველა იღლებს და დაილაღნენ ისინიც

და იმაზე დაეძინათ, რაზეც წინათ — ეჰ, წინათ — შეცდომით თუ მოტყუებით, კი არ ხტოდნენ, ეძინათ.

დიდი დალაგება

ერთხელ დებმა მოინდომეს ხალხის ალაპარაკება და ამისთვის გადამწყობტეს იმ კარადის დალაგება,



მალალ ჭერს რომ ებჯინება უჯრებით და თაროებით. და თუ ფიქრობთ, ეს არ არის საქმე თებრო-თანობის,

იმიტომ, რომ არ გინახავთ თებროს შოუ — საოცრება — ერთ კარში რომ შეძვრება და მეორიდან გამოძვრება.

საქმე მაინც თუ გაძნელდა, იოლდება შემდეგ ასე: სადაც თებრო ვერ ეტევა, თანო მიდის შეტევაზე...

ერთი სიტყვით, რასაც მისწვდნენ, მოუარეს სწრაფად ყოველს და... კარადას ეშმაკურად თვალი მალლა ააყოლეს —

სადაც ცალკე სამყაროა, თაროებად დაქსელილი! და თებროლე პირველ თაროს დაეკიდა მთამსვლელებით.

არც თანანომ დააყოვნა — გზას აუყვია რაზმი სრული. კიდევ კარგი, კარადა რომ კედელზეა მილურსმული...

ამ დროს უკვე ხმაც გავარდა — ატყდა ხალხში მითქმა-მოთქმა. ზოგმა თებროს გარჯა აქო, თანო უფრო აქო ზოგმა.

ოღონდ ერთხმად იოცებდნენ სოფლები და ქალაქები: — ეს რა ხდება — ცელქი დები დიდ კარადას ალაგებენ!..

თუმცა იყო ვიღაც — დივინის საზურგეზე შემომჯდარი, ამ მსოფლიო საოცრებას რომ ზვერაგვდა ეჭვის თვალთ.

— თუკი მართლა ალაგებენ, — კრუსუნებდა კატა ტია, — მაშ, ყველაფერს კარადიდან იატაკზე რატომ ყრიან?

ამ ურწმუნოს ჩამოსძახეს: — გაგივიდა თავს ძალიან! სასწაული — თებროს, თანოს დალაგებას გვასწავლიან!

ნათქვამია — უსაქმურებს უყვართ ფუჭი ხმაურიო! იმისთვის, რომ დაალაგო, ჯერ ხომ უნდა აურიო?! —



ვისაც ეს ვერ შეუგნია, შენიშვნასაც ნულარ ბედავს! — და ბეჯითად მიუბრუნდნენ დალაგების პირველ ეტაპს.

განაგრძობდნენ გაცელებას სოფლები და ქალაქები: — თებროლე და ციცქნა თანო დიდ კარადას ალაგებენ!..

და მანამდე მატულობდა ამ ამბავზე რეაქცია, ამ ამბავმა ვიდრე დედის ყურამდეც არ მიაღწია.

თუ იკითხავთ — რანაირად — თურმე სწორედ ამ დროს დედა იქვე, სამზარეულოში რძიან ფაფას ამზადებდა.

ამავე დროს ცალი ყური ჰქონდა ტელევიზორისკენ. და ის იყო მოინონა ფაფის ფერი, გემო, სისქე,

რომ იმ ყურში შემოესმა: თუმც სიმართლეს არა ჰგავსო — თანანო და თებრო მართლა ალაგებენ კარადასო!

დედას კოვზი გაუვარდა — იმისთანა ეცა ელდა, დების ოთახს მიეპარა და შიგ ფრთხილად შეიხედა...

დაინახა, რომ ღიაა ყველა უჯრა, ყველა კარი და იმხელა კარადაში არაფერი აღარ არის —

ტანსაცმელი, თეთრეული — რითაც იყო წინათ სავსე — კარადიდან გაფრენილა — მოფენილა იატაკზე

და ზედ უკვე არხინად, გემრიელად, თბილად, რბილად აქეთ თებრო კოტრილობს, იქით თანო მიწოლილა.

ასე მორჩა დედის შიში — ნეტავ, იქ რა დამხვდებო — უკვე ნახა, რაც ხდებოდა და... იკითხა: — რა ხდებო?

დებს თვალები გაუბრწყინდათ: — კარგია, რომ გცალიაო — დიდ კარადას ვალაგებდით — დავიღალეთ ძალიანო.

მთავარია — მუშაობა როგორ უნდა, განახეთო. ჰოდა, ახლა უკვე დროა, შენც რალაცა გააკეთო.

რალა დარჩა, დედიკუნა — კი აუხვალ შენ ამდენსო — რაც იქიდან გამოვყარეთ, უკან უნდა შელაგდესო!

დაიჯერა როცა — არ ვარ სიზმარში ან ზღაპარშიო — დედას კიდევ გაუხარდა — რა იოლად გადავრჩიო!

დედა ამათ ენაცვალათ — იქნებ ვერ თქვა — ფრთები აქვთო, მაგრამ... საქმის ნახევარი კი გაუკეთებიათო!..

...ხოლო ხალხი დღემდე ისევ ჰყვება მითებს და არაკებს — ცელქმა დებმა ერთხელ რალაც ლამის როგორ დაალაგეს.

სატელეფონო ასაკი

თებრო ჩაძვრა ტელეფონში — თურმე იქაც ეტევა — და დაიწყო ლამაზ სახლზე აუდიომეტევა.

ტელეფონი რაკი ნიშნავს სმარტფონს ანდა აიფონს,



აბა მაშინ — თებროს აზრით — ტვინიც უნდა წაილოს.

ისიც: ჭყვივის, იჭაჭება, ჭყლობინებს და ჭახჭახებს. თან, ათს ის რომ ამოსძახებს, ერთ-ორს ესეც ჩასძახებს.

თებროს შუბლზე აწერია: „ტელეფონი — მარტო მე!“ მაგრამ თანომ მაინც ჰკადრა: — ელთი წუთით მათოვე!

თებრომ უთხრა: — რა დიდური სურვილები გქონია! პატარა ხარ — აბა რა დროს შენი ტელეფონია!

და მაშინვე უკან ჩაძვრა — ხომ გითხარით — ეტევა — გააგრძელა ვიდეო- და აუდიოშეტევა.

გაიძურნა თანანო და ახლა მამა შემოდის. თუმცა ეძებს რაღაცას და რას მოიცლის თებროსთვის.

მაგრამ... მგონი, იმას ეძებს მისი თვალი არწივის, რაც თებროს ხელში ახლა განწირული გასწივის.

როგორც მიხვდით — ამას მამაც მიხვდა რაღაც მომენტში და თქვა: — თებრო, მეჩქარება, ტელეფონი მომეცი.

თებრომ უთხრა: — რა ბავშვური სურვილები გქონია! ამხელა ხარ, მა — რაღა დროს შენი ტელეფონია!

დიდი სპა



თებროლე მიდის წყალზე და უკან მიჰყვება თანანო. წყალიც ნატრულობს: — თუ შემსვას — ამის- ან იმისთანამო.

შესვა თებრომაც, თანომაც — ეს რა ილბალი ელირსა! — წყალს ნატვრა მალე აუხდა — რა გითხრათ მეზობლებისა...

ამ ბოლო სიტყვამ მანიშნა — არ გამოგრჩესო რაღაცა: რომ არც ყემე ჰყავთ მეზობლად, არც — ჯოყოლა და აღაზა,

რომ არც თებროლეს კოკა და თანანოს სურა გატყდება, რომ წყალზე წასვლის ამბავი მთაში საერთოდ არ ხდება,

რომ ღრუბლებით შორია მამაპაპური თუშეთი, რომ ეს ქალაქის წყალია — ზამთარ და ზაფხულ უშრეტი.

არც — კლდეზე ვინრო ბილიკი, არც — უფსკრულები, ტიალი — აქ თუ რამეა საშიში — ინკანის უშნოდ ტრიალი.

არადა — რაკი ტრიალებს — შენც — ატრიალო — გინდება და სულ არ ფიქრობ — შიგ რა დგას ან საით წარმოდინდება.

ერთი კი თუ დაგავინცდა სულ სანავარდოდ მზირალსა — ეგ დავინცება ხსენებულ მეზობელს უზამს ზიანსა —

ვერ დაიჭირავს დინებას პარკეტი, ვერცა — მეტლახი... და ჰა — ამ სიბრძნის დასტურად — ქვევიდან ვილაც გეძახით...

რა მოელოდათ დებისგან, მგონი, იცოდნენ ადრევე — საყვედურს არც კი იტყვიან — ერთი ამას თუ კვადრებენ:

— სალაპარაკოც არ არის — უბრალოდ, ნახეთ, შემოდით... თორემ ამ ბინას ისედაც კი სჭირდებოდა რემონტი...

მართლაც, რა მოხდა ისეთი — მე როგორც ყური მოვკარი — ორმა დამ წყალი დალია და არ დაკეტა ონკანი.

დიდი ციგურაობა



თებრო შედგა ციგურებზე, რა თქმა უნდა — თანანოც. ვინც შეხედა, გაიფიქრა — ბატის ჭუკებს ჰგვანანო.

ორივე რომ უკეთესი შეფასების ღირსია და ეს მათი კარიერის მხოლოდ დასაწყისია,

მალე ნახავს ეს დარბაზი, შოკით სულგაკმენდილი — თებროლე რომ აცეკვდება გედების ტბის გედვით!

და მეორე გედიც ცეკვით რომ მიბაძავს ჩუმჩუმად — ცოტა უფრო პატარა და ცოტა უფრო ბუნწულა!

მერე თებრო შემოხაზავს ფანტასტიკურ ფიგურებს. სწორად იზამთ, თანანოსაც თუ მის გვერდით იგულებთ.

და იქნება წარმატება უსაზღვრო და უღვევი — დაპყრობილი ჟიურის და მაყურებლის გულები.

ციგურებქვემ გაეგებათ ბოლოს ეს დედამინა ჩემპიონებს ევროპის და კიდევ ბევრი რამისა!

...და ნამდვილად ეს დღეები დადგებოდა ერთხელაც,

უცხად რომ არ მომხდარიყო უცაბედი შემთხვევა,

უცნაური, ულოგიკო, უიბლო და ურიგო — თებრო პირველ ნაბიჯზევე რომ არ ნაქცეულიყო,

და სათქმელად — ნახეთ, დები მართლა დებსა ჰგვანანო — თებროს ახლაც უკან რომ არ მიჰყოლოდა თანანო.

მაგრამ დები უბედობას განა დაწებდებოდნენ? — დგებოდნენ და ეცემოდნენ, ეცემოდნენ, დგებოდნენ...

და ისეთი კერპები და ჯიუტები გამოდგნენ, რამდეჯერაც ნაყირავდნენ — იმდენჯერვე წამოდგნენ.

თუმცა უნდა გამოგიტყდეთ — თუ ვერ მიხვდით კიდევ ჯერ — რამდეჯერაც ფეხზე დადგნენ — ნაყირავდნენ იმდენჯერ...

ჰოდა, ახლა — ცოტ-ცოტა რომ ყველაფერი იტკინეს — უკვე მესმის, თუ ორივე როგორ ჭიჭყინეს... ტიტინებს.

ისევე გედს ჰგავს თებროც, თანოც, ოლონდ უკვე — აფოფრილს. რას ჩივიან? რას და — თურმე ციგურები არ ჰყოფნით!

— იმისთვის, რომ მოვიპოვოთ სახელი და დიდება, აქაც, აქაც, აქაც, აქაც ციგურები გვჭირდება!

ამბობენ და თანაც ხელებს ნატკენებზე ისვამენ. ბოლოს დაგვიყოლიებენ, ვიცი, იმდენს იზამენ.

ახალ წესებს იპოვიან, ისე გულით ეძებენ და სპორტის ამ სახეობას გააუმჯობესებენ.

დანესდება სხვანაირი ფიგურული სრიალი — თებრო-თანოს სახელობის — მრავალციგურიანი.



და ხელებზე ტაშით კანი გადაგვძვრება ცხრაპირი, თებროლე რომ აცეკვდება ციგურების ზღარბით,

მას მეორე ზღარბუნიაც რომ მიბაძავს ჩუმჩუმად — ცოტა უფრო პატარა და ცოტა უფრო ბუნწულა,

და იქნება წარმატება უსაზღვრო და უღვევი — დაპყრობილი ჟიურის და მაყურებლის გულები,

და უზომოდ შეიყვარებს მთელი ეს დედამინა თებრო-თანო-ჩემპიონებს უამრავი რამისა.

ბებო — პარაპლანისტი

ფერად სიმინდს არჩევდა და უეცრად გაჩერდა — იზო ბებოს იმ ხანად ცაში ცქერა დასჩემდა.

ეს კარგა ხანს იმ ხანის მონატრებას აბრალებს, როცა ბებო დასდევდა პეპლებს, ბუშტებს და ფრანებს.

მაგრამ ის დრო რა არის — უნდა ნახო შენ ეს დრო — ამ დროს კიდევ თებროლე ასეთ სურათს შეესწრო:

დიდ ჩიტს რაღაც მიჰქონდა, დააკვირდა — ვის ჰგავსო... და ატეხა ყვირილი: — ბებო არწივს მიჰყავსო!

ჩამოსძახა ბებოამ: — დავრწმუნდი, რომ გიყვარვარ, მაგრამ პარაპლანით ვფრენ — არწივს კი არ მიყვარვარ!

თურმე ცაში ცქერისას — განა ბუშტებს, განა ფრანს — იზო ბებო ნატრობდა ფრენასა და პარაპლანს.

ჯერ სადა ხარ — შენ ნახე, ცოტა ხანში რა მოხდეს: უნდა — თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტეს!..

თებრო ამბობს: — თვითონ ფრთებს, სადაც უნდათ, იქ შლიან, ჩვენ კი ამ დროს საწოლზე ხტუნაობას გვიშლიან...

არა უშავს — ერთხელაც გადაუხვდით, თანო, მათ — დიდები რომ გავხდებით, ბებოები გამოვალთ!

თინათინ
ბაუმი

სად დაიკარგა პონი?



ერთ დღეს პატარა ნენემ გაიღვიძა და აღმოაჩინა, რომ მისი საყვარელი პონი გამკრალიყო. ასე უცებ, მოულოდნელად — გუშინ ერთად დაიძინეს და დღეს აღარ იყო.

ნენემ ლოგინის ქვეშ შეიხედა. უჯრებიც დაათვალიერა, კარადებიც, სათამაშოების შესანახი ყუთებიც, მაგრამ პონი არსად იყო.

— ჩემი სპაიდერმენიც გაქრა, — უთხრა დემემ, როცა ნენეს პონის ამბავი შეიტყუო ბაბუი.

— მერე, არ გენატრება?

— არა, — აიჩქრა დემემ მხრები, — მგონი, დამავინცდა.

დემე და ნენე ერთად ჩაფიქრდნენ.

— მე მგონი, ეზოში რომ ვთამაშობდით, იქ დაგრა, — მოაფიქრდა დემეს.

და დემემ და ნენემ გადაწყვიტეს, ერთად დალოდებოდნენ ეზოში გასვლის დროს. ეზოში რომ გავიდნენ, ნენე პირდაპირ სასრიალოებისკენ გაიქცა — იქნებ ისე მოეწონა სრიალი, აქ დაიმალაო.

დემემ კი მიაყურადა — მგონი, პონის ხმა მესმის, მაგრამ ჯერ ვერ ვხვდები, საიდანო. აი, ასე თქვა.

ალექსანდრამ და ვატომ რომ გაიგეს, პონის ეძებნო, გადაწყვიტეს, მიხმარებოდნენ ნენეს და დემეს.

ალექსანდრა ხეზე აძვრა, ნენეს პონი იქ რომ მოეძებნა, თუმცა მხოლოდ ჩიტის ძველ ბუდეს მიაგნო — სულ წერილი ფიჩხებით და გამხმარი ბალახებით იყო აშენებული.

ვატომ კი ქვიშის მოედანზე დაუწყო ძებნა. სათამაშო ტაქტორით ქვიშა სულ გადათხარა, მაგრამ ერთი ძირგახვრეტილი სათლის, ერთი კბილმოტეხილი მწვანე ფოცხისა და ერთი ცალკეული ლურსმნის მეტი ვერაფერი იპოვა.

— მე ვიცი! — დაიყვირა დემემ, — ქვის ქვეშ იქნება დამალული!

და ბავშვებმა რაც კი ქვა იყო ეზოში, ყველას ქვეშ შეიხედეს.

ჭიანჭველების ბუდის გარდა ვერც იქ მიაგნეს ვერაფერს, მაგრამ როგორი ბუდე იპოვეს? ოოო! დიდი და ჭიანჭველებით სავსე.

— მგონი, შენი პონი და ჩემი სპაიდერმენი ერთად იმალებიან სადმე, — თქვა დემემ.

— ჩემმა მანქანამ მითხრა, გუშინ ყველა ერთად ვასეირნეო, — ნამოიძახა ვატომ.

— ალბათ არ მოიწყენენ ერთად, — ამოილულულა ნენემ და ბავშვებიც დაეთანხმნენ.

საღამოს პონის ძებნითა და თამაშით დაღლილ-დაქანცული ნენე მოწყენილი ნავიდა სახლში.

— მოდი, დავხატოთ, — შესთავაზა მამამ, როცა სახლში დაბრუნდა, — მერე კედელზე დავკიდოთ და როცა მოგენატრება, შეხედავ და გაგახსენდება.

— რა კარგი აზრია! — გაუხარდა ნენეს. მოიტანა ფერადი ფანქრები, ფურცლები და გულმოდგინედ შეუდგა ხატვას.

ჯერ თავი დაუხატა, მერე ტანი, კუდი, ფაფარიც. მაგრამ, ეს ის პონი არ იყო! ნენემ ფურცელი გვერდზე გადადო და ხელახლა შეუდგა ხატვას. კიდევ არ გამოუვიდა! ვერაფრით მიაღწევდა დახატული პონის ნამდვილს.

— აღარ მინდა! — აზუზუნდა ნენე, — ეს პონი სხვაა, ჩემი პონი სხვა იყო! — და ისევ გული ეტკინა.

ძილის წინ, დედისკოტან ერთად ტკბილი სიზმრების სამყაროში გასამგზავრებლად რომ ემზადებოდა, ნენემ უცებ თქვა:

— დედი, ჩემი პონი ძალიან ლამაზი იყო, ხო?

— კი, დედი.

— რა სამწუხაროა, რომ გაქრა, არა?

— კი, დედი, ძალიან სამწუხაროა.

— ახლა ჯადოსნურ სამყაროშია?

— არ ვიცი, დედი, შენ როგორ გგონია?

— არ ვიცი, მაგრამ იქ რომ იყოს, მე მოვნახავდი ცისარტყელას და მივიდოდი მასთან, — თქვა ნენემ. მერე უცებ თვალები გაუნათდა, — დედი, ჭრელი კუდი რომ ჰქონდა, გახსოვს? დიდი თვალები! გამჭვირვალე ფრთები! ოქროსფერი ჩლიქები ჰქონდა!

— ხოო, მართალია! — უპასუხა დედამ, — შენი პონი მართლაც რომ ჭრელკუდა და დიდთვალები იყო და ჰქონდა გამჭვირვალე ფრთები და ოქროსფერი ჩლიქები.

— ვიპოვე! ვიპოვე! — დაიძახა უცებ გახარებულმა ნენემ.

— მართლა? სად იყო? — ჰკითხა დედიკომ და მიმოიხედა.

ოდნავ განათებულ ოთახში სად უნდა ყოფილიყო ნეტავ ეს პონი დამალული?!

— სად იყო კი არა, სად არის! — უპასუხა ნენემ, — ჩემს გულშია! — ეს თქვა, გაიღიმა და საწოლში გადატრიალდა.

იმ ღამეს ნენემ ტკბილად დაიძინა გულში ნაპოვნ პონისთან ერთად.

მზრინავი პირუკელა პერიკო და საჰაერო ბუშტი

ერთი ჩოჩორს, სახელად ვერიკოს, ოცნება ჰქონდა — ძალიან უნდოდა ფრენა. ვერიკოს სჯეროდა, რომ ერთხელაც აუცილებლად გაფრინდებოდა, თუმცა ამ ოცნებას ახირებდა აღიქვამდნენ სხვა ცხოველები და ხანდახან დასცინოდნენ კიდევ.

დილაობით, დედასთან ერთად რომ საუზმობდა, ეუბნებოდა:

— დედა, მე აუცილებლად გაფრინდები!

— კი, შვილო, — ჩაიბურღუნებდა დედა და გააგრძელებდა უგემრიელესი ბალახის ცოხნას.

ვირუკელა ვერიკო ეზოში გამოკუნტრულდებოდა, მიიბრუნდა ბათურასთან და იმასაც დასძახებდა:

— ბათურა, მე აუცილებლად გაფრინდები და როცა ცაში დამინახავ, დამპირდი, რომ შემომყეფ.

ბათურა კუდის ქიცინს მოჰყვებოდა და სიხარულით წრეს შემოურბენდა ხოლმე ვერიკოს:

— აუცილებლად შემოგყეფ, აუცილებლად!

მერე ვირუკელა საქათმისკენ მოკურცხლავდა. მოხუც როხროხა მამალს და ქათმების გუნდს დაანოკებდა და მხიარულად შეყროყინებდა:

— მე დღეს თუ არა, ხვალ მაინც გაფრინდები!

ქათმები აკრიახდებოდნენ, მამალი გაიფოფრებოდა:

— შენ კი არა, ჩვენ ვერ დაფრინავთ, არადა, ფრთები გვაქვს, შენ როგორა გაფრინდები?

ერთხელ ინდაურებმა ყურყურით დასცინეს კიდევ, გამოგვივიდა ესეც ფრინველი.

ყველაზე დარბაისელი მენველი ძროხა მუუ ალმაცერად უყურებდა ვერიკოს და მის დედიკოს ეუბნებოდა, რა უნდა სახედარს ცაში, სახედარი მინაზე უნდა დაიდო! ვერიკოს დედიკო კი ამბობდა, რა მოხდა, იოცნებოსო.

ვერიკო კი ყოველ დღე ცას შესცქეროდა და ოცნებობდა, როგორ იფრენდა ჰაერში ჩიტუნებთან ერთად.

რა აღარ მოიგონა — თავის მეგობარ თიკან ციკასთან ერთად სიმაღლეზე ძვრებოდა და იქიდან ხტებოდა.

— უფრო მაღალზე უნდა ავძვრეთ, — ეუბნებოდა თიკანი ციკა და უფრო მაღალი ადგილებისკენ ექაჩებოდა მეგობარს.

ერთხელ თიკანმა ციკამ ვირუკელა ვერიკო ნალის სახურავზე აახტუნა. თვითონ კი ჩამოხტა, მაგრამ ვერიკო გაიჭყვია. პატრონებს სამაშველო სამსახურის გამოძახებაც კი დასჭირდათ, ვირუკელა ვერიკო ნალის სახურავიდან რომ ჩამოეყვანათ.

ერთ დილას, როდესაც ვერიკო გემრიელად იცოხნებოდა საუზმეს დედასთან ერთად, დიდი კაჭკაჭი მოფრინდა მუშთაი-დიდან. ამბავიც საოცარი მოიტანა — ფრანგი აერონავტი ჟან ბედე საჰაერო ბუშტით აპირებდა მუშთაიდის პარკიდან აფრენას და მსურველებს ეძებდა. თურმე ყველა ადამიანს შეშინებია და არავინ ჩაჯდომია კალათაში და ფრანგ აერონავტს ამის გამო ძალიან მოუწყენია.

ვირუკელა ვერიკომ ეს გაიგო თუ არა,

მიანება საჭმელს თავი და მუშთაიდის პარკისკენ გაიქცა. პარკში ვირს, აბა, ვინ შეუშვებდა?! ამიტომ გვერდითა ლობიდან შეძვრა.

შეძვრა და რა დაინახა? ჰოი, საოცრება! მუშთაიდში, წითელი ქვიშის მოედანზე, უზარმაზარი საჰაერო ბუშტი ნამომართულიყო!

საჰაერო ბუშტის გარშემო გაცივებული ხალხი შეკრებილიყო. იქვე მონყენილი ფრანგი აერონავტი ჟან ბედე ამაოდ ცდილობდა თანამოაზრეების პოვნას. ყველას, ყველას, ყველას ეშინოდა კალათაში შეძრომის.

ვირუკელა ვერიკომ ძალები მოიკრიბა, გაბედა, გაიქცა და შიგ კალათაში ჩახტა.

პატარა ბუთქუნა ბიჭუნას ხელიდან ბამბის ნაყინი გაუვარდა და მამიკოს შარვალზე მოქაჩა — შეხედე, შეხედე, ვირი კალათაში ჩაძვრო.

კიკინებიან გოგოს, რომელსაც მუშთაიდში რომ მტრედებიანი ქანდაკებაა, იმაზე უნდოდა აპრომა, ვაოცების შეძახილი აღმოსხდა — სულ დაავინცდა მტრედიც და ქანდაკებაც.

მტირალა ჩვილმა კიდევ უფრო მოუმატა ტირილს. ეტლიდან თავისი სათამაშო სახედარი გადააგდო და ვირუკელა ვერიკოსკენ გაინია.

ხალხმაც ვაოცებისგან ამოიოხრა.

ჟან ბედემ საჰაერო ბუშტის კალათაში სახედარი რომ დაინახა, თვალებს არ დაუჯერა. მერე ჩაიციხა და ამაყად გადახედა შეკრებილ საზოგადოებას.

ფრანგი აერონავტი კალათაში შევიდა ვირუკელა ვერიკოსთან ერთად. კარი მიიხურა და ასისტენტებს გასძახა:

— Tout droit dans les nuages — პირდაპირ ღრუბლებისკენ!

და საჰაერო ბუშტმა ნელ-ნელა აფრენა დაიწყო.

ვირუკელა ვერიკო ზემოდან დაჰყურებდა თბილისს. როდესაც სახლს გადაუფრინა, ყოყინით ჩასძახა მეზობლებს. ბათურამ ყველა ატეხა და საჰაერო ბუშტს გაეკიდა, თიკანი ციკა კუნტრუშით გაედევნა ბათურას; ქათმებმა, როხროხა მამალმა და გაფხორილმა ინდაურებმა კი ენა ლამის გადაყლაპეს ვაოცებისგან.

დარბაისელი მენველი ძროხა მუუ ნაბორძიკდა, რძით საესე სათლს ფეხი გაკრა და რძე დაღვარა. ვერიკოს დედიკომ კი თქვა — ხომ ვთქვი, იოცნებოსო.

სამაშველო სამსახურის თანამშრომლები გულგახეთქილი გამოედევნენ საჰაერო ბუშტს — ეს ვერიკო ახლა აქედან არ გადმოვარდეს ჟან ბედესთან ერთად.

დიდი კაჭკაჭი საჰაერო ბუშტს გვერდით მიჰყვებოდა და მჭახე მხით გაჰკიოდა:

— გაფრინდა, გაფრინდა ვირუკელა ვერიკო!

საჰაერო ბუშტმა ქალაქი მოიფრინა და ისევ მუშთაიდის პარკში დაჯდა.

და კალათიდან ამაყად გადმოვიდა ან უკვე მზრინავი ვირუკელა ვერიკო.

ამ ამბის მერე თბილისის მცხოვრებლები, ცხოველები და ფრინველები ძალიან დიდხანს ჰყვებოდნენ მზრინავი ვირუკელა ვერიკოს შესახებ, რომელიც საჰაერო ბუშტიდან დაყროყინებდა მთელს ქალაქს.



ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940



9 772346 794004